მუხრან მაჭავარიანი

ორტომეული

ტომი პირველი

# ლექსები
# პოემა

გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი

ავტორი და გამომცემლობა მადლობას უხდიან
საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“
გამოცემის ფინანსური მხარდაჭერისთვის

წინამდებარე ორტომეული წარმოადგენს მუხრან მაჭავარიანის ლექსებისა და მეცნიერული შტუდიების არასრულ ნაკრებს; ეძღვნება პოეტის დაბადების 80 წლისთავს.

რედაქტორი
ნანა მაჭავარიანი

ISBN 978-9941-402-97-5 (ტომეულის)
ISBN 978-99940-991-98-2

© მუხრან მაჭავარიანი, 2009.
© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2009.

# გზადაგზა

კმაყოფილი ჭაბუკი ვიღიმები, ვიჩქარი.
ილვიძებენ გზადაგზა სიყმაწვილის დღეები:
წისქვილები.
მინდვრები.
წყაროები.
ტყეები
და...
კაკლების ჩეროში
ჩვენი სახლიც...
შეხედე!

ცოტა დამრჩა მანძილი.
მუხლი მიჭრის ვაჟურად.
გზაში მხვდება სიცილით
იზვარა და ლაშურა.

აი, ჩემი სოფელი.
აი, ჩემი არგვეთი.
აქ მე რომ არ მიმიღოს, –
ქვაც არ გდია არცერთი.

ველი გადახნულია.
ჰყვავის აკაციები.
აქაც გაზაფხულია.
ხარობს აქაც იები.

მივდივარ და მომდევენ გვერდით აკაციები.
ვხედავ: იქაც იები.
ვხედავ: აქაც იები.

ცაო, შენი ბრალია, მიწას რომ არ აჩნია
ჩემი პატარაობის მკრთალი ნაფეხურები.
ცად გაშლილო ჯეჯილო!
ცავ — ჯეჯილად გაშლილო!
ვერა!
მე ვერ გავძღები საქართველოს ყურებით.

ცოტა დამრჩა მანძილი.
მუხლი მიქრის ვაჟურად.
გამარჯობა, იზვარა!
გამარჯობა, ლაშურა!

1946

ჲ

დილის ცვარი ქალაკოდას შერჩენია ქარვასავით.
სიმინდების გასაპარსად მოშრიალებს ქარ-ვარსამი.

ჩინებულად შეუნახავს მოკურდღლავე ყანა გლედიჩს.
ქარქვეტებში გარბის ქარი ულვაშების ნანაგლეჯით...

სიხარულმა აღმიტაცა, მომანდომა თამაშობა,
სიხარულმა გამაბრუა და ეს ლექსიც ამან შობა.

ზღვას გავაპობ, როგორც მოსე,
არ მჭირდება მისი კვერთხი;
მარგალიტი ყრია მოლზე, –
ზღვას არა ჰგავს, მე შენ გეტყვი! –

ჩუ! მარცვალმა სიმინდისამ დაიძახა უცებ – „ჭიტა!" –
დაიძახა და ამოძვრა მოყვითალო ფუჩეჩიდან...

სიხარულმა აღმიტაცა, მომანდომა თამაშობა,
სიხარულმა გამაბრუა და ეს ლექსიც ამან შობა.

1947

## ჭადარს ეტყვის ჭადარი

გორის ციხის ახლოს მდგარი
ჭადარს ეტყვის ჭადარი:
– აქ რომ ბიჭი თამაშობდა,
ნეტავ, ახლა სად არი?!

შენც ხომ გახსოვს მისი სახე
და მაყვალა თვალები...
ეჰ, მას უკან სულ აქ ვდგავართ
და არ დავიღალენით!

გახსოვს?! – ნუთუ აღარ გახსოვს
მისი „შავო მერცხალო"?!
ნუთუ ჩვენ მას ველარ ვნახავთ
ვერც დღესა და ვერც ხვალო?!

– როგორ არა, ნახავთ, ნახავთ! –
ამბობს სიო შრიალა, –
ის გეწვევათ, მე მგონია,
მაგრამ სოსოდ კი არა, –

ისე, როგორც ცისარტყელა, –
ციდან ჩამოტანილი
და თქვენს ჩრდილში სოსოობას
მოიგონებს სტალინი.

1947

## სოფელი

ქარი, – ჩვეული ლაღობით, –
გადი-გამოდის ხერხივით;
ქარის ჩამოყრილ ნაყოფის
აღებას ცდილობს ხეხილი.

ამგვარ ღამეებს ოდესღაც
მე ვეძახოდი საღართა;
მიყვარდა, ღელეს როდესაც
ძილს ასესხებდა საღათა.

როგორც გადმომცეს, პირველად
მე მზე ვიხილე აპრილის;
ცა რომ მაფრთხობდა ნინველას,
მიკვირს, დღეს მიმზერს რა პირით.

ჩემი ბავშვობა უწყიან
კაკლის ხეებმა სრულებით:
გიყვარდა „ფათლოს ქუცია",
გძულდა „ბუდუას ბუები".

შემდეგში „ფათლოს ქუცია" გადიქცა თაფლოს ფინიად,
ხოლო „ბუდუას ბუები" იქცნენ ბუდუას ხარებად;
ერთ მათგანს ერქვა ყვავილა, მეორეს ერქვა ღვინია
და ეს ხარები უღელში ხან არ ება და ხან ება.

ქარი, – ჩვეული ლაღობით, –
გადი-გამოდის ხერხივით;
ქარის ჩამოყრილ ნაყოფის
აღებას ცდილობს ხეხილი.

1948

## პუშკინი ტფილისში

პუშკინი ტფილისის ქუჩებმა გაიტაცეს.
ბალში ქეიფია.
თავადი თამადობს.
მძვინვარებს ქეიფი აზიურ ყაიდაზე.
– ალექსანდრ პუშკინი!
იცნობდეთ, თავადო!

...პუშკინს არ უნახავს ამდენი სიცილები, –
თუმც ბევრი უმასხრია, –
ნახვაზეც უზრუნია.
უკვირს, –
რაც უნდა თქვას, –
ღიმილით იცილებენ;
ვერ მიხვდა:
ღიმილი ქართველის რუსულია.

...აქ ქალი ისეთი რონინებს რამდენი,
როგორზეც მან ერთგან დაწერა:
...Я кинжалом хорошо владею,
Я близ Кавказа рождена...

...დამდგარან ვირები
ყურების დაშვებით.
კიტრებით სავსენი
ჰკიდიათ გოდრები.
რუსისგან საქულას
მოგება დარჩება.
ვინ იცის, გადარჩეს საქო გაკოტრებას.

...პუშკინმა დანახარჯი
ღიმილით მიუთვალა, –
საქომაც გაუღიმა
პუშკინს ნაცვლად ხურდის.
– რამ გაგათახსირა, საქო ავლაბრელო! –
რა ჰქონდა პუშკინს შენი გასაქურდი!

...თავადმა ცხენიდან
ქალს თვალი მოლანდა.
ჩამოხტა.
ხეს მიაბა ცხენი.
მას კოცნა სწყუროდა
და მანდილოსანმაც
წყალივით
მიაწოდა
ხელი.

...პუშკინი ტფილისის ქუჩებმა გაიტაცეს.
ბაღში ქეიფია.
თავადი თამადობს.
მძვინვარებს ქეიფი აზიურ ყაიდაზე.
– ალექსანდრ პუშკინი!
იცნობდეთ, თავადო!

1949

ე

ცივი ქუჩები პეტერბურღის შემოიარა რა, –
ყაბახს უხსენებდა და უქებდა დისწული კოჭლი.
ბოლმა და ღიმილი გადმობღერტა „ჩემო იარალად", –
პეტერბურღში ინატრა ნიავი კოჯრის.

აი, ის იყო კაცი მართლა ჯიგრიანი;
ფართო მკერდი ჰქონდა და მკლავები ღონიერი.
დარიალის ხეობაში თერგივით იღრიალა:
ორბელიანი იყო და... სიმძლავრე ორი ერის: –

სიმძლავრე პეტერბურღის – ვითარცა ღენერალი.
ვითარცა პოეტი – სიმძლავრე ქართველთა.
იმ სისხლით „სადღეგრძელოს" წერდა აუღელვებარი,
იმ სისხლით – დაღესტანში ლეკებს რომ ადენდა.

ცივი ქუჩები პეტერბურღის შემოიარა რა, –
ყაბახს უხსენებდა და უქებდა დისწული კოჭლი.
ბოლმა და ღიმილი გადმობღერტა „ჩემო იარალად", –
პეტერბურღში ინატრა ნიავი კოჯრის.

1949

## Ω

ამოიქროლა მთაწმინდაზე ქარმა მსახვრალმა, –
ქარის ღლაბუცი საფლავის ხეს ტოტებს უღლიდა...
მატარებელმა მოაკივლა თბილისს საყვარლად:
– იქნებ, ილია ჩამობრძანდა პეტერბურღიდამ!

– ილია მოკვდა! – ამერიკა აღმოაჩინა –
ასე ეგონა ქარს – ეს რადგან შემოღაღადა.
ძილს დარაჯობდნენ საფლავების თაღ-მოაჯირნი.
არ დაეზოგა პოეტთათვის ძილი საღათას.

ილია მოკვდა, მაგრამ ჰგავდა მისი დამარხვა
წყალში ჩავარდნილ მოელვარე მთვარის დამარხვას...
– ილია გინდათ?! – მოითმინეთ! – ვიტყვი ხმამაღლა, –
ამ მატარებელს ჩამოჰყვება იგი ამაღამ.

ამოიქროლა მთაწმინდაზე ქარმა მსახვრალმა, –
ქარის ღლაბუცი საფლავის ხეს ტოტებს უღლიდა...
მატარებელმა მოაკივლა თბილისს საყვარლად:
– იქნებ, ილია ჩამობრძანდა პეტერბურღიდამ!

1949

## XVIII საუკუნე

საბრალო საქართველო, ობოლი ბავშვივით,
გამვლელს და გამომვლელს მუხლებზე ეხვეოდა:
– დამჩაგრეს, ბატონო, მიშველეთ უდედმამოს! –
თხოვდა ხან საფრანგეთს, ხან რუსეთს.

– ლექსები იცით?! – ჰკითხეს საქართველოს,
პატარა საქართველოს, პატარას, – თვალცრემლიანს...
–ვიცით! – უპასუხა, ცრემლები მოიწმინდა;
პატარა საქართველოს პალე-როიალში
შოთა რუსთაველის ლექსი ათქმევინეს.

– ყოჩაღ! – მხარზე ხელი დაჰკრა საფრანგეთმა, –
ამ ბავშვს მომავალი დიდი ექნებაო!..

ბოლოს, როგორც იქნა, რუსეთმა იშვილა
პატარა საქართველო, ობოლი საქართველო,
მაგრამ მამობილი მკაცრი გამოადგა;
გაეპარებოდა ხოლმე მამობილსა
და დედის საფლავზე ტიროდა საქართველო.

1949

## საბა

ორბელიანი ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან
ალოდინეს და... მეთხუთმეტე კაცად შევიდა.

ცამეტი ლუდოვიკო კედლიდან იყურება.
ციცას ეფერება ლუი მეთოთხმეტე.
ხალხს ხმა დაუკარგა მეფის სიყრუემა, –
მეფეს ხალხზე უფრო კატა ეცოდება.

ხელმწიფემ საბას ნაუბარი მოისმინა რა:
– ოჰ... ოჰ... ოჰ... ოჰო! – თქვა და თითქოს კიდეც ინანა.

მაგრამ ამითი არაფერი გამოვიდა რა
(საბას ხმა როდი წააგავდა კნავილს კატისას);
რაც შეიტანა, – ისევე ის გამოიტანა
იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან ელჩმან ქართლისამ.

– წვიმა არ არი! –
საბას კაბა დაუსველა რამ?!
– თოვლი არ არი! –
საბას თავი გაუთეთრა რამ?!
– ყინვა არ არი! –
სულხან-საბას აკანკალებს რა?!
–რამ დაასველა?!
– რამ დათეთრა?!
– რა აკანკალებს?! –
საქართველოა
მისთვის:
წვიმაც,
თოვლიც და ყინვაც!..

...მზე ეთხოვება, ალბათ, ახლა ტურფა ტანძიას...
ეს სიცხადეა, სულხან-საბავ, თუ ფანტაზია?!

დედის ცრემლები ყაყაჩოს და ბალახებს აწვიმს, –
ალვის ჩეროში ტირის დედა შვილს მოტაცებულს, –
სტამბოლში შვილი დედას ტირის, – ყიდიან ყმაწვილს
(ქვრეტენ ჯვარის წინ წმინდა ნინოს, მუხლზე დაცემულს).

– რამდენს აფასებ მაგ პატარას? – ჰკითხა სპარსულად
საბამ სპარსელს და მოუთმენლად ელოდა პასუხს.
– უი, ქართველი მეგონა და სპარსი ყოფილა! –
წარმოთქვა ბალღმა, – ყური მოჰკრა რა საბას სპარსულს.

– არა, პატარავ, ქართველი ვარ, ქართველი, გესმის?!
– უი, დედასთან წამიყვანე, წამიყვან, ძია?..
საბას ცრემლები მოეძალა, – ატირდა კაცი, –
თავის ბალღობა გაახსენდა, თავის ტანძია.

ვით ეს ყმაწვილი, – საქართველოც, – ასე მცირეა,
საქართველოსაც, ვით ამ ყმაწვილს, ასე ყიდიან...
საფრანგეთს ვთხოვოთ: გვიშველისო, – სასაცილოა! –
შენი ვახტანგი ლუდოვიკოს ფეხზე ჰკიდია.

ასე ფიქრობდა სულხან-საბა ხელჯოხიანი.
მხარდამხარ საბას ის პაწია ბიჭი მოსდევდა...
– მოგწყინდა განა უნაყოფოდ, ელჩო, ყიალი?! –
გულს ნუ გაიტეხ! – მუხა კვლავაც შეიმოსება!

1949

## ვახტანგ მეფის ნანადირევი

ნედლი კვალი დარჩენია ირმის ნუკრის ფეხებს, –
ცეროდენა ნატერფალებს დააჩერდა მეფე...
დააჩერდა...
გაეღიმა...
გადახედა იქ მყოფთ, –
ისე, თითქოს ეს იმათი ნატერფალი იყო.

ვახტანგ ნადირს არ გასდევნის, არ გასდევნის, არა! –
თუ ნადირის ნატერფალი მეფის ტერფს არ ტოლობს.
და სტუმარი, იმერელი, ეუბნება ვახტანგს:
– ვერაფერი მოგვიკლავს და... ეგ არი, ბატონო!..

გაიარეს...
გაიარეს...
ტირიფებთან შედგნენ.
თითონ?! – თითონ ტირიფები წყლის ნაპირზე იდგნენ.
– ნადირითა?! – ნადირითა მდიდარია ეს ტყე!
მაგრამ, მაგრამ... ფრინველითა უბადლოა ის ტყე!

მღვრიე წყალი გადალახეს, – შეჰყვნენ რიყე-რიყე...
(მეფე იყო და მეფესთან მარეკები იყვნენ).

მიდიოდნენ! მიდიოდნენ! – მეფე მიდის პირველიო!
აუფრინდათ!..
აუფრინდათ!..
– ხოხობია!..
– ხოხობია!..

– ხო ყოფილა!
– ხო ყოფილა
ამ ტყეშიაც ფრინველიო!

ხოხობს ქორი მიუსიეს, მიუსიეს, მიუსიეს! –
ამ ულრან ტყეს გადასცილდნენ, – შეეფარნენ იმ უსიერს...

დაედევნენ... დაედევნენ...
და...
ჩავიდნენ თბილისში.

1949

## ᲬᲘᲡᲥᲕᲘᲚᲘᲡ ᲦᲐᲛᲔ

სიბნელეს ებრძვის პატარა ჭრაქი.
ჭრაქივით ებრძვის ღამეს ყვინჩილა.
აყუდებია ბუხარს ნაჯახი
და იმჭვარტლება ღორის ვიჩინა.

ტკბილად ღუღუნებს წისქვილი ღელის.
ღელეს ტირიფი შრიალით ბანს აძლევს.
გადმოკიდულან ღრუბლები თხელი,
ვითარცა სარეცხი სარეცხის ბანარზე.

მთვარე ყარაულობს ურემს დერეფანში.
დოლაბს არ გადურჩა სიმინდი გაკვნეტა.
– წიქარამ ჩალის კონით ამოიძლო ფაშვი,
რაღა აბღავლებს იმ სამგლეს, ნეტა?!

ცაცხვეებით გამოჩანს თეთრი საყდარი...
არ ჰგავს საფლავის ქვა წისქვილის ქვას, –
არც მოყვანილობით,
არც ბრუნვის სისწრაფით:
მაინც ეს სიმინდს ფქვავს! –
ის ადამიანს ფქვავს.

სიბნელეს ებრძვის პატარა ჭრაქი.
ჭრაქივით ებრძვის ღამეს ყვინჩილა.
აყუდებია ბუხარს ნაჯახი
და იმჭვარტლება ღორის ვიჩინა.

1950

## Ձ

მზე არი თვალწინ.
მზეა უკან.
მზეა მხარდამხარ;
არი შუადღე.
ორღობეში არ ისმის ჩქამი.
გაიფრთხიალებს ხოლმე ჩირგვში ჩიტი ხანდახან
და
მყუდროება შუადღისა ირღვევა წამით.

გახედავ ფერდობს.
გახედავ ტყეს.
გახედავ დაბლობს.
გარინდებულა ყველაფერი.
არ იძვრის ქარი;
აუტანელი ყურადღება უსიტყვოდ ამბობს: –
ადამიანო! –
            გელით! –
                        გიცდით! –
                                    გისმენთ! –
                                                გვითხარი!

1950

## ინდი მინდი

ტყე-ტყე მიდის... ტყე-ტყე მიდის... ინდი მინდი ფერად შინდი...
იმღერს ლექსთა საბრალოთა... მიდის... მიდის...

ტყე-ტყე მიდის... ტყე-ტყე მიდის... ინდი მინდი ფერად შინდი...
ჭკნება ტურფა საბაღნარო... წყდება ზეცას მეტეორი...
– მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი, ორი!
ერთი...
ორი...
და იცვლება საუკუნე საუკუნით...
მაინც მღერის,
მაინც ტირის,
ვით ტიროდა გული...

ტყე-ტყე მიდის... ტყე-ტყე მიდის... ინდი მინდი ფერად შინდი...
იმღერს ლექსთა საბრალოთა... მიდის... მიდის...

ღმერთო ერთო! –
ღმერთო ერთო! –
თრთის სხეული... თრთის ბაგენი...
რუსნი,
სპარსნი,
მოფრანგენი –
ისმენდიან, – გაჰკვირდიან, რა ატირდის, – ატირდიან...
–რა პატარა ქვეყნიდანა... რა დიდია!..

ტყე-ტყე მიდის... ტყე-ტყე მიდის... ინდი მინდი ფერად შინდი...

მიდის... მიდის... წვება ბინდი...
ვარსკვლავები...
კვლავ დილა...
– ავთანდილი?!
–რუსთველია! –
რამ გააავთანდილა!...

ტყე-ტყე მიდის... ტყე-ტყე მიდის... ინდი მინდი ფერად შინდი.

1950

## ჭოლა

აკლდა ორიოლა წუთი
ტფილისიდან მატარებლის გასვლას.
საკატორღენი აჰყავდათ ვაგონებში –
ჟღარუნებდა ბორკილი.
წარმოსადეგი თავადი მარილიანად ოხუნჯობდა, –
სიცილით ბუქნავდა კეთილშობილი მანდილოსანი –
თევზივით მოქნილი.

– ნამდვილი კომიკი ხართ, ბატონო ტიტიკო! –
(ღიმილით პასუხობდა კომპლიმენტს თავადი)...
ირგვლივ საყურადღებო არაფერი ხდებოდა თითქო, –
კვლავ გულიანად კისკისებდა ქალი ტანადი.

დარეკეს ზარი, –
აჩოჩქოლდა მატარებელი გრძელი, –
ბაქანზე დარჩა
ყაყაჩოიანი ყმაწვილივით
ჭაღარა რკინიგზელი.

ვაგონის ფანჯრიდან ველებს გასცქეროდა,
თოვლით გადაბარდნილს,
ჭაბუკი ჭოლა.
მის თვალებს ცივი ციმბირი ელოდა,
სუსტ ფილტვებს, –
ქარბუქი გამჭოლი.

და აი,
საცაა მის სოფელს გადასერავს
ეს მატარებელი – გველივით მსრბოლი.
ალაგ
ღოღნაშოზე ყვავები სხედან,
ალაგ
ბუხრებიდან ამოდის ბოლი.

თენდება.
სოფელში მამალმა იყივლა.
– ილვიძებს,
            ილვიძებს სოფელი ჩემი! –
ჭოლას არ სჩვევია ტირილი სიყრმიდან.
ო, არა,
ეს ისე, –
წამოცდა ცრემლი.

მატარებელი კი, თითქოს არაფერი! –
მიქრის და...
            აღარ ჩანს ქოხები, ღობე...
– დედაო, მიშველე! –
კინაღამ დაიძახა
                ჭოლამ,
ვით სიყრმეში იცოდა ხოლმე.

. . .

ციმბირი.
კატორღა.
სულს ღაფავს ჭოლა.
მომაკვდავს ეჩვენება სოფელი თვისი:
დედა ძროხას წველის.
საყვარელ ბოჩოლას
                    ჭოლას უმცროსი ძმა
                                        ეძახის: – თვიჩი!...

გამოჩნდა ტფილისიც.
ტფილისის ქუჩებში
დილაა.
წყნეთელი გაყვირის „მაწონს!“...
ჭოლა ევაჭრება წყნეთელს ციმბირიდან:
– რა ღირსო ქილა მაწონი,
                                                  კაცო?

. . .

ირგვლივ ციმბირია.
ირგვლივ ღრმა თოვლია.
მთვარე საფლავიდან ადგა.
აქ არც ტფილისია,
აქ არც წყნეთელია, –
ჭოლა
        აღარ არი რადგან.

1950

## იმ დროს

ლექსს როცა დავწერ
და სახლიდან გამოვალ გარეთ
და იმ დროს თბილი საღამოა
და ოდნავ ბნელა...
სალამი ცაო!
გამარჯობა ნათელო მთვარევ!
ყველაში მე ვარ
და ჩემშია იმ დროს სუყველა!

ჰაერი! –
აი, საოცარი გამოგონება!
სუნთქვა –
ყოველგვარ აღმოჩენას აღემატება!
ეს ჰაერია,
ეს სუნთქვაა ჩემი ქონება
და ეს ქონება
თქვენ ხუმრობა ნუ გეგონებათ!

ლექსს როცა დავწერ
და სახლიდან გამოვალ გარეთ
და იმ დროს თბილი საღამოა
და ოდნავ ბნელა.

1951

ჲ

ნაცნობ ყვავილებს დაეძებენ პეპლები მინდვრად.
გაზაფხულია.
ქუჩაში გეძებ.
და...
მინდა,
მინდა,
მინდა,
მთელი სხეულით მინდა, –
შემხვდე!
გამექცე!

1951

ჲ

სახლიდან გარეთ გამოველ –
გავიარ-გამოვიარე...
ქუჩაში არვინ ჭაჭანებს.
ასფალტი შავად კრიალებს.
ხანდახან ნაგვიანევი ტრამვაი გაიგრიალებს...
იარე,
მიდი,
იარე,
რამდენიც გინდა –
იარე!

1951

## ჲ

შენი სიცოცხლე. შენი ნაბიჯი.
მე შემაყვარა შენმა სარკმელმა.
მე მიხარია, – შენ რომ არსებობ!
ვისი ხარ, – ეს რა ჩემი საქმეა!

შენით თენდება. შენით ღამდება.
მსურს სიარული შენთან ხელახლა!
შენა ხარ, რაც მე გამეხარდება!
რაც მეწყინება – ისიც შენა ხარ!

1951

## ჲ

შენ წაიკითხე მშვენიერი წიგნი.
წერილიც:
– ჩამოვალ ჩქარა! –
გწერდა ქალაქიდან იგი...
და...
რა ლამაზია ყველაფერი, –
არა?!

1951

## უნდა იცოდე

შენ რომ ქუჩაში ვაჟი გხვდება
(ყოველდღე თითქმის), –
ხან მოწყენილი,
ხან მხიარული...
ვაჟი –
სიმაღლით
შენზე ერთი მტკაველით დიდი, –
მძიმე ნაბიჯით მოსიარულე, –

ის, როცა ფიქრობს, –
შენ ხარ ხოლმე იმისი ფიქრი.

ღიმილი შენი
არ გეგონოს შენ მარტო შენი.
ცრემლსაც ნუ ჩათვლი,
ნურასოდეს,
შენ მარტო შენად.
ღმერთმა ნუ ქნას და...
შენ რომ იყო გადასარჩენი, –
თავს არ დაზოგავს
ის ვაჟი შენს გადასარჩენად.

შენ რომ ქუჩაში ვაჟი გხვდება
(ყოველდღე თითქმის), –
ხან მოწყენილი,
ხან მხიარული...
ვაჟი –
სიმაღლით
შენზე ერთი მტკაველით დიდი, –
მძიმე ნაბიჯით მოსიარულე, –

შენი ერთგული კაცია იგი!

1951

## მინუჩული მეცხრამეტე საუკუნისა
## ანუ იმერული ქელეხი

ახნლოვან მუხებში გაშლილია მდიდარი სუფრა.
გარდაიცვალა ცნობილი თავადი ფრიდონ!..
— ჩინებული აღაპია!
ლატაკი აზნაური — კონია — თავაზიანობს ნამეტანს:
— კარტოფილს არ მიირთმევთ, ქალბატონო აგრაფინა?!

მანდილოსანმა გადმოიღო მცირედი ულუფა —
ღიმილით ნაზით...
მამაკაცები ენაფებიან უშველებელ ყანწებს...
კონია — არწივი ბახტრიონის,
აგრაფინა — ვარდი შირაზის,
ეარშიყებიან ურთიერთს;
მოდგენ ხასიათზე, —

რაღაი გაძღენ.

(ო... ეს კი აღარ ვარგა):
კონიამ ყელი მოიღერა სამღერლად.
დაიჟინა: — ქორწილში ვართო!
არწმუნებს აგრაფინას:
— მე... ვარ იადონი...
და დღეს შენზე ვიწერ ჯვარს, ქორფა ვარდო!

— სირცხვილი არ გვაჭამო, თუ ძმა ხარ, კონია!
— კაცო, ქელეხია! რამ გააქორწილა! —
აღშფოთდნენ კონიას სახლიკაცები;

მიწი-მოწიეს მძიმე ყანწები...
წამოაყენეს კოწია,
გაიყვანეს გვერდზე –
კოწია ბალახში ქუდს ეძებს...
წაქცევაზეა, – მუხლები ეკეცება...
რაღა ექუდება!
რაღა ეძებნება!
ხითხითებს აგრაფინა...
და... ეს თუ ალაპია, –
ამასაც ვიკითხავ! – ცხარობს გარსევანი...
– ხალხს თვალი უჭირავს
ძლომაზე
გაქცევაზე!...

მერე
წითელი კუბო ორლობით მიაქვთ...
მერე
საფლავზე ამოდის ია...
მერე
იმ მიწას, სადაც ბალახია,
ფრიდონ წერეთელის საფლავი ჰქვია...
და...
რა თქმა უნდა,
ტირიფიც იქვეა.

1951

ღ

ფერდობებზე ნახირი ძოვს, ვაზი ჭიგოს ეკონება.
ყორე-ყორე მაყვლებია, მაგრამ რაღა მეყორება!
ტირიფებში წყარო მღერის, — იადონი გეგონება.
ისეთია, მე შენ გეტყვი, მუშტარი არ ეყოლება.
სიტყვას ვიტყვი, — გაიგონეთ მეგობრისა მეგობრებმა: —
დაუკარით სალამური, — წყალი თაფლი მეგონება!
დაუკარით სალამური, — ანწლი მარწყვი მეგონება!
დაუკარით, — კონახური კახამბალი მეგონება!

დაუკარით სალამური, — ოღონდაც კი დაუკარით...
სამყურა რომ სამყურაა, — ყურნი სცქვიტა სამივენი.
დაუკარით სალამური, — ოღონდაც კი დაუკარით, —
ყველაფერი ტკბილია და... ყველაფერი სანუკვარი.

დაუკარით ავთანდილის, ფრიდონის და ტარიელის;
სამია და...
დაუკარით, — მომილხინეთ სამივენი;
მათი სადღეგრძელო იყოს, მათი მრავალჟამიერი!

1951

## მრავალჭირვარამგადანახადი

მრავალჭირვარამგადანახადი, –
უნატიფესი ენა ქართული
(ყველაზე კარგად რომლის ლაზათი
შოთას ლექსშია გამოხატული!), –

ვინ იცის, –
მტარვალს გადურჩა რამდენს!
ვინ იცის, –
მტერი ჰყავდა რამდენი!..
მაინც შეიძლო მოსვლა აქამდე!
არ აღმოიფხვრა! –
არ გაცამტვერდა!

დღეს ბედი მისი ჰკიდია ჩვენზე! –
(ლარი და ხაზი ამას რად უნდა)
ჩვენ უნდა შევძლოთ! –
და კიდეც შევძლებთ! –
კვლავ იძლიეროს ენამ ქართულმა!

1951

გასწვრივ ზოოლოგიური პარკის ზღუდის, –
მაიაკოვსკის
            ლექსივით
                        დამტვრეულ
                                    ღელესთან...
დაახლოებით იყო ნახევარი ხუთის, –
ნაცნობი საღამო ვნახე.

საღამომ, რა თქმა უნდა, ვერ მიცნო
(სოფლად არ მცმია კოსტუმი).

ვერ მიცნო, ვერც მიცნობს – ათასი ვუმტკიცო –
მე ახლა ამ საღამოს – ლაშურისპირელს, –

რომ მე ვარ ის ბიჭი –
ლაშურის ქვებქვეშ რომ პერანგის ამარა ეძებდა ღორჯოს.

რომ მე ვარ ის ბიჭი –
გადახურჯინებულ ტომრით რომ საფქვავი გაჰქონდა ხიდზე.

რომ მე ვარ ის ბიჭი –
ღელის წისქვილიდან მჯიღს რომ ულერებდა ჭინკა.

გასწვრივ ზოოლოგიური პარკის ზღუდის, –
მაიაკოვსკის
            ლექსივით
                        დამტვრეულ
                                    ღელესთან...
დაახლოებით იყო ნახევარი ხუთის, –
ნაცნობი საღამო ვნახე.

1951

## გულუბრყვილო ნატვრა, — გამხელილი, წყნეთის ქუჩაზე, ერთი ასულისადმი

ცად მიმოქრიან მერცხალნი შავნი.
ქუჩაში ბიჭი ყვავილებს ყიდის.
არ იქნებოდა შესანიშნავი! –
იყო შენ ჩიტი?!
ვიყო მე ჩიტი?!

ჩიტნი რომ ვიყოთ, იქ წაგიყვანდი,
სადაც, ვით კაცი, ვიყავი უწინ;
გულს ვიჯერებდით მაშინ, გიყვარდეს,
ქსენიას ბჟოლით...
ვალიკოს ყურძნით...

ჩიტნი რომ ვიყოთ (ვაგლახ! – კაცნი ვართ!) –
არ იარსებებს ჩვენთვის მიჯნები;
შევეგებებით მღვრიე განთიადს,
ქვებს დაგვიშენენ
სოფლის ბიჭები.

ტირიფის ტოტზე გავძღებით ძილით, –
კმაყოფილები მაყვლით, კუნელით...
დე, ნუმც შენიშნონ ფრინველი წყვილი, –
ისე გავიდნენ
საუკუნენი.

1951

## ᲘᲘ

როს გაგაცილე.

როს გაგაცილე, –

ოდეს სურნელი ქროდა მინდვრიდან, –

რა ყურადღებით უსმენდა ფრინველთ

სამყურა მინდვრის, –

ლორთქო,

ყურცქვიტა.

როს გაგაცილე.

როს გაგაცილე, –

ოდეს სურნელი ქროდა მინდვრიდან, –

შევნიშნე,

ვიგრძენ:

დედამიწასთან

მზეს განშორება

რარიგ უმძიმდა.

1951

## სადღეგრძელო მინისა და სუნთქვისა

ახლა მთაწმინდაზე მწვანე ყლორტებს ცვარი აყრია უხვად.
ჯერ კიდევ ღამის გავლენაშია თბილისის ქუჩები.
ყვირილით თავს დაგვანახვებს ჟირაფა საყვირი;
ვიყნოსე თარიღი 1905.

ნააგარაკალმა მძაფრად იგრძნო ფურნის პურის სუნი საამური.

სალი ჰაერით – მოთბოთი – სულს ითქვამს ტრამვაიდან მგზავრი.

განწირულია მზის წერა ცვარი და ძილი.
იღვიძებს მოქალაქე.
ბაზარი ამწვანდა მწვანილით.
წვეთი არაყით შეხურდა ქართველი;
გახედა მარაბდას.
გახედა კრწანისს.
დახედა ქროლად ცრემლიან მწვანილს;
ღიმილმა აჯობა.
სახე მოებადრა: –
მინას და სუნთქვას დღეგრძელობა!

1951

## ის სინანულით შევიდა სახლში

გამომემშვიდობა... შევნიშნე სინანული;
მოვდივარ! –
გინახავთ თვალით სიხარული?!
ეს მე ვარ,
ეს მე ვარ,
ეს მე ვარ, მინაო.
ეს მე ვარ,
ეს მე ვარ,
ეს მე ვარ, ცაო.

მგონია:
ჩემი სუნთქვით სულდგმულობს ყოველივე.
წვიმას გადუღია, მიწა სოველია.
მწყურია:
შევისუნთქო ტყემლები, წყარო.

ვერ ვამჩნევ ვერაფერს, –
თუნდ ოდნავ საძაგელს.
ყველა ლამაზია.
ყველა კარგია.
მწყურია:
გადავკოცნო ხეები ცალ-ცალკე.
გაზაფხულია
და
მეტი რა გინდა!

გამომემშვიდობა... შევნიშნე სინანული;
მოვდივარ! –
გინახავთ თვალით სიხარული?!
ეს მე ვარ,
ეს მე ვარ,
ეს მე ვარ, მინაო.
ეს მე ვარ
ეს მე ვარ,
ეს მე ვარ, ცაო.

1952

## Ω

ძველად – იალქნიანი ნავების ხანაში –
ძველად – კაჟიანი თოფების დროს –
ესპანეთის ერთ-ერთ, პატარა, ზღვისპირა ქალაქში,
ნისლიანი ღამით – იმ დროს, როცა ეძინა ყველას, –
ქუჩებში დადიოდა კეთილი მოხუცი, –
ეჭირა ფარანი –
დარაჯი ღამისა იყო იგი.

იყო მოვალეობა მისი, –
ევლო და ელაპარაკა ეს:
– ნაშუაღამევის 3 საათია,
ქუჩებში უკვე აღარავინაა.
მოქალაქენი ღრმა ძილში არიან.
ნისლიანი,
ჩუმი ღამეა.
მიყუჩებულია ზღვა.
იძინეთ მშვიდად.
გისურვებთ ტკბილ, ბედნიერ სიზმრებს.
გიყვარდეთ ხელმწიფე,
პატივი ეცით მას.
გფარავდეთ ზეციერი მამა – მპყრობელი ცათა.
დიდ არს სახელი მისი.
იყავით კეთილნი...

და ამ ლაპარაკით მიეფარებოდა ხოლმე იგი
ამა თუ იმ ქუჩის რომელიმე მოსახვევს...

დღეს, –
ატომური ენერგიის ხანაში,
ღამით,
იმ დროს,
როცა ქუჩაში აღარავინაა,
– თვინიერ ხეთა,
თბილისის ქუჩებში დადის ახალგაზრდა ვაჟი, –
არ ლაპარაკობს იგი, –
იგი ფიქრობს...
ფიქრობს,
იმას ფიქრობს, –
ესპანეთის ერთ-ერთ პატარა, ზღვისპირა ქალაქში, –
კეთილი მოხუცი იგი – ლაპარაკობდა რასაც.

მოქალაქენი ღრმა ძილში არიან.

დილით კი,
როცა ეს ახალგაზრდა საჯაროდ იტყვის – ფიქრებს თავისას, –

ნაწილი მათი,
რომელნიც ღრმა ძილში იყვნენ წუხელ –
ე. ი. იმ დროს,
როცა ეს ახალგაზრდა ქუჩებში, – ცარიელ ქუჩებში დადიოდა, –
დასცინის მას,
გულიანად დასცინის,
ნაწილი კი, –
სველი თვალებით უსმენს.

1952

ჲ

უფრო სიხარულობს
ჩემი სიხარული, –
შენ რომ იზიარებ,
ის რომ იზიარებს.

თითქმის სიხარულობს
ჩემი მწუხარებაც, –
შენ რომ იზიარებ,
ის რომ იზიარებს.

თუა სიხარული! –
ასეთი კაცი ვარ,
არასდროს ვიკითხავ: –
ვისი არი?

ვისიც უნდა იყოს,
თუა ჭეშმარიტი,
ვიზიარებ.

არის მწუხარება?! –
რა საკადრისია,
იკითხოს კაცმა: –
ვისი არი?

ვისიც უნდა იყოს,
თუა ჭეშმარიტი,
ვიზიარებ.

უფრო სიხარულობს
ჩემი სიხარული, –
შენ რომ იზიარებ,
ის რომ იზიარებს.

1952

# ტირიფები

დაისტვინა ტოროლამა განთიადის მახარობლად;
სიხარული ვერ დამალა... მცენარეთა სამყარომა...

ტირიფები მეძახიან ჩვენი ღელის გაღმიდანა;
სიხარულმა ამაფეთქა, სიხარულმა აღმიტანა.

ვისუნთქო და ვილორძინო წყაროიან-ბორცვიანა;
გავიჟღინთო დედამიწით სულიანა, ხორციანა.

1952

ჲ

ვარ ცხრა მთას იქით.
მდუმარება მძვინვარებს ირგვლივ.

თბილისში ახლა საღამოა.
შინ არის იგი.

აი:
მან უცებ დაიწვრილა თვალები ფართო, –
უსიამოვნოდ განირიდა თამბაქოს ბოლი...

არ ვტოვებ მარტო, –
თუ მე იგი
არ მტოვებს მარტო, –
არ ვიცი.
ვიცი:
ვარ მარტო და...
ვართ მაინც ორნი.

1952

## ☊

ვიცი: შენ, ალბათ, ახლა მჭადის ცხობაში ხარ და
გესმის წყვეტილი ყმუილი მგლის, ზუზუნი ქართა.
ძვლებამდე ყინავს, – არის ზამთრის ღამე ქათქათა.
კრუტუნებს ცეცხლთან წამომჯდარი მცივანა კატა
და ოხრავს, ოხრავს შეჭირხლული ვერხვი ჭიშკართან.

ნედლი საკეცით უტრიალებ მხურვალე კეცებს.
საკეცე ხელში გიჭირავს და საკეცეს ეძებ.

ღონდები, რადგან თქვა ვიღაცა დროულმა გლეხმა: –
მოსალოდნელი არიო ლეღმა!

მთელი ქალაქი მისცემია აქ ჩემს ძაგებას, –
გამაბოროტეს, როგორც სოფლის მთვარე ძაღლებმა.

შენც ყოველ თვეში გიზიდავენ მარღნი ცხელ ჭორებს,
თითქოს მე, შენი ვაჟიშვილი, უზომოდ ვლოთობ...
არ დამიღონდე, – ყოველივეს გამოვასწორებ, –
ვინც ვეტრფი ქვეყნად მზეს წითელსა და მწვანე ფოთოლს.

1952

ჲ

დილაა.
სველია ბალახი.
სველია ბელტები ნედლი.
დილაა, –
სველი დილა.

შემომდის თვალებიდან სხეულში ყოველივე, –
ვივსები დედამიწით, –
წყლიანი ფოთლებით.

მწყურია:
მკერდიდან იშხუვლოს სისხლმა
და თბილი, თბილი, – მსუნთქავი სისხლი
სოველ ბელტებში
ვნებიანად მიმოიღვაროს.

ო! –
ეს იქნება უაღრესი სიამოვნება, –
ეს ნაკადულის ნეტარებას აღემატება.
ნედლი ბელტები თბილი სისხლით გაიჟღინთება.
ალერსით სისხლი მოიღლება, მოიღვენთება.

ო!
ეს იქნება უაღრესი სიამოვნება, –
ეს ნაკადულის ნეტარებას აღემატება.

1952

## ჲ

სრულიად ჯანსაღი, –
განხორციელებულ ნეტარებად, –
შევყურებ აყვავებულ ტყემალს
და...
ისე, ისე ვეტრფი, –
თითქოს საავადმყოფოს ფანჯრიდან
ავადმყოფის თვალებით ვხედავდე.
დილაა...

დერეფანში აგურისფერ ძროხას
ხორცით სავსე დედაკაცი წველის...
ძროხის ვარდისფერ ცურიდან
რძის თეთრი ჩხირები
წამდაუწუმ გამოსხივდებიან ხოლმე
და შავი ქოთნიდან
ხამუშ-ხამუშ ისმის ჩხრიალი მათი.
დილაა...

1952

# არგვეთის წვიმა

ჩვენს აივანზე მერცხალი გალობს, –
ყმაწვილს მწყურია მერცხლის ალერსი...
ცა იყოს თითქოს მართალი კალო,
როგორც ხორბალი –
კევრის ნალენი, –
წვეთები წვიმის
ცვივა
ციდანა...

სველდება ველი გადაცელილი.
ვხედავ სიმინდის დაულვაშებას.
გადაათეთრა მშვიდად წერილი.
გამოიტანა ზალიდან სკამი.
დაჯდა.
ცხამისკენ გაექცა თვალი
და
გააბოლა ბაბუაჩემმა.
. . . . . . .
ლელვის ფოთლებზე თქარუნებს წვიმა.
მუხის იატაკს მერცხალი დამზერს.
ჩემს პატარა დას ცრემლები სცვივა.
ვზივარ ბაბუას საყვარელ სკამზე.
. . . . . . .
სასაფლაოზე – ლაშურის გაღმა –
მარხია ჩვენი ბაბუა ახლა.

1952

## ქუჩის ხეები

ო...
რა საყვარელნი არიან ხენი.
ქუჩაში უხმოდ დგანან და დგანან.
ხანდახან ფოთოლი ხმადაბლა მღერის.
შრიალი...
შრიალი ცუდია განა!

არც ერთი მათგანი არ არის ხარბი.
ცალ-ცალკე ყველა გაურბის ღალატს.
ყინვაა... თოვაა... წვიმაა... ღამეა –
ხეები ქუჩაში დგანან და დგანან.

1952

## ქალიშვილი, რომელსაც უყვარს ბალახი და წვიმა

ქალიშვილმა, რომელსაც უყვარს ბალახი და წვიმა, –
მე გული მთხოვა ერთ საღამოს იმ ქალიშვილმა.

...და მე დილამდე ქუჩებში ვიარე...
შინ რომ მოვედი – გულაღმა დავწექ, –
ხელები თავქვეშ ამოვილაგე.

ქალიშვილმა, რომელსაც უყვარს ბალახი და წვიმა, –
მე ყველაფერი შემაყვარა იმ ქალიშვილმა.

1952

ჲ

მიხარია, – დატრიალდა
მინის ორთქლი ჰაერში.
მეც ცვარივით ალმიტაცე,
უფრო დაბლა დაეშვი!
დე, ცვარივით გავითქვიფო,
მზეო, მეც ამ ჰაერში.
მზეო, – მზეო, – მძლეთამძლეო, –
უფრო დაბლა დაეშვი!

ქარი მეტყვის: – აღგიტაცოს! –
მზესა მეცა ვეტყვიო! –
ყველა მინდა გადავკოცნო! –
ყველას მინდა ვემთხვიო!

კარგი ერთი! – რას მიქვია
უცნობი და ნაცნობი! –
მქონია და მაქვს იმედი
ჩემი კეთილკაცობის.

არაფერი არ ყოფილა
სიყვარულზე მაღალი.
მე ლენინის ქუჩა მისმენს
და კიროვის ბაღნარი.
ყურადღება სამყურებო!
ყურადღება გრიგალო!
ყურადღება! – ლაპარაკობს
საქართველოს მთა-ბარი.

1952

ჲ

ქალია დილა.
მიწა – ქალი.
საღამო – ქალი...
წვიმა ქალია...
ყველაფერი
ქალივით მიყვარს...
და როცა ვინმე
ჩემზე უკეთ
ადიდებს დილას, –
ასე მგონია:
მე რომ მიყვარს,
მართმევენ იმ ქალს.

1952

## რატომ?!

– მუხრან! –
ვეკითხები საკუთარ თავს, –
გახსოვს?! –
შენ როცა პატარა იყავი:
– ექიმი მოვაო! –
მამიდამ თქვა
და,
მართლაც,
უეცრად გაიღო ჭიშკარი:

ეზოში შემოვიდა ლამაზი ქალაქელი.
გასინჯა დედაშენი.
იხუმრა.
გააცინა.
ხელები გადიბანა.
მამიდა გაამხნევა.
გამოგემშვიდობათ.
ბაბუამ გააცილა.

. . .
დაღამდა.
შენ დაწექი და დაიწყე ოცნება:
როცა გავიზრდები, –
ლამაზი ვიქნები მეც.
ვიქნები მეც ექიმი.
და,
დედა როდესაც ცუდად შეიქნება, –
მამიდას
აღარ დასჭირდება სხვაგან სირბილი:

მე თვითონ მივხედავ დედას.
გადვიბან ხელებს.
გავამხნევებ მამიდას;
მე ბაბუა შემომთავაზებს პაპიროსს,
როგორც შესთავაზა იმ ექიმს.
– გმადლობთ, –
არ ვეწევი, მაგრამ თქვენი ხათრით, –
ვიტყვი მე,
როგორც იმ ექიმმა თქვა
და გავაბოლებ მე,
როგორც გააბოლა იმ ექიმმა.

დიახ! –
გავიზრდები თუ არა, –
მეც უსათუოდ,
უსათუოდ ექიმი ვიქნები.

დილით შენ შენი ნაფიქრალი
დედას უამბე.
ეამა დედას:
– აბა, შენ იცი, შვილოო!! –
გითხრა.

გავიდა ხანი.
დღეს შენ უკვე ვაჟკაცი ხარ.
შენ არ ხარ ექიმი.
ლექსებს წერ შენ
და მე გეკითხები შენ:
– რატომ გააწბილე პატარა მუხრანი?!

1952

## გაზაფხული

ეალერსება დედამიწას მთვარე საყვარლად.
შეხედე ერთი:
ტყემლებიც რა ამაყად დგანან!
მოდის სოფლიდან გაზაფხული ჩემს წასაყვანად
და სევდანარევ ნეტარებით მე ვტოვებ ქალაქს.

1952

## ვ

მინაზე სითბო დაეშვა მაღლიდან.
ყველაფერს მაღლა გაექცა თვალი.
მზემ,
როგორც პანია ლურსმანი მაგნიტმა,
ისე აღიტაცა მიწიდან ცვარი.

ავდივართ აღმართზე მე და ლამარა.
მერცხალი მიმოქრის ლაშურის პირას.
ტყემალი გამოსულა პერანგის ამარა.
ლამარას ჯერ კიდევ აცვია თბილად.

1952

## გამიცინა, – ჭეშმარიტად, – გამიცინა

ეკლესიამ, – ფათალოთი შემოსილმა,
შემომხედა (არ ვი რატომ!) ირიბად.
გავიხედე: ნაღვლიანად შემომცინა
საფლავის ქვამ, – პაწაწინამ, – მცირემა.

პაწაწინავ, რომელი ხარ ცათა შინა,
დედაღვთისამ, ალბათ, ძუძუ გაწოვა...
პაწაწინავ (არ ვი გელავ, არ ვი თინავ!), –
რომ იცოდე, – რა ძნელია კაცობა, –
საყვედურის ნაცვლად, მაშინ, ჩემო კარგო,
ღმერთს ეტყოდი, უსათუოდ, მადლობას, –
შენი სუნთქვა ვინც სიკვდილით შემოქარგა, –
დაკაცება რომელმაც არ გადროვა!..

მე რაც ვიცი, ამ ხეებმა რა იციან! –
(თუმცა, რა ვი, ქე იციან, იქნება!)...
გამიცინა, – ჭეშმარიტად, – გამიცინა
საფლავის ქვამ, – პაწაწინამ, – მცირემა.

1952

## გილოცავ!

(ყმაწვილთადმი)

გილოცავ!
გილოცავ!
ახალ წელს გილოცავ
შენ –
ვისაც სამშობლო გიყვარს...
გელა ხარ!
თინა ხარ!
შოთა ხარ!
ცირა ხარ!
ეს სულერთია –
ვინ ხარ.

ახალი წელია...
თოვლიც გვესალმება...
თოვლიც გვესალმება ციდან...
– ცრემლები?!
– ცრემლებზე – ბოდიში!
– ღიმილი?!
– ღიმილი –
რამდენიც გინდა...

ბავშვებო!
თქვენსავით
მეც ვიყავ მოსწავლე...
მე დღესაც არ ვსწავლობ განა?!

ამიტომ ერთმანეთს,
ამიტომ ერთმანეთს
ვუსურვოთ ბეჯითი სწავლა...

გვიყვარდეს სამშობლო,
სიმართლე გვიყვარდეს,
გვიყვარდეს,
გვიყვარდეს წიგნი...
რაც უნდა ისურვო,
რაც უნდა ინატრო, –
ესაა ყველაზე დიდი.

გილოცავ!
გილოცავ!
ახალ წელს გილოცავ
შენ –
ვისაც სამშობლო გიყვარს...
ზაზა ხარ!
ლაშა ხარ!
ვაჟა ხარ!
ნინო ხარ!
ეს სულერთია –
ვინ ხარ!

1952

## საქართველო

ვისაც უყვარს საკუთარი სამშობლო და მინდორ-ველი,
ვინც არ უნდა იყოს იგი, – ჩინელი თუ ინდოელი:
ვინც გლეხია,
ვინც მუშაა,
ვინც სიმართლის მძებნელია, –
საქართველო არ უყვარდეს, – ყოვლად შეუძლებელია!

კიდევ უფრო, კიდევ უფრო ილორძინე, საქართველოვ,
კიდევ უფრო ბევრი შვილი გამოზარდე სასახელო,
კიდევ ერთი რუსთაველი, კიდევ ერთხელ აამღერო:
შენც იხარო, – ჩვენც გვახარო, –
გამხნევდე და გაგვამხნეო! –
გევალება, საქართველოვ!
შეგიძლია, საქართველოვ!
გაგიმარჯოს, საქართველოვ!

1952

მეცხადებიან თაობანი გადაცელილი:
მევე მაოცებს აძგერება ჩემი გულისა...
მე მეცხრამეტე საუკუნიდან
მესმის ურმული, – თაფლის ცრემლივით,
წვიმა მასველებს
მეჩვიდმეტე საუკუნისა.

1953

## ჲ

დილა გათენდება, – ვინ იცის, რამდენი!
დღე-ღამე დედამიწას ასკდება ზვირთებად;
ვეებერთელა ციცინათელა
ქრება და ინთება...
ქრება და ინთება...

1953

## ზღვა

აიზნიქება
ტალღა
ლურჯი, –
უზარმაზარი...
დამუქრებული... ნაპირისკენ მოემართება...
ასკდება მიწას,
დაიფშვნება,
დაშოშმინდება...

და...
იხევს უკან.

კიდევ და კიდევ...
ტალღა
ისევ
აილუნება...
კვლავ დამუქრებით ნაპირისკენ გამოენთება...
კვლავ დაიფშვნება,
დაიმსხვრევა,
დაშოშმინდება...

და...
იხევს უკან.

შევყურებ მე ზღვის მძლავრი მკერდის აწევ-დაწევას...
მეცნაურება:
უსაზღვრობის წყურვილი მძაფრი...
ბორგავს და...
როცა დაოკდება,
როცა დაცხრება, –
მეცნობა ესეც...
და უსიტყვოდ ვშორდები ნაპირს.

1953

# ორი ცრემლიდან

ჩემს უკან, ღმერთმა ქნას, ჩემს
ქვეყანაში უკეთესობა შეიქნას.

**საბა**

ორი ცრემლიდან საქართველოს გაჰყურებს საბა;
ვერ დაუნახავს დღეს უცრემლოდ ქართველსა ქართლი.
– ორბელიანმა თვალისჩინი დაკარგა, ალბათ!
– პირიქით! –
ერთობ კარგად ხედავს და მიტომ ტირის.

მამული სისხლით გააჯერეს იმდენად მტრებმა, –
წვიმას ვერ იტანს...
დროდადრო
ცრემლი
ისე
წვეთავს
საბას წვერიდან, –
თითქოს
თოვლივით თეთრი წვერი –
თოვლივით დნება.

1953

## საგაზაფხულო

ქართლო! –
გახედე ქსანს! –
მდინარემ გაშალა ტოტი...
გზა! –
გაზაფხული მოდის!

ქართლო! –
გახედე მტკვარს! –
მდინარემ გაშალა ტოტი...
გზა! –
გაზაფხული მოდის!

წარბები შეიკრა ცამ.
ბალახმა გაბურღა ლოდი.
გზა! –
გაზაფხული მოდის!

გაშალე მერცხალო ფრთა.
შემოსე ბალახო კორდი.
გზა! –
გაზაფხული მოდის!
...
იქნება ყვავილი ბევრი.
ბალახი იქნება მწვანე.
გელით
გაზაფხულო, გელით!
მალე
გაზაფხულო, მალე!

1954

# იყო და არა იყო რა

იყო განთქმული პურადად,
ცხოვრობდა ჩინებულადა,
მიმინო ჰყვა და უყვარდა,
ცოლ მუცელს გადაუყვა და
ალაპი გადაუხადა,
ორმოცი გადაუხადა,
წლისთავი გადაუხადა,
საჭურჭლე გასცა უხვადა,
მაგრამ ვიდრე ცოლ, –
ვიტყოდი, –
მიმინო უფრო უყვარდა.

იყო განთქმული პურადად,
ცხოვრობდა ჩინებულადა,
მიმინო ჰყვა და უყვარდა,
ცოლად ახალსა ნატრობდა;
სიკვდილმა აღარ ადროვა,
სიკვდილმა არც მას უხათრა;
ღამე დაეცა ყაჩაღი, –
ყანყრატო გამოუღადრა.

დარჩა მიმინოს ბურთი და მოედანი.
ლუკმა რაღა შორიდან მოეტანა:
– გემრიალიაო ქათამიც შინაური! –
დაიწყო წიწილიდან
მამლით დაამთავრა;

ამის შემხედვარე
ძრწოდა
ხულა,
თავლა.

იყო განთქმული პურადად,
ცხოვრობდა ჩინებულადა,
მიმინო ჰყვა და უყვარდა,
მიმინო ჰყვა და უყვარდა.

1954

ჲ

ფართო ნაბიჯით მივდივარ გზაზე.
ქუჩაში დიდი ხეები დგანან.
სივრცე იმხელა გასაქანს მაძლევს!
იმხელა მთვარე დაჰყურებს ქალაქს!

ისე კარგია მაისის ღამე!
ქუჩაც ისეთი კარგია ახლა! –
ასე მგონია, ვაბიჯებ ჰაერს
და
ნელა-ნელა ავდივარ მაღლა

1954

## შემოდგომა

მთებზე გადმოდგნენ ზამთრის ჯარები, –
გადმოათეთრეს მთათა წვერები...
დაფრთხნენ ვაზები,
დაფრთხნენ ჭალები,
დაფრთხნენ ყანები,
დაფრთხნენ ველები.

– თავს უშველეთო! – იჭექა ვერხვმა
და...
რაც კი იყო იმჟამად ხილი:
უნაბი,
კომში,
ატამი,
ლეღვი, –
ყველამ ბეღლისკენ იბრუნა პირი.

კაკლები მაღლიდან ხტებიან კანკალით, –
ჯდებიან გოდრებში...
გარბიან ბეღლისკენ...
თავპირისმტვრევით ცვივა კაკალი, –
ხელებს იფარებს თავზე ლეღვის ხე.

სიმინდის ტეხვა და აჩეხვაც გახურდა, –
ძარებში დიდრონი ტარონი სხდებიან:
კიდობნის ახდას და კიდობნის დახურვას, –
ღმერთმანი, ველარ აუდის ბებია.

ყურძენი ვენახიდან გამორბის კოდებით, –
მარანში საწნახლები ივსება ხელად.

ვაშლებმა სასწრაფოდ დაცალეს ტოტები
და სახლის თავზე მოთავსდა ყველა.

ღრუბლებმა დაფარეს ცის ლურჯი კამარა.
ურმებმა ამოავსეს შარა.
წელზე შემოირტყა სასწრაფოდ ქამარი, –
ყანიდან გაიქცა ჩალა.

ნაწილი ჩალისა ხეებზე აცოცდა, –
იქ მოიკალათა ზვინებად;
ნაწილმა სასილოსე ორმოს მიაშურა
და დასილოსება ინება.

და...
ისე მოსუფთავდა ირგვლივ არემარე,
როგორც ვარსკვლავებით ნაჭედი ცა,
როდესაც ინათლებს
და წვრილი ვარსკვლავნი
მზეს დიდი მოწიწებით უთმობენ გზას.

და...
დარჩა საქონელს ბურთი და მოედანი...

...
ნასიმინდარს სიხარულით მოეფინენ ხარები,
ალტაცებას ვერ მალავენ თოვლისფერი თიკნები,
ძროხებს დიდი სიხარულით გაუდიდდათ თვალები:
– იალაღზე უკეთესი განა რამე იქნება?!

....
ბუხრის ყელიდან მტრედისფერი ამოდის კვამლი...
წიწილებივით გაფანტვია ძეწნას ფოთლები...
– დამიბრუნდითო! – საცოდავი უმწეოდ კნავის,
ამაოდ უხმობს გაქსუებულთ... შავი ტოტებით.

ბუხრის ყელიდან მტრედისფერი ამოდის კვამლი...
კითხულობს გაზეთს დერეფანში შუახნის კაცი.
იქვე ხელამოდ აუთოვებს თეთრეულს ქალი.
თავი ჩაურგავს შორიახლო წიგნებში ყმაწვილს...

და...
სოფელს უსიტყვოდ დაჰქათქათებს მთვარე მკაფიო, –
დედამიწაზე ისახება ჩრდილები ხეთა.
მდუმარებაა...
და –
ვინ იცის, მთვარე რას ფიქრობს! –
ეს მთვარე
ახლა
ქვეყანას ხედავს.

1954

## ნაცნობი მთვარე

იგი სახლიდან გამოდის ახლა.
ამხანაგები უცდიან გარეთ.
კვლავეინდებურად ელვარებს მაღლა
დედაქალაქის ქათქათა მთვარე.

სიცოცხლით სავსე გუგუნებს ქუჩა...
გოგონას სახეს უმშვენებს კდემა.
ტურფად უბრწყინავს თვალები ლურჯი.
მოდის ტრამვაი – ნომერი – 5.
ადის ტრამვაის კიბეზე მარდად.
ისწორებს ხელით ქათიბის კალთას
და
ფანჯარასთან ჯდება.

ტრამვაი მიდის...
განიერ გზაზე
ერთმანეთს ცვლიან ჭადრები, ხალხი.
მარტოდენ მთვარე,
თეთრონი მთვარე –
მისდევს ტრამვაის უცვლელი სახით.

ქუჩაში სუფევს დუმილი ხეთა...
ყველაფერ ამას სოფლიდან ვხედავ.

. . .
გულს ახალისებს ჰაერი სოფლის.
დგას საწნახელში ჭაბუკი ერთი.

შუბლზე წვეთები ასხედან ოფლის, –
ძალუმად სუნთქავს განიერ მკერდით.

განითლებია მტრედივით წვივნი.
თმას წამდაუწუმ ისწორებს ხელით.
მარანს თანდათან ერევა ძილი, –
წითელი ტკბილით ივსება ქვევრი.

გარეთ ფერები დაღვრილან კირის.
სივრცეში თეთრად მოძრაობს მთვარე.
იპირებიან ქვევრები ტკბილით, –
ხუჭავს მარანი მეწამულ თვალებს.

კომშის ტოტებზე ქათმები სხედან...
ყველაფერ ამას იგი თუ ხედავს?!

. . .

ორთავეს გვხედავს მთვარე კეთილი –
რძის დიდი წვეთი,
თეთრი წერტილი,
და აგონდება:
ვარაზის ხევთან,
შარშან,
მე და შენ,
რომ გვნახა ერთად.

1954

ღ

ღვიძავს ლაშურას.
მიდის ლაშურა.
ფიქრობს ლაშურა.
უკვირს ლაშურას: –
მზე რა ხმაურით ამოდის ხოლმე.
მთვარე ამოდის ხოლმე რა ჩუმად.
უკვირს ლაშურას.
მიდის ლაშურა.

1954

## ლაშურა

– გაამაყდიო! –
ალარ მკადრულობ, –
ალარ ბანაობ ლაშურაშია...
– „გაამაყდიო!“ –
ეჰ, ნაკადულო! –
გაამაყება რა შუაშია!

მე გავიზარდე.
შენ ხარ პატარა.
წინათ?! –
პატარა ვიყავი წინათ.
დღეს კი...
პატარა უკვე ალარ ვარ.
ვარ დიდი.
ალბათ, – გამზარდა წვიმამ?!

წვიმით მხოლოდ შენ დიდდები ხოლმე,
ჩემო ლაშურავ, –
ისიც დროებით...
არ შემწევს ღონე,
არ შემწევს, თორემ –
განა მე არ მსურს,
ვიყოთ ტოლები?!

1954

## არა!

ტყუილა კი არ ატყორცნილა ამხელა ხენი!
თავ-პირს ტყუილა კი არ იმტვრევს ქვებზე ყვირილა!
ანდა, საწნახელს უტკბილესი ქვიშხურის წვენი
ტყუილა კი არ წასკდომია სისხლად ცხვირიდან!

არა!
მე ამან საუკუნოდ აღმაფრთოვანა!
არგვეთის სივრცემ ჩამაწურა სულში ფირუზი!
გული სოფლიდან წამოვიღე სწორუპოვარი
და ძმაკაცივით გადავკოცნე დილა თბილისის!

არა!
ტყუილა არ ყიოდა მამალი თურმე!
ვაშლებში თურმე თენდებოდა ტყუილა როდი!
ჭრიალ-ჭრიალიც არ გაჰქონდა ტყუილა ურმებს!
არც ყვირილაზე ქანაობდა ტყუილა ბონდი!

არა!
მე ამან საუკუნოდ აღმაფრთოვანა!
არგვეთის სივრცემ ჩამაწურა სულში ფირუზი!
გული სოფლიდან წამოვიღე სწორუპოვარი
და ძმაკაცივით გადავკოცნე დილა თბილისის!

1954

## აივანზეა მეუღლითურთ პანტელეიმონ

მე შევუდექი ოქროყანის მდუმარე ქუჩას.
მხრებზე მეცემა აკაციის თეთრი ფანტელი...
ვეებერთელა ცა ლაპლაპებს ზღვასავით ლურჯად.
აივანზეა მეუღლითურთ პანტელეიმონ.

კარგია, – კაცი აივანზე ნებივრად იჯდე
და გაჰყურებდე:
მზე ქუჩაში ილვრება როგორ.
ხედავდე ბიჭებს (თუ ქალი ხარ), ახოვან ბიჭებს!
ხედავდე გოგოს (თუ კაცი ხარ), ხორციან გოგოს!

მე ვაკვირდები ოქროყანის მდუმარე ქუჩას.
მხრებზე მეცემა აკაციის თეთრი ფანტელი...
ვეებერთელა ცა ლაპლაპებს ზღვასავით ლურჯად.
ოთახში შედის აივნიდან პანტელეიმონ.

1954

ჲ

ჩემი კიდობნისა შენ ხარ არარატი.
ჩემი სინორჩისა შენ ხარ კაკანათი, –
შენი ტოროლათი.
შენი ყარანათი.
ბოლობეჭედათი.
ბოლოქანქალათი.

მე შენზე, გქონდეს იმედი,
ვერ შევძლებ ხელის ალებას.
შენ ხარ ყველაზე პირველი,
– რაც მუხრანს ეამაყება.

1954

## მე მიყვარს იგი

ქუჩაში გავალ,
რომ თვალებმა დალიონ წყალი;
გავალ თუ არა,
მყის იკლავენ წყურვილს თვალები;
დედაქალაქში ზედმეტია ქათქათი მთვარის, –
ქუჩებს სინათლედ ჰყოფნის შუქი ჩვენი ქალების.

(გთხოვთ, მაპატიოთ ეს იაფი ქათინაური, –
მე, რა თქმა უნდა, არ შემშვენის ასეთი რამე).
შენთვის ლეილა,
შენთვის ლამრი,
შენთვის ნანული,
ვინ იცის,
თეთრად გათენდება რამდენი ღამე.

ვინ იცის,
ვაჟი თუ რამდენი ოცნებობს თქვენზე;
თქვენ კი, ვითომცდა არაფერი, –
კისკისებთ ლაღად...
რამდენ უნიჭოს აწერინებს,
ვინ იცის, ლექსებს,
თქვენი სილამაზე ახლა.

... იცოცხლეთ ყველამ,
ყველამ დიდხანს იცოცხლოთ მინდა,
მაგრამ ყველაზე უფრო მიყვარს მე თქვენში ერთი;

იგი ჩემს თვალწინ
შუქივით იდგა, –
ამ ლექსს რომ ვწერდი.

იგი, არც ისე ლამაზია,
მაგრამ კარგია...
და, რაც ყველაზე მთავარია,
მე
მიყვარს
იგი.

1954

## კარგი დღე

წკრიალებენ ტოროლანი. მხიარულობს წყარო.
შრიალია:
ვერხვის,
კაკლის,
ვაშლის,
ცაცხვის,
მუხის...
ერთი სიტყვით: ყველაფერი, ყველაფერი ხარობს, –
აქაო და... განთიადის გვეწვიაო შუქი.

ბრუნდებიან წისქვილიდან დატვირთული ურმით.
ამოძრავდნენ ვებერთელა ტრაქტორები ველად.
გაიპარნენ ვარსკვლავები
ჩუმად,
ჩუმად,
ჩუმად.
შემოდგომა უხარია ყველაფერს და ყველას.

არემარეს მზის სხივები მოეფინა უხვად.
მზისთვის გზა რომ დაეთმო, – მთვარემ კეთილ ინება.
ვერხვმა,
ცაცხვმა,
კოპიტმა,
ტირიფმა და მუხამ
ბალახებზე ხელამოდ დაალაგეს ჩრდილები.

ფეხზე დადგა სოფელი. აიკეცა კალთები.
ტაფობია შუაში. ქედებია გარშემო.

ყმაწვილები სკოლისკენ იჩქარიან ჩანთებით.
– გამარჯობათ, ბავშვებო!

მოწანწკარებს ლაშურა. იღვიძებენ ჭალები.
სიხარულით სავსეა პოხიერი გარემო.
სიმინდს ტეხენ ვენახში კოლმეურნე ქალები.
– გამარჯობათ, ქალებო!

იღებს თავის ნაოფლარს ხალხი – მხნე და გამრჯელი.
მთვარეს ფერი ეცვალა. მზე ფანჯრებში იჭრება.
ზვინებს დგამენ კალოზე მკლავმაგარი ვაჟები.
– გამარჯობათ ბიჭებო!

გამოდიან ეზოში ნაირფერი ქათმები.
კრუხი უხმობს წიწილებს
(ჩანს, რაღაცა იპოვნა).
ყიპყიპებენ იხვები.
ყიყინებენ ბატები.
იცოხნიან ღობესთან ქორენა და ნიკორა.

გამობრძანდა მამალიც.
დადგა.
კოპნი შეჰყარა.
და გარემოს ისეთი სიამაყით გახედა, –
უმადლოდეს უნდა მას თითქოს მთელი ქვეყანა, –
რომ ასეთი კარგი და მზიანი დღე გათენდა.

1954

## ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘᲐ

განთიადია! –
ვგრძნობ ამ გულით,
ვიცი ამ ტვინით...
ცეცხლი
ცას
ცალკე,
ცეცხლი
ცოცხალს
ცალკე მედება...
ეს არის ლექსი!
დიახ, ლექსი!
ლექსი ნამდვილი!
ლექსი,
რომელიც
დაისტამბოს, –
არ გემეტება.

განთიადია! –
დედამიწის მძაფრი ნადილი.
განთიადია! –
დედამიწა რა დიადია...
განთიადია! –
ვგრძნობ ამ გულით,
ვიცი ამ ტვინით...
ადამიანო!
განთიადია!

1954

## ჲ

მე გამოვდივარ.
დღის ბოლოა, –
სრულდება 6.
ფართო ქუჩაში
ჩვეულებრივ მოძრაობს ხალხი...
გულუხვად ბარდნის.
ბეღურა კვნესის...
მე მოვაბიჯებ გაშლილი სახით.

დაგინახავ და...
გაზაფხული მყარდება ირგვლივ;
შუა ზამთარში
მეყურება შრიალი ხეთა...
რაც მართალია, – მართალია, –
გულწრფელად მიკვირს, –
ყველა ჩემსავით რომ არ ღელავს, –
შენ როცა გხედავს.

1955

ჲ

ეს ღრმა ხეობა, –
ნაკადულის აკვანი წინათ,
ახლა დუმილით არის სავსე, –
ხმაურის ნაცვლად...
და
წვიმა,
წვიმა,
წვიმა,
წვიმა,
წვიმა და წვიმა –
არის მუდამდღე
ამ ხეობის ფიქრი და ნატვრა.

1955

ჲ

ვისაც, –
თუნდ ერთხელ, –
მთაწმინდიდან სიამით მზირალს –
დაბლა თავისი უძებნია თვალებით სახლი,
ვისაც,
მჯდარს კენტად –
ღელის პირას,
ანდა ხის ძირას –
აღუდგენია სახეები ნაცნობი ხალხის, –
არა მგონია, არ იპოვოს ამ ლექსში იმან –
რაღაც ნაცნობი,
რაღაც ტკბილი,
რაღაც თავისი, –
ვითარცა ნაცნობს წარმოადგენს
ზღვათათვის წვიმა,
ვითარცა სუნთქვა წარმოადგენს
ნაცნობს ქარისთვის.

1955

## ლოდინი

შენ რომ მოხვიდე, როცა არ გელი
და მომიტანო თან წვეთნი წვიმის.
ღიმილს იტყვიან ჩემი ბაგენი.
ბაგენი ჩემნი იტყვიან ღიმილს.

1955

Ω

ტყუილუბრალოდ გაზაფხული კოხტაობს ახლა.
ტყუილუბრალოდ ვენახებში ტირიან ვაზნი;
სიხარულს ჩემსას –
უეჭველად გულწრფელს და მართალს –
აქვს გაზაფხულზე უფრო მეტი ეშხი და აზრი.

და ველარ ანთებს ძველებურად ახლა ჩემს თვალებს –
სკდომა კვირტების.
აფეთქება პატარა ჩირგვის.
ანდა! –
რას ვეძებ!
რას ვიპოვი!
რა დამრჩა გარეთ! –
გაზაფხულია უფრო დიდი როდესაც შიგნით.

1955

## ᲘᲘ

გაივლის დრო და...
– გახსოვს?! –
გეტყვი დღევანდელ დღეზე;
შენ შემომხედავ.
აგევსება თვალები ცრემლით.

– აი,
ხომ ხედავ –
სასურველის
მიღწევა შევძელ.
– აი,
ხომ ხედავ –
გავამართლე იმედი შენი.

გაივლის დრო და ...
– გახსოვს?! –
გეტყვი დღევანდელ დღეზე;
შენ შემომხედავ.
აგევსება თვალები ცრემლით.

– აი,
ხომ ხედავ –
რაც მინდოდა,
ვერაფრით შევძელ.
– აი,
ხომ ხედავ –
გავამტყუნე იმედი შენი.

გაივლის დრო და...
უნდა ითქვას ორიდან ერთი.
გაივლის დრო და...
გამოჩნდება ახალი ვინმე.
გაივლის დრო და...
– თქვი,
რომელს გეტყვი! –
მეორეს?!
პირველს?!

1955

## მდინარენი არგვეთის ახლომახლო

დილით, ეზოდან გამოვიდა შარაზე ვინცა
და თუნგით ხელში გაემართა წყაროსკენ მარდად.
გადმოიტანა ვინც ბოსტნიდან კამა და ქინძი:
ეს იყო კატო, პელაგია, მაკა თუ მართა, –
ისინი, ახლა, ღამეა და ტახტებზე წვანან.
ნაჭრის საბნებზე ნორჩი მთვარე თამაშობს ჭადრაკს.
საყურეებად გაუყრიათ სამყურებს ცვარი.
ჭასთან დუმილის ეშინია პატარა ჭადარს.

მდინარენი კი...
დიან,
დიან,
დიან და დიან...
არის ღამე თუ არის დილა, –
ეს სულერთია!

წვიმამ გადიღო. აღფრთოვანდა ერთბაშად ყველა.
ტრიალ მინდორზე ნაკადულად განერთხა ელვა.
შავი მერცხალი აივნიდან გაიჭრა ველად, –
მერცხალს ყვავილთა თაიგული მიართვა ველმა.

ჟრუნა ქათმები, – აბუზულნი ქლიავის ძირას, –
ერიდებოდნენ კოკისპირულს რომელნიც წვიმას, –
წვიმამ გადიღო თუ არა, –
მყისვე –
პეპლებს დასდევენ,
წინ და უკან
ინვდიან კისრებს.

მდინარენი კი...
დიან,
დიან,
დიან და დიან...
არის დარი თუ არის წვიმა, –
ეს სულერთია!

ვინც შარშან ამ დროს მიაბარა სამარეს მამა, –
ვისაც კარგა ხანს უგრძელებდა წამწამებს ცრემლი, –
ამჟამად იგი ღვიძლი შვილის დახარის აკვანს, –
პაწაწკინტელას ახლა ქოჩორს უვარცხნის ხელით.

მდინარენი კი...
დიან,
დიან,
დიან და დიან...
არის ჭირი თუ არის ლხინი, –
ეს სულერთია!

1955

# ღელე ჩემი და ვაშლები ჩემი

წისქვილი ჩემი.
ღელე ჩემი.
ვაშლები ჩემი, –
ესაა ჩემთვის საყვარელი, არგვეთო, შენში.
შენ ვერ მოხიბლავ ადამიანს
ვერც ზვირთთაცემით,
ვერც უღრანი ტყით,
ვერც კალმახით,
ვერც კარგი შეშით.

თენდება როცა.
მამლები რომ ყივიან ხოლმე
და ვარსკვლავები ცვარზე უმალ ქრებიან როცა:
არა მგონია, –
ქვეყნად იმ დროს რაიმე სჯობდეს! –
არა მგონია,
გაუტოლდეს სხვა დრო იმ დროსა!

წისქვილი ჩემი.
ღელე ჩემი.
ვაშლები ჩემი.
ამ დროს, მართლაცდა, საყვარელნი არიან ერთობ...
პერანგას მხრიდან
მზე მოარღვევს
ღრუბლების ჯებირს, –
მზე შეეფინა
ღელის გაღმა
აღმართულ ფერდობს.

თენდება.
ვხედავ თვალგახელილ, საყვარელ არგვეთს.
მზე დაეცხუნა დიდბაბუა ლუარსაბის საფლავს.
ჩვენს აივანზე მაჩიტელა ლურჯ თვალებს ახელს.
ცხენი ნედლ ბალახს ახრამუნებს ეზოში ხარბად.

ნისქვილი ჩემი.
ღელე ჩემი.
ვაშლები ჩემი, –
ესაა ჩემთვის საყვარელი, არგვეთო, შენში.
შენ ვერ მოხიბლავ ადამიანს
ვერც ზვირთთაცემით,
ვერც ულრანი ტყით,
ვერც კალმახით,
ვერც კარგი შეშით.

1955

**Ձ**

მე მიყვარს ხოლმე სიარული ქუჩაში მარტო,
იმ დროს, როდესაც დედაქალაქს დაიპყრობს ძილი...
მიყვარს, მიყვარს და... არ ვიცი რატომ!
(მიზეზის პოვნას არცთუ ისე ძალიან ვცდილობ).

დავდივარ.
მესმის საკუთარი ფეხის ხმა მხოლოდ...
ილვრება დიდი ფანჯრებიდან სინათლე ლურჯი.
და...
ვიცი:
ვივლი,
ვივლი,
ვივლი,
ვივლი
და...
ბოლოს
სასაფლაოზე წამიღებენ ამავე ქუჩით.

აუცილებლად, უსათუოდ მოხდება ასე!
მაგრამ მე მაინც გმადლობ, დედა,
დედაო, გმადლობ! –
ვხედავ ქვეყანას –
სინათლით სავსეს...
დავდივარ,
ვღელავ,
მიყვარს,
მაწვიმს,
ვიცინი,
მათოვს.

1955

რომ არ ამელო ხელში წიგნი, თოხი მჭეროდა.
რომ არ გამედგა ფეხი ჩვენი კაკლის ჩეროდან.
რომ მეთოხნა და შემესარა მხოლოდ ვენახი.
დიდი ქალაქი რომ არ მენახა! –

მეყოლებოდა ახლა ხარები.
შემოდგომაზე მთიდან შეშას ჩამოვიტანდი.
არ ვიქნებოდი აღარც ღარიბი,
აღარც მდიდარი.

ცოლი ყოველდღე თიხის კეცებს გაახურებდა,
ცივ სოხანეზე გადმოდგამდა ლობიოს ქოთნით.
მეყვარებოდა (როგორც მიყვარს) მინდვრის ყურება –
აიზლაზნება მინდვრებიდან როდესაც ორთქლი.

პარასკეობით საჩხერეში გავყიდდი სიმინდს,
მეუღლეს ჩემსას ჩითის კაბას ვუყიდდი იმით.

სოფლის სკოლაში ორი ბავშვი ჩემიც ივლიდა;
ბიჭს ალბათ ვანო ერქმეოდა,
გოგოს – ივლიტა, –
რომ არ ამელო ხელში წიგნი, თოხი მჭეროდა.
რომ არ გამედგა ფეხის ჩვენი კაკლის ჩეროდან.

1956

## სახლი

თავწაწყვეტილი ქათამივით ფართხალებს ვერხვი...
ქარი ბრმასავით ეხეთქება
ხან რას
და
ხან რას...
მოულოდნელად ქვემეხივით გავარდა მეხი
და
ლაშქარივით
                    გაენართხა მიწაზე ყანა.

შუა ეზოში
გაბარჯღული კაკალი ღელავს:
ღობეს
        ტოტები
                ტალღებივით
                        ასკდება კაკლის...
თავშესაფარის ძებნაშია გარშემო ყველა, –
ყველაზე უფრო მძაფრად ახლა იგრძნობა სახლი.

1956

## მამიდა

კაკლის ჩეროში,
მახლობლად ღობის,
ნაფოტები რო დაყრილა შეშის,
დგას
ქვის მაგიდა.
მაგიდაზეა პატარა გობი,
გობზე
ფრიალა თეფშებით ხელში
(ეს ხდება ხოლმე ივლისის თვეში)
პარკილობიოს კეპავს მამიდა.

ჩვენს აივანზე,
ღამე რო ქრება,
მზე რო ამოვა,
დილა რო დგება, –
ტყიდან რო მოდის მეზობლის გოგო;
მამიდა ვაშლის ჩეროში ჯდება
(არ მახსენდება, ეს როდის ხდება)
და არჩევს ხოლმე სოკოს.

თუ განწყრა ღმერთი
და ჩვენი ყანა
მოაკალოვა მეზობლის ღორმა
(რაც არაერთხელ ხდება):
მამიდა ვინმეს დაზოგავს განა?! –
ფილთაქვასავით იფეთქებს ხოლმე, –
„მიწას აყრის“ და
„მარხავს“ მთელ სოფელს
(განსაკუთრებით ახლო მეზობლებს),
მაგრამ
არავინ
კვდება.

1956

## რა განაცხადა გაზაფხულმა
## შვიდი თვის შემდეგ

შვიდი თვის წინათ ვინც იყო ბავშვი,
ვისაც „გაზაფხულს“ ვეძახდით მაშინ,
ძლიერ უყვარდა მხატვრობა ვისაც,
ვინც წამდაუწუმ თხუპნიდა მინას –
ცეცხლისფრად,
თეთრად,
წითლად
და ყვითლად...

ვინც ბუდეებში აწყობდა კვერცხებს,
ვინც შორეთიდან იწვევდა მერცხლებს,
ვინც ვენახებში კვირტებსა სკვნიდა,
ვისაც ტრაქტორი გაჰყავდა მინდვრად;

დღეს მოწიფული კაცია უკვე, –
სახეს ულვაში უმშვენებს ახლა;
ყრის საწნახელში გოდრიდან ყურძენს,
ქვევრებს ურეცხავს ბადაგის ტალღას...

ეკითხებიან: –
სახელი შენი!
აღფრთოვანებით შესცქერის ყველა.

პასუხად იმან:
გაშვეტა ხენი,
მიფანტ-მოფანტა ფოთლები ველად...

მოტეხა ყანა,
აჩეხა ჩალა,

მობარდა ძაძა.
მოკრიფა ხილი,
სავსე ურმებით გაავსო შარა,
სასიმინდეში ჩაცალა ხვირი...

აილო თავი,
გამართა წელი,
შემოიყუდა
თეძოზე ხელი
და
მედიდურად თქვა: –
მე
შემოდგომა
ვარ!

1957

## ჲ

ღრუბლებმა მზე არ ამოუშვეს ამ დილით ცაზე.
შუაღამისას დაწყებული გრძელდება წვიმა...
სიამოვნებით იშმუშნება ტირიფი ნაზი
და ვაზის ფოთლებს სიხარულის ცრემლები სცვივა.

ვხედავ: მეზობლის სახლის თავზე გატეხილ კრამიტს.
ვხედავ: ფოთლებზე თქარათქური გაუდის წვიმას.
ვხედავ: შარაზე ქალი გარბის სოველი კაბით.
ვხედავ: ქათმები აბუზულან ქლიავის ძირას.

წვიმს... ყველაფერი... ყველაფერი სველდება თვალწინ.
კრამიტებიდან
                    ვარდებიან
                                   წვეთები
                                             მწკრივად.

ყანა სველდება. გზა სველდება. სველდება ანწლი...
შუაღამისას დაწყებული გრძელდება წვიმა.

ამქვეყნად ერთად ვიმყოფებით მე და შენ ვიდრე! –
მზე თუგინდ სულ არ გამოვიდეს! –
თუგინდ – სულ წვიმდეს!

1957

## გოგებაშვილის ქ. № 43

ამოდის
        ახლა
                ავტობუსი
                        აღმართზე
                                ქშენით, —

რომ არ გაგასწროს, —
ფაციფუცით ტანსაცმელს იცვამ...
იმ ტახტის გვერდით
დგას ისევე საწოლი შენი, —
შანშან,
ხანდახან,
მამაშენი
რომელზეც იწვა.

გადიხარ გარეთ,
                        კეტავ კარებს.
ხელახლა აღებ.
კედლიდან
უხმოდ
გიმზერს
მამის
უძრავი
სახე.

1958

## Ω

არარაობა ყველაფერი მგონია ოდეს
(კიდევ კარგი რომ,
იშვიათად ეს ხდება ხოლმე)
და აღარ ვიცი:
რით დავღონდე,
რა მიხაროდეს,
ანდა იმედი
რისი მქონდეს, –
რისი არ მქონდეს! –
იმდროს,
იმჟამად –
ერთადერთი შენ ხარ მარტოდენ, –
ძალუძს რომელსაც
ჩემზე სევდა არ გაბატონდეს.

შენ რომ არ იყო! –
მე წარმოდგენა,
წარმოდგენაც კი
არ ძალმიძს ამის!
წინაშე შენსა
მზევდება ენა!
წინაშე შენსა
დღევდება ღამე.

1958

## ***

ქალი?! –
მიყვარს,
მიყვარს ქალი!
ღვინოც, –
ოღონდ არა ქარხნის!
პურიც, –
ოღონდ არა ფურნის!
პური – თორნის!
ღვინო – ჭურის!
ქალი –
მსგავსი გაზაფხულის!

1958

## Ջ

აქ, მიწის გამო, ორი კაცი როცა პაექრობს, –
ფეხის წვერებზე,
ღელის გაღმა,
იწევს სამრეკლო;
ამაოდ ცდილობს ყურადღების მიპყრობას იგი, –
არ იხედება
არავინ
იქით.

1958

## მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა!

მოსწავლეთა ზამთრის არდადეგებზე ბაკურიანის პიონერთა ბანაკში მოვხვდი. იქ ვნახე ქართველი პიონერები, რომლებმაც სიტყვაც კი არ იცოდნენ ქართული.

ეს ჩემი ლექსი, ბავშვებო,
არც შემოდგომას ეხება,
არც სურათია ზამთრისა,
არც გაზაფხულის შექება.

ეს ლექსი გახლავთ აუგი –
მე გამოვდივარ ძაგებით
იმ თქვენი თანატოლების,
იმ თქვენი ამხანაგების, –
საუბედუროდ, რომელნიც
ისე აღზრდილნი არიან,
ქართულად ხმას ვერ იღებენ,
რუსულად – გაგიხარია!

რუსულის ცოდნა, იცოცხლე,
სახარბიელო რამ არი,
მაგრამ ეს უნდა იცოდე –
მშობლიურია მთავარი.

ენა რა გაწყენს არც ერთი,
უნდა იცოდე რამდენიც;
ოღონდ არ უნდა დაჰკარგო
ქართული სიტყვის ნათელი!

მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,
რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს,
ვინც ვერ ახერხებს ქართულად
წერას, კითხვას და ლაპარაკს.

ვინც არც იცის და არც უნდა
იცოდეს ჩვენი წარსული;
ვინც ვერც ხმას იღებს ქართულად,
არც სხვისი ესმის ქართული.

განა იმისთვის იბრძოდნენ
წარსულში მამა-პაპანი, –
დღეს შვილმა აღარ იცოდეს
სისხლით დაცული ანბანი?!

თუკი წინაპარს შანთებით
ვერ დაავიწყებს ქართული,
თუ დღესაც მღერის ქართველი
ფერეიდანში ფანდურით, –
შენ აქ რა ღმერთი გაგიწყრა,
ვინ იყო შენი გამზრდელი,
შენი გულისთვის დაიწვა
როცა ამდენი ქართველი?!

მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,
რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს,
ვინც ვერ ახერხებს ქართულად
წერას, კითხვას და ლაპარაკს.

1958

## ვაითუ

ზეცაა როდესაც ლურჯი, –
ვარსკვლავებს როდესაც ვხედავ, –
ეჭვი გამკრავს ხოლმე გულში: –
თავს ხომ არ ვიტყუებ, ნეტა?

ვაითუ, – მერმისთან შევრცხვე, –
ვით ყინჟღლი, – ქუხილის შემდეგ;
ვაითუ, ღირსია ცეცხლის, –
რაც მოვისისხლფასე დღემდე!

1959

ჲ

გავიარეთ არგვეთი.
გავიარეთ გორისა.
—ჰაუ, ჰაუს! — ძახილი —
გაბრუნება ქორისა.
გავიარეთ არგვეთი.
გავიარეთ გორისა.

გაფრენილი მწყერივით მიდიოდა შარაგზა.
მე ვამბობდი გზადაგზა სულხან-საბას არაკსა.
გაფრენილი მწყერივით მიდიოდა შარაგზა.

1959

## გ

სახლ-კარი აზნაურშვილის, –
ახლა კანტორა კოლხოზის.
სიმინდებიდან გამოსვლა
ათქვირებული გოგოსი.

მწვანე ყანაში, აქა-იქ, –
შეღვრილი ყანა ოქროსი.
სოფელში კინოს მოტანა
და კლუბთან ხალხის ხორხოცი.

ეს არი ჩემი სოფელი!
ეს არი ჩემი ქვეყანა!
დიდება სამხარს გლეხისას
და მხარზე შედგმულ ხელკალათს!
დიდება შქერის ღობესა
და ყორე-ყორე ეკალას!

1959

## Ω

უდღეისდღეომ და უწარსულომ –
სიტყვა ვინა თქვა უაღსასრულო!

დღეო დღეისავ და გარდასულო! –
ხორცის კი არა, –
სულისა სულო! –
სიტყვა მაღირსე უაღსასრულო,
ვიდრე გავხდები მე უსხეულო.

მეტყვი თუ არა რაიმეს, სულო?!
მეტყვი თუ არა რაიმეს, სულო?! –
უაღსასრულოს და უსასრულოს,
ვითარცა ცხვარი,
ვითარცა ღვინო, –
სხეული ჩემი რომ შემოგწირო.

1959

მატარებლიდან მოვკარი თვალი:
მუხლამდე წყალში ბიჭები იდგნენ.
არაფრის გამო! –
                    ვით გავიხარე! –
თუ არ გინახავს! –
                    ვერ წარმოიდგენ!

მატარებლიდან მოვკარი თვალი:
მუხლამდე წყალში ბიჭები დგანან.
ჭიდან წყალს იღებს ვიღაცა ქალი.
რა ლამაზია ჩემი ქვეყანა!

1959

არა, გეთაყვა,
ახლა ცხოვრება —
შენ რო გგონია —
ისე როდია!..
მაგალითადრე:
შეყვარებულნი
თუ ძველად ველად ხელად რბოდიან, —
ახლა კინოთა წინარე დგანან,
მაჯის საათებს დაჩეროდიან,
მიდი-მოდიან,
მოელოდიან...

არა, გეთაყვა,
ახლა ცხოვრება —
ძველად რომ იყო —
ისე როდია!

1959

ღ

ვიცი, წამერთმის მზისა ჭვრეტანი, –
დღეს არა, ხვალე მოვკვდები, ვიცი!
ვიცი, იქ ჩავა ჩემი ცხედარიც, –
სად უთვალავი ჩასულა სხვისი!

ვიცი, ჩემს მერეც მოკვდება ბევრი, –
ზოგი სიკვდილის იქნება ღირსიც...
ვის რა ხელს მისცემს სიკვდილი ჩემი! –
ვინ ამოავსო სამარე სხვისი!

1959

ჲ

შენ –
სისხლო ჩემო –
სად არ დაღვრილო...
შენ –
სად არ გხვრეპდა შავი ყორანი...
ვინ გაგაკვირვოს,
რამ გაგაკვირვოს, –
ნადიდგორალი,
ნაშამქორალი.

შენ –
სისხლო ჩემო –
შენი ღვაწლია,
რამაც აქამდეც კი მოაღწია.
სვეტიცხოველი...
ხანძთა...
ვარძია
და ისიც, –
რაც მტერს წარუტაცნია.

შენ –
სისხლო ჩემო –
შენი დინება
ვეფხისტყაოსნით ხშირად მიგრძვნია...
სიტყვა,
რომელიც გეჩოთირება –
ვცდილობ – გაშორო, –
რაც შემიძლია.

შენ –
სისხლო ჩემო –
სისხლო ხნიერო,
დაუცხრომელო და უცნაურო...
საბედნიეროდ,
საბედნიეროდ, –
ჰაი, ჰაი, რომ
კიდევ ხმაურობ.

1959

ანდუყაფარო,
ლიპარიტო, —
დარნო მთათანო,
ბაგრატოვანთა ბანოვანის ტანო-ტატანო,
ბიჭო სესეო,
თოთიკაანთ ქალო მელანო,
ვაჟას არწივო,
შოთას ვეფხო,
ტატოს მერანო;

ბზიფო,
ენგურო,
ალაზანო,
მტკვარო,
იორო,
აგერ, ახლახან გარდაცვლილო გალაკტიონო;
ქინძმარაულო,
ტიბაანო, —
ღვინოვ კახურო;
გამოსროლილო ხევსურეთით ლექსო ხალხურო,
დიდო კოლხეთო,
დიდო ქართლო,
დიდო შამქორო, —
ვერ დამადუმონ,
ვერ დამძალონ —
თუნდა ჩამქოლონ...

ვერ შეაჩერებს ვერაფერი სიტყვას გაბედულს —
ფრთები მასხია
თქვენგნით...
მხოლოდ თქვენგნით...
რამეთუ.

1959

## სხდომა

თავმჯდომარე ორატორებს უხმობს სიით.
და...
გარეშე ყოველგვარი ხათრის, –
განსწავლულის (ეს რა ვნახე!) პრეტენზიით, –
ტრიბუნაზე
უნიგნური
ადის.

თავმჯდომარე ორატორებს უხმობს სიით.
და...
გარეშე ცეროდენა ხათრის, –
პატრიოტის (ვიღუპებით!) პრეტენზიით, –
ტრიბუნაზე
უცხოთესლი
ადის.

თავმჯდომარე ორატორებს უხმობს სიით.
და...
ტყუილში ქურციკივით მარდი, –
ქველმოქმედის (დავიღუპეთ!) პრეტენზიით, –
ტრიბუნაზე
მატრაბაზი
ადის.

და...
გექნებათ შენიშნული, ალბათ,
ჩაწყობანი როცა ხდება კარტის, –
ზოგიერთი,
ვინც ვერ უძლებს ამას, –
დარბაზიდან
ფეხაკრეფით
გადის.

1959

ღ

მიწას, –
ჩემსას, შენსას, მისას, –
ცა დაჰყურებს –
არავისი.

აი, მთვარე.
აი, წვიმა.
აი, თოვლი.
აი, ნისლი...

და, ეს მთვარე.
და, ეს წვიმა.
და, ეს თოვლი.
და, ეს ნისლი
(ჩემთან – ჩემი,
სხვასთან – სხვისი) –
არის ვისი? –
არავისი!

მიწას, –
ჩემსას, შენსას, მისას –
ცა დაჰყურებს –
არავისი.

1959

## ჯერ კიდევ როდის!

ჯერ კიდევ როდის
გვიხდიდნენ ბოდიშს!
ჯერ კიდევ როდის
ფოთობდა ფოთი!
ჯერ კიდევ როდის
იწერებოდი
„წამებავ წმიდის შუშანიკისა!"
– ნულარ იკითხავ!

ჯერ კიდევ როდის
მღეროდა შოთა!
ჯერ კიდევ როდის
გაიძახოდა:
„– სჯობს სიცოცხლესა!.."

ჯერ კიდევ როდის!

1959

## Ω

– გამარჯობა, როგორა ხარ?
– როგორც დაგიბარებია...
– სოფელში რა ამბავია?
– მშვენიერი დარებია.
– სხვას რას მეტყვი?
– სხვა რა გითხრა...
ვახტანგი ღმერთს ჰყვარებია!
– ვინ ვახტანგი?
– აღარ გახსოვს, –
შენთან დაუმთავრებია...
– მერე?
– ბიჭი შეეძინა –
საცრის ტოლა თვალები აქ...
– ბიჭი?!
მართლა?!
აი, მესმის!..
აბა, მე არ მგვანებია...
– რავა, შენ რა?
– რაღა, რავა, –
კაცი ჯავრით აღარა ვარ, –
სამი შვილის მამა ვარ და...
სამივენი ქალებია...

1959

## არსენას ლექსი

უღმერთო უსამართლობამ ტყეში მისროლა სახლიდან...
ო... როგორ მინდა, ცხოვრება დამაწყებინა ახლიდან;
თუნდ ერთხელ, ოღონდ ურმული მამღერა ხელში სახრითა.

1959

ეს გზა, მეც ვიცი, საითკენ მიდის...
გაივლის ქარელს...
გაივლის შინდისს...
ხან ხიდზე გადის,
ხან მიდის მინდვრით...
ეს გაზა, მეც ვიცი, საითკენ მიდის...

შენ გზა მითხარი,
ის გზა რომელიც...

ეს გზა, მეც ვიცი, საითკენ მიდის...

1959

ჲ

ნადირო, ტყე-ტყე წანწალი, – ოი, რა მძიმე ყოფილა...
მე კიდევ არა მიშავს რა, – ასე თუ ისე, – თოფი მაქ, –
შენ... შენ კი, – რა გეშველება, დადიხარ დედიშობილა.

1959

ᲓᲐ

მე არაერთხელ გამიგონია
ნატვრა მიწაზე, –
სულ ერთ მტკაველზე: –
ახლა თბილისში გამარონია
და მერე მომკლა –
აღარ დავეძებ!

რამ დაგამგვანა ასე ანდამატს?! –
რაშია საქმე, – მართლა და მართლა?! –
ან შენ ასეთი რა ხარ, ანდა მას,
ვინც შენა გნატრობს, –
რა დაემართა?!

არ იოცნებო – არა მგონია –
მტკვარზე...
ვერაზე...
და რუსთაველზე: –
– ახლა თბილისში გამარონია
და მერე მომკლა –
აღარ დავეძებ!

1959

## დამინებული ქართველი გლეხის მონატრება მკათათვეში

ვაი, დედასა მტრისასა! – ვაი, შენ ჩემო ქიტესა!
ბრალია, შენი მარჯვენა ახლა ქერს არა მკიდესა...
ვაი, დედასა მტრისასა! – ვაი, შენ ჩემო ქიტესა!

ყანა კურდღლაობს, დაპურდა, მწყერი ტანს ველარ ერევა...
ბიჭო, ხომ იცი, უშენოდ ჰოპუნა არ იმღერება.
ყანა კურდღლაობს, დაპურდა, მწყერი ტანს ველარ ერევა.

ო, ნეტა, იმ დღეს, შენ როცა ქოჩორს გიწეწდა ზეფირი,
ხელში ნამგალი გეჭირა, პირზე ღიმილი გეფინა...
ო, ნეტა, იმ დღეს, შენ როცა ქოჩორს გიწეწდა ზეფირი.

1959

## Ბ

გამისკდეს მიწა,
დამახრჩოს თოვლმა,
მიეეცე შმაგი მდინარის ზვირთებს, –
ღიმილის გარდა,
მე შენი მტრობა
თუ რამეს მგვრიდეს.

ირწმუნო დროა!
იცოდე დროა!
გეტყვი და გეტყვი კიდევ და კიდევ:
ღიმილის გარდა,
მე შენი მტრობა,
არც შეიძლება, რაიმეს მგვრიდეს.

1959

## დავითი

მუნით მოსკოს მეფე ვახტანგს
ვეახელ და თაყვანსა ვეც.
**დ. გურამიშვილი**

ჯდა ვახტანგ მეფე მარტოკა, –
უხანჯლოდ და ულახტოდა.
მაღლიდან ნახა:
სირბილით
          კიბეზე
                    კაცი
                              ახტოდა.

ავარდა –
მეფეს წარუდგა
და ფერხთა მისთა წინარე
დაემხო –
მიწას აკოცა...
ვახტანგმა:
          – ნეტა, ვინ არი?

ერთხანს უმზერდა ხელმწიფე
და როს უბრძანა:
                    – ადექი!
წამოხტა –
წელში გასწორდა
ვაჟკაცი წარმოსადეგი.

შეხედა –
იცნო –
გაოცდა –
წამოიძახა:
– დავითი!
თვალწინ დაუდგა
მიწა და
ზეცა და
ხალხი თავისი.

1959

## ჲ

ისე როდია მართლა საქმენი, –
როგორც ზოგიერთ ვინმეს ჰგონია...
გზას არ დაჰკარგავს სანთელ-საკმელი! –
კვლავაც იპოვნის, –
ვით უპოვნია!

ილაპარაკეთ! –
აბა, – ჰე! –
მიდით!..
ჯერ არ მოუკლავს კაცი დაცინვას...
ერთი ქართველის არ იყოს, –
ვიტყვი:
განა ყველაყა კაცი კაცია?!

და, სხვათა შორის, –
იმასაც ვიტყვი
(ერთში მერწმუნეთ, –
სულაც არ ვმასხრობ!):
არის მოვლენა სიკვდილზე დიდი,
კაცი რომ კაცსა
ვერ ცნობს თუ არ ცნობს!

1959

## ჲ

იქ დაბრუნდები ციდინა —
ცაში ასულხარ სიდანაც:
მინა რომ არა — წვიმაც კი
ვერ მოვიდოდა ციდანა...
არის კარგი თუ ავია
თუ რაიმეა — მინაა...

ვიტყვი — ცოცხალი რომ იყოს —
შოთა იტყოდა ვითარცა:
მინა არ ყველა მინაა,
მინაც არის და მინაცა.

მეც მეხარბება, ვითარცა
შეხარბებია ბარეორს:
დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ,
შენს მინას მიმაბარეო.

1959

## პოეტი

არ გაუგია მთელ ქვეყანას გაჩენა მისი
(იმ დროს, არც იყო,
კაცმა რომ თქვას,
ის ამის ღირსი).

იგი რომ გაჩნდა, –
გაზაფხული ყოფილა თურმე.
მთელი სოფელი გაკრეფილი ყოფილა ველად.
ბღუჯავდნენ ერქვანთ...
ღიღინებდნენ...
გუთნიდნენ მიწას...

ამბავი მისი გაჩენისა,
არამც თუ ყველას, –
სოფელსაც კი არ გაუგია მთლიანად მისას.

სახელი მისცეს...
გაიზარდა...
აჰკიდეს ტვირთი
და ზურგზე ტომრით გაისტუმრეს წისქვილზე ერთხელ...
მდინარის მიღმა შრიალებდა მინდორი დიდი,
ნაკადულივით მიდიოდა ბილიკი ტყე-ტყე.

... შეხედა მთვარეს, –
გაეხარდა დანახვა მთვარის...
აენთო სული, –
ხორცმა ცეცხლი იტვირთა მხატვრის...
იწვოდა, მაგრამ... მისი სულის ელვარე ალი
ვერ განეშორა სახლის სარკმელს,
ვით შუქი სანთლის.

თანდათან სანთელს მიენიჭა თვისება ნერგის:
კი არ დნებოდა, –
იზრდებოდა ხესავით იგი...
და ნელა-ნელა
ეს სანთელი, –
ოდენა ნეკის, –
მზედ გადიქცა და განეფინა ყველაფერს ირგვლივ.

ქურანს მოახტა, –
სულმა სივრცე ისურვა როცა...
ქროდა,
ეგონა: –
ხორციანა ცათამდე ავალ...
ვერ გადაახტა იგი საფლავს
ისე, რომ ხორცი
არ ჩავარდნოდა სამარეში,
ვითარცა მრავალს.

გაქრა,
დამარხეს.
დასამარდა – სიცოცხლის ღირსი...
აღმართის შემდეგ,
თავდაღმართზე დაეშვა ხალხი...
და თუ გაჩენა ვერ შენიშნა ვერავინ მისი,
ვით თრიმლის ძირას,
წვიმის შემდეგ,
ამოსვლა ვარყის, –
სამაგიეროდ, –
ოდეს ხორცი მიეცა მიწას,
ოდეს ლექსშილა ხმაურობდა პოეტის სისხლი, –
ქვეყანა შეძრა სიკვდილმა მისმა,
თხემით ტერფამდე
იგრძნო ხალხმა
დაკარგვა მისი.

1959

## ენგური

ვნახე ენგური, რომელიც კლდეს ღრიანცელით ეხლება;
ენგურთან, ჩემო არაგვო, ხმა აღარ ამოგეღება.

1959

## მინადორა

ქალი ტრიალებს დერეფანში თავსაფრიანი.
თვეა ღვინობის, –
დათვლილია ფოთლის დღეები...
ქარი თანდათან ახლოვდება შრიალ-შრიალით, –
უკანასკნელად შრიალებენ ალვის ხეები.

მზეს ქუდის მოხდით ეთხოვება ჭასთან გვირილა.
გაუსაპნავი მიჭრიალებს გზაზე ურემი...
ჭიათურაში როგორც შავნი ზვირთნი ყვირილის, –
ქალის ფეხებთან ირევიან ინდაურები.

ინდაურების დაპურებას დასჭირდა წუთი,
მერე სასწრაფოდ გადიბანა ქალმა ხელები...
კაბა ჩაიცვა საგარეო.
წაისვა პუდრი...
და იღლიაში ამოიდო ფეხსაცმელები.

მან ბილიკ-ბილიკ ფეხშიშველმა იარა დიდხანს...
გაჩერდა, –
უკან გაიხედა, –
არავინ ჩანდა! –
ჩამოჯდა,
ხელით გაიცილა ფეხებზე თიხა
და
ფეხსაცმელი მხოლოდ ახლა ჩაიცვა, რადგან
იქვე,
მახლობლად,
უკვე ჩანდა
სახლი მასპინძლის.

1959

## ელიზავეტა გეორგიევნა

ვილაც მხატვრისას აკვირდება კედელზე სურათს,
ხედავს:
გრძელწვერა მალაკნებსა და დუხაბორებს...
ეთამაშება აჩრდილს თვისას ოქროს საყურე.
დიაცი –
ფიქრიანი
პაპიროსს
აბოლებს.

ოთახში ქურდის ფეხაკრეფით შემოდის მთვარე...
მუნჯი, –
მუხლებზე დაცემული, –
ბუხარს ახურებს
და ქალბატონის ბრძანებით კარებს
მოაღლიავებს
მოსამსახურე.

1959

# ვახტანგი

(პოემა)

... თქვენ, მკვიდრნო ქართლისანო,
მოიხსენენით კეთილნი ჩემნი...
და სახლსა ჩვენსა ნუ შეურაცხჰყოფთ...

**ვახტანგის ანდერძი**

## ვახტანგმა წყალი ისურვა

მოგეხსენებათ, რა ძნელია პოემის წერა:
არა ერთი და ორი გახდა ამ საქმის წერა.

ეს, არცთუ ისე იოლი საქმე, –
როგორ დავიწყო,
სით მივუდგე,
მირჩიეთ –
რა ვქნა!

დავიწყო ისე,
როგორც სხვები იწყებენ ხოლმე, –
რატომღაც გული არ მაძლევს ნებას.
არადა,
უშნოდ რომ მოვედვა ლობეს და ყორეს –
ეს შეიძლება?! –
რა თქმა უნდა, –
არ შეიძლება!

რაც არის-არის –
გავარდეს ჯანი.
თუ გინდა ლაფი დამასხან თავზე, –
ესე პოემა იწყება ასე:

ვახტანგმა გადინადირა ქედი მაღალი – ტყიანი;
ვერ მოჰკლა ფური,
ვერც ხარი:
– ვაზირნი რას იტყვიანო!

ხელმოცარულმან მეფემან შორით შენიშნა ჭალა.
ჩამოხტნენ.
ბრძანა – დაჯდომა.
ცხენთ დაუყარეს ჩალა.
აღმოხდა მწუხრის ვარსკვლავი –
მკვდარი მზის მაჩანჩალა.
ულაყთა –
ლაგამწაყრილთა –
შეახრამუნეს ჩალა.

ვახტანგმა წყალი ისურვა.
გაიქცნენ:
მოვიტანთო!
ვაზირს ენადა რამ ეთქვა –
იჩქითად,
სწორედ ამ დროს, –
მოიჭრა წყალზე წასული –
გადასდიოდა ხვითქი.
– რა დაგემართა, –
თქვი ჩქარა!
თქვა: –
მადროვეთო –
ვიტყვი!..

– ვითარცა მოგეხსენებათ, – წარვედ მოტანად წყალისად;
ვეძებე,
მივდექ-მოვდექი, –
წყარო ვერ ვპოვე ღარისა.

შევხედე:
ღელე დიოდა, –
თვალნი გამიხდნენ ფართონი.
ვიფიქრე:
ღელეს წავიღებ, –
რას მიმიხვდება პატრონი!

გავბრიყვდი, –
ვიგულმავინყე ყოვლისმხედველი უფალი;
მყისვე ღრანტეში ჩავხოხდი, –
გავწირე კაბა – ჯუბანი.

ღელეს მივადექ...
და როცა ჩქერალს შევუდგი ტაგანი, –
წყალი გაცხელდა,
ადუღდა...
შევკრთი, –
დამეცა თავზარი.

მუხლზე დავეცი, –
ავტირდი,
ვახშირე პირჯვრის წერანი:
არ შემეწია
არც ღმერთი,
არც მზე,
არც წერამწერალი.

დამსაჯეთ! –
ჩემზედ ახია გზანი ულაღნი ჯანაბის.
ახია ჩემზე გაშავდეს ჩემი სახლი და ჯალაბი.

აბრძანდა მეფე.
მუნთქვესვე ფეხზე წამოხტა ყველაყა;
წყალი –
ადუღდა რომელიც –
უნდოდა ყველას ენახა.

მივიდნენ...
შეცბნენ...
მარტოდენ
მეფე გალაღდა ნამეტურ;
წყლის ღვთაებრივი ნიშატი –
იგრძნო,
შენიშნა რამეთუ.

ხმას არ იღებდა ხელმწიფე.
ვაზირთა შექმნეს ყაყანი;
ზოგმა
ცას ეჭვით გახედა,
ზოგმა
გასინჯა ტაგანი...

მეფემ აღაღო ბაგენი და შეწყდა მყის ლაპარაკი.
წარმოთქვა:
– იყავნ ქალაქი!
და...
აღმოცენდა ქალაქი.

...
სიტყვა მეფის, – საქმე შენი –
შოშიტა და შიოშ...
– რაღა გვინდა ანი წყნეთში,
ანდა მცხეთაშიო!..

მცხეთით.
წყნეთით.
თუხარისით.
ჩორთით.
ოთხით.
თოხარიკით –
უხალისოდ
თუ ხალისით
მოაშურა ხალხმა თბილისს...

ქვამ ქვა იგრძნო.
ძელმა – ძელი.
ჩაიყარა საძირკველი.
დაიბადა თბილისელი.
სტუმარს დახვდა მასპინძელი.
და...
მზეი როდესაც მოადგა აღმოსავლეთით თბილისს, –
მცხეთას დაეცა თბილისის ვეებერთელა ჩრდილი.

## სპილოები

კარიბჭე მოღლიავდა გალავანის:
მცხეთაში შემოვიდა ქარავანი.

ყველაყა –
მცირემდე დიდიდან –
იდგა და
სპილოებს ითვლიდა:
– ერთი...
ორი...
სამი...
ოთხი, –
ხელებს შლიდნენ:
– ვაა!..

ხუთი...
ექვსი...
შვიდი...
– ბიჭოს!..
– აი, – მესმის!
– რვა...
თერთმე...
თორმე...
ცამე...
თოთხმე, –
გრძელდებოდა თვლა.

ითვლიდნენ გულში,
ითვლიდნენ თითით,
ითვლიდა ქალი,
ითვლიდა ვაჟი...
და...
მიდიოდა ხალხის თვალწინ
ქარავანი თვლა და თვლაში:

ქართულ თვლაში,
სომხურ თვლაში,
სპარსულ თვლაში,
ბერძნულ თვლაში...
და...
მზით ძლეული მთვარის ცრემლი
ციმციმებდა მცხეთის თვალში.

რა გამოსცილდნენ მცხეთას –
თქვა დიდვაჭარმა ერთმა:

– იცოცხლე! –
ღდინზე ვიბანო
ჭრელ აბანოში ნურითო!

მეორემ:
– გაგიხარია! –
გამოვთვრე ატენურითო!

მესამემ:
– ოქროდ გავყიდი, –
ნაყიდსა ასპანურითო!

## თავმომწონე მხედარი და სხვა

ჯდა ცხენზე კაცი ვიღაცა;
– რა ბიჭიაო! – რა ბიჭი!..
ქუჩასაც,
ცხენსაც,
მხედარსაც –
დინჯი შვენოდა ნაბიჯი.

თვალს ახარებდა, – ალხენდა –
მწვანე ხავერდი ხეთანი...
– მე ვარ და ჩემი ცხენიო! –
უხმოდ იძახდა მხედარი.

ქალი შენიშნა –
ჩამოხტა –
ხოხობს წარუდგა არწივი, –
განზე გადგა და გაჩერდა
ცხენი –
ზედმეტი კაცივით.

დაიფრუტუნა ქურანმა –
ურმის გაისმა ჭრიალი –
ხარებს ტუქსავდა –
წყრებოდა
მეურმე მხარბეჭიანი.

იმ კაცს –
ქუჩაში რომელმაც
ძლივს გაატარა აქლემი –
ნვერები ჰქონდა,
მე მოვკვდე,
თხისაზე არანაკლები.

ფეხის ხმა ისმის ქუჩიდან ცხენთა.
ყავახანაში ვაჭრები სხედან:

– ტფილისისკენ სპილოებით მოდიანო ინდონი!
– ჩვენებურო საქონელო, – ხაბარდა და... მშვიდობით!

– ხატაელთა ქარავანიც უნახავთო გზაში!
– ინდოელებს კარგი დახლი დაუდგებათ მაშინ!

– სომხის ვაჭრებს თუხარელი დასცემია ლექსო!
– ვახტანგ მეფე კარგად იყოს, – დედას უტირებსო!

## რაო, – ვახტანგმა, – ვინ არი?

ჩამოართვეს ცხენი:
– აქეთ! –
უთხრეს ხელით.

უცხოს,
ვერ გეტყვი – რატომ და –
თავი ამაყად ეჭირა.
– რაო, – ვახტანგმა, – ვინ არი?
– დესპანიაო! –
ეჯიბმა.

მეფის წინ მიწას აკოცა ელჩმა.
მერე საკმაოდ ცბიერი სახით
მეფეს უსტარი გადასცა შაჰის.

ვახტანგმა წიგნი გაშალა, –
ჩაიკითხა და –
წახვია: –
ახია ჩემზე, –
ახია!

გაეღიმა მწარედ.
გაუშტერა თვალი წერტილს.
შეამჩნია ელჩმა, –
ვახტანგს კბილი აკლდა ერთი.

ანაზდად სახე იცვალა –
ფერი დაედო მგლისა –
წიგნი მიაგდო,
წამოდგა...
– არა! –
გამოსცა მქისედ.

ელჩი დარჩა სახტად.

## ცხენის წინა ფეხები

შეხლა-შემოხლა...
და ცხენი
ორ ფეხზე
დადგა შემთხვევით
თუ
ცათა მიმართ
ვედრებით
ალაპყრო
წინა ფეხები?!

თავს
დაწვდა
თითქოს
საკუთარს
ცხენით
უთავო თათარი;
ვერ მოახერხა აღება
და
ძირს
მოიღო ზღართანი.

## ორბის ფრთა ეტყვის ცერასა

ნაომარ ველზე განფენილა მთვარისა შუქი.
ყველაფერს თითქოს საკუთარი დუმილი უკვირს.
ფრთისა და ისრის
ერთგან ისმის ბაასი ჩუმი;
ერთიც,
მეორეც,
ფრთაც,
ისარიც –
ემდურის ჩუბინს.

– საშველი არა ყოფილა! –
ორბის ფრთა ეტყვის ცერასა –
ვერ დაველწიე ვერსაით
მე ჩემსა ბედისწერასა.

ვიფიქრე: –
ახლა მეშველა! –
ორბი რომ მოჰკლა ქიტესამ;
დღე უარესი დამადგა –
მე შენსა გადამკიდესა.

ორბის ფრთას – მოგეხსენება –
სისხლი არ გაუკვირდების, –
პატრონი ჩემი, – შენც იცი,
თავზარი იყო ჩიტების;

მაგრამ ღირს კია სათქმელად
დღეს სისხლი კაკბის, ხოხობის?!
დღეს, როცა კაცის – მე და შენ –
სისხლი დავღვარეთ კოკობით!

ოდესღაც მწვანე, – ქორაფი, –
ორბის ფრთას ეტყვის პასუხად:
– წვეთიც კი სისხლის არ სცხია
ჩემს-აწ დაკარგულ წარსულსა.

ჭალას ვიდექი –
ვიყავი – არა შენსავით ყიალა, –
მე ვარ და ჩემი ფოთოლი! –
ვიძახდი ომახიანად.

ვიდრე ხე ვიყავ – ჩემს ცოდვას
არსი იტყოდა რომელი?! –
ქვეყნით ბალახის ამოსვლის –
ვიყავი მახარობელი.

კრულ იყოს, –
ვინც მე გამთალა! –
აწ და მარადის კრულ იყოს!
სიცოცხლის მაცნეს
სიკვდილის
დამერქვა მოციქულიო!

## უჯარმით კაცი აფრინეს

ხელმწიფეს წყლულზე რაღაცა დაადვეს ჰაიჰარად.
უჯარმით კაცი აფრინეს: –
დოსტაქარიო, –
ჩქარა!
დაღამდა,
ვიდრე მივიდა
შიკრიკი ბოსტან-ქალაქს.
ნაშუაღამევს მოაგდო ქურანი დოსტაქარმა.

სხვა დოსტაქარი
მუნთქვესვე
მოაქლოშინეს კასპითა,
კიდევ სხვა ოძრხით მოიჭრა,
მაგრამ სამთავე გაწბილდა.

უძრავად იწვა ვახტანგი.
დავხედე –
ველარ ვიცანი.
კითხვაზე:
არის იმედი?
პასუხი: –
არავითარი!

ჯერ ერთმა,
მერე მეორე,
მერე მესამე –
აქიმთა –
ჩამოიშალეს
მკლავები –
შენუხებული სახითა.

შემოეჯარა ფიქრები საქართველოზე... მტერზე...
და თავი გარდმოგარდილო გახევებულმა ნერსემ.

## ᲕᲘᲗᲐᲠᲪᲐ ᲛᲢᲙᲕᲐᲠᲘ

მზე ამოდიოდა,
მთვარე ჩადიოდა,
მამალი ყიოდა,
კვამლი ადიოდა,
ვიღაცა ტიროდა,
ვიღაცა ჩიოდა,
ვიღაცას შიოდა,
ვიღაცას სციოდა, –
და დრო
გადიოდა.

ვითარცა ღვინო –
ქვევრიდან
ხაპში –
ხაპიდან
დოქში –
დოქიდან
ჯამში –
ქართული სისხლი,
ქართული სული,
ქართული სიტყვა,
ქართული გული –
გადადიოდა
კაციდან
კაცში.

გადადიოდა,
გადადიოდა,
გადადიოდა –
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
და მოდიოდა, –
ვითარცა მტკვარი.

გზადაგზა სვამდნენ,
ამღვრევდნენ, ღვრიდნენ,
ულმერთოდ რყვნიდნენ,
უგულოდ ყიდდნენ –
და...
მიუხედავად ამისა, –
მაინც –

გამოიარა რუსთველის გული,
გამოიარა ვახტანგის გული,
გამოიარა თამარის გული,
გამოიარა სულხანის გული...

და დღეს –
შოთაის ნაქონი სისხლით,
და დღეს –
ვახტანგის ნაქონი სისხლით,
და დღეს –
თამარის ნაქონი სისხლით,
და დღეს –
სულხანის ნაქონი სისხლით –
თბილისის ფართო ქუჩებში დადის:

ლეილა,
ლონდა,
ნათია,
ნანი,
ელისო,
ვაჟა,
გიორგი,
გივი
და...
იარონ!
იარონ!
იარონ!
ამინ!

1959

## მოხუცნი

– ხო ხარ მეხივით ალიბეგ?
– ველარ ვარ, ჩემო ყარამან...
– გვეშველებაა რაიმე?!
– ეჰ, შენი მტერი არაა!-

1960

## ღვინობისთვე

მწიფე ყურძნით ხარობს თვალი;
წელს უხვი ჩანს მოსავალი...
სახლის უკან ბღავის ბალი:
– ვაი, ჩემი ტყავის ბრალი!

1960

## ყრმობისჟამინდელი წუთის წუთით გაცოცხლება, – ნასაყდრის ახლოს, – ბლაღოჩინის ჭაროსთან

ქარი ყანას ვარცხნის.
ირხევიან ცაცხვები.
წლოვანებით ვარ ცხრის.
თურაშაულს ვაძლები.

1960

## წვიმს...

ვზი.
დღეა ულიმღამო.
წვიმს...
ვღონდები წვიმის გამო.
წვიმს...

1960

## ეჰ, ნეტა, იმ დღეს!

– ამ ორ-სამ დღეში
თბილისიდან ჩამოვა მამა! –
ვწვები, –
მამიდა მისწორებს საბანს...

– ამ ორ-სამ დღეში
თბილისიდან ჩამოვა მამა!
რას ჩამომიტანს?! –
ყველაფერს, ალბათ!

ეჰ!
ნეტა, იმ დღეს...
მაშინ ყველა ცოცხალი იყო! –
მამიდაც,
მამაც...

1960

## თქვი

მას უკან, რაც გაჩნდა ხალხი –
ერთს გემუდარები მინყივ:
თქვი!
თქვი!
თქვი!
ღირს?–
ღირს თუ არ ღირს?! –
პასუხის გამხადე ღირსი!

უაზრო ხმაური არ მსურს!
უაზრო დუმილი მიჭირს!
უკეთუ არ გამცემ პასუხს, –
შეკითხვის წამართვი ნიჭი!

1960

## პანაშვიდი

კაცები დგანან.
ქალები სხედან.
გაღებულია
კარები სახლის;
და, –
სამძიმარზე
ვინც შედის, –
ყველა
ცდილობს
მიიღოს
მწუხარე
სახე.

1960

## ჲ

ქალები?!
განსაკუთრებით ქალები ქალაქისანი! –
მე მოვკვდე, თუ არ მერჩიოს ტირიფნი არაგვისანი!

ყალბია მათი სიცილი.
ცრემლიც კი მათი ყალბია...
გიღალატებენ ისინი,
არ ენდო წითელკაბიანს.

ტირიფნი?
განსაკუთრებით ტირიფნი არაგვისანი! –
ესენი შენ არ გეგონოს ქალები ქალაქისანი!

წრფელია მათი შრიალი.
მათი ქვითინიც წრფელია...
ტირიფზე ნამუსიანი
ამ ქვეყნად არაფერია.

1960

## ᲔᲡ ᲘᲡᲔ

თავს საკუთარს
(არც ეცადო!)
გაექცევი ვერსაით!
არა! –
თუ არ დამიჯერებ, –
მოდექი და ეცადე!
ვინ ხარ!
რა ხარ!
რისთვის!
რატომ! –
ნათელია მზესავით...
ისე,
თუმცა,
კაცმა რომ თქვას,
ახლა,
რა დროს
ეს არი!

1960

## საქართველოში გაჩენის ღირსი

ტყე როა მწვანე,
ცა როა ლურჯი,
ზღვა როა წყნარი,
მზე როა გულში, –

ავხედავ ზეცას –
ხმა
მესმის
მისი.

დავხედავ მიწას –
ხმა
მესმის
მისი.

ქცეულა ზეცად,
ქცეულა მიწად –
საქართველოში გაჩენის ღირსი,
საქართველოში დამარხვის ღირსი.

1960

ჲ

მივდივარ,
რადგან
კვლავაც მინდა, რომ ვიყოთ ერთად.
გშორდები,
რადგან
მომენატრა შეხვედრა შენთან.

1960

გულაღმა მიწევს ოთახში მამა.
გათხრილ სამარეს დავცქერი უხმოდ.
მიქებს ბაგრატა საფლავის მიწას, –
აილებს –
დახე! – და იფშვნის ხელში.

დღეა მზიანი.
კრიალა ცაში
დასრიალებენ მერცხლები შავი.

1960

**ႳႨႰ**

სამი დღეა
დამიბრიყვა სევდამ:
სამი დღეა
გულმოდგინედ წვიმს...
მომანატრა,
მომანატრა ნეტა –
რაც მომწყინდა,
რაც მომწყინდა –
ის.

1960

ჲ

მოვარდა სეტყვა, –
თითქო
	თეთრი
		დაირხა
			თუთა.

ზარი! – კვლავ ზარი! –
კიდევ ზარი! –
დაიძრა „ფოთი“...
ვილაცა რუსმა
შეარჩინა დახლიდარს ხურდა, –
ქალს
	შეაჩერა
		ფანჯარაში
			სირბილით
				ბოთლი.

1960

ᲓᲜ

– არაყი?
– ლუდი!
– ერთი?
– ერთი!
– ინებეთ!..
– გმადლობთ! –
ვჯდები კუთხეში...
გარეთ წვიმს...
...
ვნატრობ...

1960

# პარასკევი

სარხერეს მიაშურებენ პარასკევს ჩვენებურები:
ცხამიდან მოდის ურემი.
ჩონთოდან მოდის ურემი.
იტავაზიდან მოდიან.
ბახიოთიდან მოდიან...
– იმე...
– კი, მარა...
– შე, კაცო...
– ქე, მაინც...
და...
– რა მცოდნია! –
ისმენენ ჩემი ყურები.
მოჭრიალებენ ურმები;
გოჭებით, ინდაურებით – მოდიან ჩვენებურები.

1960

## Ձ

პლეხანოვის და რუსთველის* შემდეგ,
მკვეთრად შემიცვლის ხოლმე ხასიათს
ერთი ყრუ ქუჩა, –
სადაც ტრამვაის
გაუქმებული ხაზია.

1960

* იგულისხმება პლეხანოვის (აწ აღმაშენებლის) და რუსთველის გამზირ-
ნი (თბილისში).

ᲓᲐ

ტა,
ტა,
ტა,
ტა!
რანაირად ბრდღვინავს არაგვი!
ხო,
ხო,
ხო,
ხო! –
ხმელეთს როგორ ეხეთქება ზღვა!
არა!
სხვისი მისაბაძი
რა მჭირს, –
თვარა, – კი!..
სხვა
როცა მე შემომნატრის,
მე
მივბაძო სხვას?!

მე – პატრონმა,
მე – პატრონმა
ამისთანა ზღვის,
მე – პატრონმა,
მე – პატრონმა
ამისთანა ცის, –
თუ ღმერთი გნამს,
თუ კაცი ხარ, –
სხვას მივბაძო?! –
ვის?!

რა გინდა რომ აქ არ იყოს, –
ენა იტყვის რას!
სიტყვა გინდა?! –
მარტო წვიმას
აქვს სახელი ცხრა.

მე შენ გეტყვი –
არ გეყოფა სიტყვის მარაგი...
არა!
სხვისი მისაბაძი
რა მჭირს, –
თვარა, – კი!

1960

## მგზავრები

– არ გავთავდი?!
– შენ ჩემი თქვი!
– არ ჩანს მაინც?!
– ჯერ არა.
....
– უი! –
ე...ე!..
– ესე იგი –
გვეშველა და ეგაა.

1960

ჲ

გზა თავისი, ხმა თავისი,
საკუთარი მიზანი –
ყველამ იცის? არა მგონი! –
მსგავსიც არავითარი.
ვინც იცის და ვინც არ იცის –
ყველა ვიცი – ვინც არი.
ნაცნობები ველარ მცნობენ,
რაც ცხოვრება ვიცანი.

1960

ჲ

გითხრა! –
რა გითხრა!...
ვით გითხრა!..
არ გითხრა! –
რა ქართულია!..
გადაჭარბების გარეშე, –
ისეთი გაზაფხულია...
ისეთი გაზაფხულია...
ისეთი გაზაფხულია! –
გინდ მერწმუნე
და
გინდ, – არა! –
გამოვიცვალე სრულიად!

სხვა რომ არ იყოს, –
ჯერ მარტო
ის რად ღირს, –
ოდეს ინათლებს...
ო... რომ იცოდე, –
რამდენჯერ
გინატრე, –
გულით გინატრე!

გითხრა! –
რა გითხრა!..
ვით გითხრა!..
არ გითხრა! –
რა ქართულია!..
გადაჭარბების გარეშე,
იცი, –
რა გაზაფხულია?!
ვერ წარმოიდგენ! –
ისეთი...
ისეთი გაზაფხულია!

1960

აქვს ერთი ბზარი ჩვენს მტკიცე ძმობას
(არ დაიბუდოს, ვშიშობ, იქ გველმა):
ხარ მოკლებული წარსულის გრძნობას,
როგორც, საერთოდ, უაზნო ყველა.

1960

## უხალხო ქუჩა

სუნთქვაში ისმის
ხმაური სისხლის.
სქელია ნისლი.
შორს ხმაა მამლის.
შედედდეს ლამის
თამბაქოს კვამლი.
სუსხია ღამის.
არსაით მგზავრი.
საათის 3.
წყურვილი მძლავრი:
ქუჩაში ქალის სხეულის გავლის.

1960

## Ω

თუ გული გაქვს –
არ იქნება,
რომ არ გიყოს
გულმა რეჩხი...
არ იქნება
არ გენიშნოს
ჩვენი კუთხის
შნო და ეშხი:
წვიმის შემდეგ,
ხიდან წვიმა, –
ქარის გამო,
ანუ ლეშხი,
ჩონთოელი –
ქათმით ხელში –
მიმავალი
საჩხერეში.

1960

## დიალოგები წვიმაში

1.

დაიგრუხუნა,
– თუ გაწვიმდა, –
ხო გავკეთდებით! –
ხმა შემომესმა,
ორლობიდან,
ვიღაც გლეხისა.
წვიმს და...
ცვენის ხმა, –
სიბნელეში, –
მოლზე წვეთების, –
კაცი
რომ
რამეს
ეპარება, –
ჰგავს მის ფეხის ხმას.

დაიგრუხუნა.
ცას შეუდგა ჩიტმა ფეხები.
კვლავ ხმა გაისმა
(ახლა სხვისი):
– ძლივს არ გველირსა!
წვიმს და...
ცვენის ხმა, –
სიბნელეში, –
მოლზე წვეთების, –
კაცი
რომ
რამეს
ეპარება, –
ჰგავს მის ფეხის ხმას.

2.

## ᲓᲔᲠᲔᲤᲐᲜᲨᲘ ᲡᲮᲔᲓᲐᲜ. ᲐᲑᲝᲚᲔᲑᲔᲜ. ᲙᲝᲙᲘᲡᲐᲘᲠᲣᲚᲐᲓ ᲬᲕᲘᲛᲡ

– ჯერ იყო და, წვიმის მოსვლას
არ დაადგა საშველი, –
ახლა თავის მოგვაბეზრა,
შენ ხარ ჩემი ბატონი! –
თუ სახლში ხარ, –
კიდე, – ხო!
თუ გარეთ ხარ, –
რას შვები? –
ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობს,
ძაღლს ვეღარ ცნობს პატრონი.

– ოღონდ წვიმამ გადაიღოს,
ოღონდ ის დღე გათენდეს,
და თუ მე არ შემოვძახო
რიხიანი სიმღერა,
და თუ ქრისტეს არ ავუნთო
მე ჩემსიგრძე სანთელი,
მე სიგანე მომცეს ქრისტემ,
რაც სიგრძე მაქვს, –
იმხელა.

3.
– რა საქეიფო ამინდია!..
რას იტყვი?..
– აპა!..
– დალევდი ახლა?..
ხო დალევდი?..
დალევდი?..
– იმე!..
– შენ რავა ფიქრობ, –
ხვალდილამდე გადიღებს, ალბათ?..
– რა ვიცი, –
ვნახოთ...
ვერ მოგცემ იმედს.

– კი, მარა, კაცო,
ნუთუ ხვალაც იქნება წვიმა?..
– კი.
უეჭველად.
იმნაირად წვიმს.
– ახლა,
ბუხართან,
კაი ღვინო,
წითელი ღვინო, –
ჰა!..
რავარია?..
– იფ,
იფ,
იფ,
იფ,
იფ!

4.
გარეთ ხმაურობს წვიმა...
ოთახს ანათებს ლამპა...
– პეტუშა გახსოვს?
– იმე!
– რა ბიჭი იყო!..
– აპა!

5.
**სტუმარ-მასპინძელი**

– მოგწონს?
(პასუხი არაა.
ბუხართან სხედან.
წვიმს).

– არა! –
იქნება, არ მოგწონს!..
კი ნუ გრცხვენია!..
თქვი!..
(ლაპარაკია ღვინოზე,
როგორც აღვნიშნეთ, –
წვიმს...
ღვინო კი,
მოგეხსენებათ,
კარგია,
როცა წვიმს).

– მოგწონს? –
ჰა?..
(ისევ დუმილი).
– დალევას აღარ მაცლი?!
(რას ერჩი! –
თავის ღვინოზე
კაცს სურს გაიგოს აზრი).

1960

ჲ

კაცი ხარ მაშინ,
თავზე ქუდის მაშინ ხარ ღირსი,
როდესაც იცი, –
ზედმიწევნით როდესაც იცი:

რა არ უნდა თქვა,
რა უნდა თქვა,
როგორ უნდა თქვა,
სად არ უნდა თქვა,
სად უნდა თქვა,
რატომ უნდა თქვა.

ცხრა თვალი გმართებს,
ცხრა ყური გმართებს, –
ნათქვამიც შენი,
ვითარცა სხვათა, –
არ გახდეს რათა
სხვების და სხვების
გულისხმიერი განხილვის მსხვერპლი.

1960

## ჲ

ღვინოს მიმართეს
(მოიარა სუფრა არაყმა).
კარგი ოჯახი.
პურმარილი, – შენი ქებული.
– ერთად ვსწავლობდით! –
დიდ პოეტზე ამბობს ამაყად
კაცი რიგითი, –
რიგითობას შერიგებული.

1960

## ***

შილიფად ჩაცმულ ქალებს მიაქვთ პურები თორნის...
სოფელს გვანატრებს უმოწყალო ზაფხულის ალხი...
ჭადრის ჩეროში, ტროტუარზე, ვდგავართ ჩვენ ორნი;
გადის,
გამოდის,
მიდის,
მოდის
ქუჩაში ხალხი.

ცოცხი უჭირავს მეეზოვეს ორივე ხელში...
ტრამვაის ხაზი...
მაღაზია...
ცხელი აგვისტო...
ვისაც ეხება, იმის გარდა, სუყველას ესმის:
– შე კაი კაცო,
უნდა მორწყა ხოლმე დაგვის დროს!

1961

ამ ქვეყნად მოსვლა ჩემი და შენი,
თქვი! – ნუთუ მარტო იმიტომ ღირდა, –
რომ სიკვდილამდე რაღაცას ელი
და იმის მერეც რაღაცა გინდა!

1961

## ჩემს პატარა ნანას

პანია ქვაბი ცხელია ვითომ,
ცხადია, იცი, არაა ცხელი
და მაინც ხელში იმარჯვებ ტილოს,
რომ არ დაგეწვას ხელი.

ანდა
თოჯინას სასტიკად ტუქსავ,
საბანს უსწორებ,
უწყრები თითით;
ძალიან კარგად იცი შენ თუმცა,
თოჯინა საბანს ვერ გადაიხდის.

მალე,
სულ მალე,
ოდეს აღარ იქნები ბავშვი
და კაბის ჩაცმა არაერთხელ მოგიწევს შავის;
მაშინაც თუ არ მოიტყუე ასევე თავი,
ასევე თუ არ მოიტყუე მაშინაც თავი, –
ვაი, შენ მაშინ!

1961

## ჲ

თოფით მხარზე
შევუდექი აღმართს...
რა თქმა უნდა,
წინ გამისწრო ძაღლმა.
ამიფრინდა,
არ ველოდი,
მწყერი! –
შევიკურთხე,
ჩავიქნიე ხელი...
ავივაკე...
ქვაზე ვზივარ ახლა, –
რა კარგია,
აქ რომ დამასახლა.

1961

## ჲ

იმდენი კარგი ვაჟკაცი მოკვდა,
იმათზე კარგი ვინ უნდა მოკვდეს!
მაგრამ მე მაინც სევდას მგვრის ახლა –
არც ისე იგი, რაც უკვე მოხდა,
როგორც ის –
ანი რაც უნდა მოხდეს!

1961

### ᲘᲐ

ვიდრე შენთვის ღმერთი სიკვდილს გაიმეტებს, –
ხომ უნდა შეიქციო თავი რაიმეთი!

ხოდა...
ან გამყიდე,
ან ცოლი წამგვარე,
ან დანა დამარტყი,
ან...
რაღაც ამგვარი.

თვარა,
ხომ იცი, ღმერთი რავარიაა!
ვინ იცის, სიკვდილს როდის გაიმეტებს!
რა გააძლებინებს ისე ადამიანს, –
თუ არ შეიქცია თავი რაიმეთი.

1961

## Ω

მიჰყვება კუბოს მწუხარე სახით –
საფლავის რიგში ჩამდგარი ხალხი;
და თუმცა რიგი მიიწევს ნელა, –
საფლავი
ყველას შეხვდება,
სჯერათ!

1961

ჲ

რომელსაც შენი მონობა ჰმართებს,
ხარ ქვეშევრდომი როდესაც მისი, –
აღემატება ყოველგვარ სასჯელს,
რაც კი ოდესმე ყოფილა სადმე,
კაცობრიობამ რაც დღემდე იცის.

1961

## ღ

ვით ამოღებული მოვდივარ ხმალი:
ფეხთ მიწა მაცვია,
თავს მხურავს ზეცა...
ღმერთო დიდებულო! –
მამყოფე მარად
ისეთ ხასიათზე,
როგორზეც
დღეს ვარ!

1961

## ბიჭები

ქუჩაში სამი საუბრობს ბიჭი.

პირველი: –
თვალი რაც უფრო გიჭრის, –
გაქვს უფრო მეტი
სიბრმავის ნიჭი.

მეორე: –
ენა რაც უფრო გიჭრის, –
გაქვს უფრო მეტი
დუმილის ნიჭი.

მესამე: –
ჭკუა რაც უფრო გიჭრის, –
გაქვს უფრო მეტი
სიბრიყვის ნიჭი.

ქუჩაში სამი საუბრობს ბიჭი.

1962

## Ω

საქართველომ დღემდე
მოაღწია ციხით.
ანი?
დღეის შემდეგ?
დღეის ამას იქით?

1962

## კაცია და გუნება

ზოგს აშკარად ეტყობა –
ჩემი არ ეყურება.
რა ვქნა, რა გაეწყობა! –
კაცია და გუნება.

ზოგს პირიქით, ჩემდარი
არავინ ეგულება.
ესეც ბუნებრივია! –
კაცია და გუნება.

არაფერი გულწრფელი, –
კაცს არ გაემტყუნება.
ღმერთი ყველას უშველის! –
კაცია და გუნება.

1962

ჲ

ხმას ამოიღებ –
ვაია!
ჩუმად იქნები –
უი!
ვინც ლაპარაკობს, –
ხომ ტყუის!
ვინც დუმს, –
ის უფრო ტყუის!

1962

**Ձ**

სხვისიც ყოფილა თუ ყოფილა ჩემს თვალზე ცრემლი.
ვყოფილვარ სხვისი სიბრალულით მრავალჯერ ჩუმად...
ყოვლადძლიერო,
გახარება თუ გინდა ჩემი, –
უნარი სხვისი გახარების მიბოძე უმალ!

და კიდევ, თუ არ შემომწყრები, მისმინე ერთიც:
სიხარბე ახლავს, სამწუხაროდ, სიხარულს რადგან, –
თუ შემიძლია,
დამაყენე იმდენად მაღლა, –
არ შეეხარბოს
სიხარული
არავის
ჩემი.

1963

ქუხდა სტრიქონი.
ხმა ქარიშხალს იწვევდა ხმალში.
ეს ლაპარაკი,
ეს ამბავი, –
სად იყო მაშინ!

გამოვიდოდი, –
თენდებოდა ქალაქში ლურჯად.
შემომხაროდა
სათითაოდ
ყოველი ქუჩა.

მაშინდელივით გამატარა ქუჩაში ერთი
და არაფერი არ მინდა მეტი!

1963

## Ω

ჯიბიდან ამოიღო ასანთი.
მობოჭა ნაფოტები.
ჩაცუცქდა.
ძაღლი უყურებდა პატრონს.
კუნჭულში ეყუდა თოფი.

გაჩაღდა ცეცხლი.
კაცმა გაშალა ნაბადი.
აბგიდან დააძრო პური და დოქი.
დანაყრდა.
გაიწყო ჩიბუხი.

გარედან წვიმის ისმოდა თქაშუნი.
კოკისპირულად წვიმდა.
კაცი აბოლებდა.

სიამოვნებდა:
რომ იყო მარტო.
რომ ჰქონდა თოფი.
რომ ჰყავდა ძაღლი.
რომ ენთო ცეცხლი.
რომ იყო ქოხში.
რომ წვიმდა გარეთ.

1963

ჲ

გამოვა რამე თუ არ გამოვა?!
რისგან გამოვა და რა გამოვა?!
მზე არ ამოვა თუ მზე ამოვა?!
განთიადია თუ საღამოა?! –
განთიადია თუ საღამოა –
ვაი-ვაგლახი ამის გამოა.

1964

ჲ

ფიქრი რატომღა ნეტა ამდენი?!
ნატვრა რატომღა ესოდენ უხვი?!
გუშინდელივით –
დღე დღევანდელი –
ხვალ სანატრელი გახდება თუკი!

1964

თენდება ნელა.
ღამდება ნელა.
და პასუხს ელის
გარშემო ყველა.

და, ვისლა ვკითხო, –
რაც უნდა ვკითხო!
რა უნდა მითხრას, –
კიდეც რომ ვკითხო! –
იმ კითხვის პასუხს, –
თვით როცა ითხოვს!

1964

## ვინ იცის!

შემოგარენიც ასე რომ დუმან, –
ნეტა, მათ მაინც შიში აქვთ რისი?! –
ჩემებრ მართალნი არიან თუ რა?! –
თუმცა...
ვინ იცის!

1964

ჲ

ქვეყანა დალუპა შურმა
(ულმერთოდ იცინის ღმერთი).
რა გალაპარაკებს თურმე! –
გაჩერდი,
იყავი შენთვის!

1964

## ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲯᲔᲠ ᲒᲔᲗᲥᲕᲐᲡ!

საქართველოო – ჩემო –
დიდედაო და შვილო.
შენმა ძახილმა მომკლა,
შუადღეა თუ დღეო:
– ბიჭო, არ შემარცხვინო,
ბიჭო , არ შემარცხვინო! –
მოვკვდები უბიჭებოდ! –
ე, ბიჭო, ივარგეო!

საქართველოო – ჩემო –
დიდედაო და შვილო.
თუ ვერ ჩავატან გემოს
შენს ჰაერსა და ღვინოს,
თუ ვერ ჩავატან გემოს
შენს ჰაერსა და ღვინოს! –
ღმერთმა შენც შეგარცხვინოს
და შენი შავი ღვინოც!
(გეხუმრე, – არ გეწყინოს!)

საქართველოო – ჩემო –
დიდედაო და შვილო,
შენი კეთილი გული
ნუ მომიშალოს ღმერთმა:
– ბიჭო არ შემარცხვინო,
ბიჭო, არ შემარცხვინო! –
კვლავაც მრავალჯერ გეთქვას,
გეთქვას,
გეთქვას და გეთქვას.

1964

Ω

საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე მამულზე ფიქრი:
ხანდახან
გულში
ღიმილით
ვიტყვი: –

რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტა,
მამულო ჩემო, გილხინს თუ გიჭირს! –
რომელი მეფე ერეკლე მე ვარ!
ანდა რომელი მსაჯული მისი!

პასუხად მყისვე, ვითარცა სეტყვა,
ვინც კი და რაც კი არსებობს ირგვლივ, –
იხუვლებს ხოლმე, იხუვლებს ერთხმად: –
ღალატიაო
მაგგვარი
ფიქრი!

1964

## Ձ

მქონდეს თუ არა ამის იმედი
(შენი იმედით ჯერ კიდევ ცოცხალს!).
მქონდეს თუ არა ამის იმედი?! –
რომ შენ არ იტყვი
(მოვკვდები როცა!):
– რაც მივეცი და როგორც მივეცი, –
ვერც ის მომცა და ვერც ისე მომცა!

მქონდეს თუ არა ამის იმედი?!

1964

## ახლა კი დროა

თუ ფიქრობს ვინმე, –
გავკმინდოთ ენა! –
შენც არ მომიკვდე! –
არა და ვერა!

შოთა რომ არა!
ვაჟა რომ არა!
ტატო რომ არა! –
კიდე, – ხო, მარა...
ესენი როა?!
ესენი როა! –
ახლა კი დროა! –
ახლა კი დროა! –
სოლომონ რომა,
კვლავ დაიქუხოს საქართველომა!

1964

## დღე მოიწევს კრიალა

ირიჟრაჟებს... დღე მოიწევს კრიალა, –
ტოროლა ცას შეასკდება... იალა!..
ჩირგვიანა,
ჩიტიანა,
ხიანა,
ფოთლიანა,
ღელიანა,
ტყიანა, –
დედამიწა ხარობს ყველაფრიანა!

ნაკუწ-ნაკუწ-ნაკუწ-ნაკუწ კი არა! –
გაუმარჯოს, გაუმარჯოს მთლიანად! –
მიწიანა,
კაციანა,
ციანა, –
საქართველოს მოთმინების ფიალას!

1964

ჲ

ისევ და ისევ,
ცისკენ რომ იწევ,
ცისკენ რომ იწევ
და ღიმილს იწვევ...
ნეტა, რას იწევ,
როს ფუჭად იწევ,
ამაოდ იწევ
ცისკენ სამიწევ!

1964

## ხმა წინაპრისა

– დედაო ღვთისა, – ძითურთ, –
დედა უტირე წითურთ!
ღელვიანისა ზღვისა
განწიალებად ღირსმყავ! –

ხმა ესმის ჩემთა ყურთა
ალექსანდრესი მკვდრეთით,
დროა მას უკან თუმცა
საუკუნეზე მეტი.

1964

ჲ

ვეძებ და ვეძებ.
რაღაცას ვეძებ.
წარსულში ვეძებ.
აწმყოში ვეძებ.
მერმისში ვეძებ.
აკვანში ვეძებ.
კუბოში ვეძებ.
ჰაერში ვეძებ...
ვეძებ და ვეძებ.
რაღაცას ვეძებ.

ვიცოდე მაინც,
ვიცოდე მაინც, –
რა არის, –
რასაც
ვეძებ და ვეძებ.

ა, კაცი! –
იცის – გასაღებს ეძებს.
ამოუვარდა ჯიბიდან წელან.
მას ეხმარება
მეუღლე.
შვილი.
ცოლისდა.
სიძე.
სიდედრი.
დედა.

ეძებენ სკამზე.
ეძებენ სკამქვეშ.
ეძებენ ტახტზე.
ეძებენ ტახტქვეშ
და...
იპოვნის კიდეც ერთ-ერთი ალბათ.
მე?!

1965

ჲ

აზროვნებს თუკი, – ვინ არის რომ, – არ არის მარტო?
ვინც არის მარტო, განა მარტო იგია მარტო?
იცის კი ყველამ, ვინც მარტოა, რომ არის მარტო?
ფიქრობს კი ყველა, მარტო როა, მარტოა რატომ?
უფრო მარტოა, ვინც მარტოა, თუ ფიქრობს: –
რატომ?

1965

# ძაღლიანი კაცი

კაფეში ჩია შემოდის კაცი.
უბეში უზის პატარა ძაღლი.
და ძაღლი პატრონს ისე ჰგავს სახით, –
თითქოს პატრონი კენგურუ არის, –
საკუთარს ყიდის რომელიც პირმშოს,
თან მუშტარს ეძებს, თან, ვამჩნევ, შიშობს:
ვაითუ, – მართლა გამოჩნდეს ვინმე
და შეაძლიოს, – რამდენსაც ითხოვს.

1965

# აქ

არავის შენ არ აგონდები
ჩემს დანახვაზე.
არავის მე არ ვაგონდები
ჩემს დანახვაზე.
არავის ის არ აგონდება
ჩემს დანახვაზე, –
რაც მანდ ზოგს მაინც აგონდება
ჩემს დანახვაზე.

რა შემზარავი სცოდნია ფიქრი, –
ხალხს ვინც ჰგონიხარ, –
როს არ ხარ იგი.

1965

**Ω**

მოხდეს რაიმე უჩვეულო, –
არც ვიმედოვნებ.
სახლის თავებზე
იჟანგება სანყალი თოვლი.
ღამეა შავი –
ასლის შავი ქაღალდის მსგავსი,
და დღე მეორე –
არის ზუსტად
წინა დღის ასლი.

1965

ჲ

რაც ჩემამდეა ჩადენილი უჩემოდ შენგან,
რაც მე არ ვიცი,
რაც, შენს გარდა, იციან სხვებმა.
რაც ჩემამდეა ჩადენილი უჩემოდ შენგან, –
იგი მგვრის, ალბათ,
უმიზეზოს ხანდახან სევდას.

1965

## ჲ

ხეები ზეცას აჩნია შავად.
მდუმარებაა თეთრი და შავი.
და
თითქოს კელნერს
                              დაექცა ყავა –
თოვლზე
            დაფრინდა
ცაცხვიდან
             ყვავი.

მდუმარებაა თეთრი და შავი.
საქართველოდან მოველი წერილს.
გაცივებულა ფინჯანში ყავა
და გუნდაობენ ყვავებით ხენი.

1966

## ქარი, ნაძვნი და ფოთოლი ლელვის

დაიგრუხუნა, – დაუშვა თქეში...
არ ვიცი, – წყნეთით,
არ ვიცი, – კოჯრით, –
მოვარდა ქარი, –
შევარდა ტყეში
და დაითრია
ნაძვები ქოჩრით.

ალვამ უეცრად ცას თავი რეხვა, –
პირი დაალო აქა-იქ თალმა...
წაილო ქარმა
ფოთოლი ლელვის
ფრიალ-ფრიალით
ალმა და დალმა.

1967

## ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

წინათ, როდესაც შენი ზეცა იყო ყომრალი.
წინათ, როდესაც შენს ქოხებში ქარი უსტვენდა.
როდესაც თავზე დაგჩხაოდა შავი ყორანი –
მაშინ მღეროდა
შენი ვაჟა,
შენი რუსთველი.

ახლა, როდესაც ალმავლობა შენი ასეთი –
ყველაზე მეტად საჭიროებს იმათ გენიას,
მაინცდამაინც ახლა აღარ არის არც ერთი! –
წარმოგიდგენია?!

მაგრამ ისე არ დავარდება, მჯერა, აქლემი,
რომ არაქათი აღარ ჰქონდეს აქლემს სახედრის...
ვიდრე მტკვარი და ალაზანი მიიკლაკნება,
ვიდრე არსებობს
იმერეთი,
ქართლი,
კახეთი, –
არ შეიძლება არ გიმღეროს ვინმემ იმ ძალით,
როგორც გიმღერა დიდმა შოთამ, დიდმა ვაჟამა,
რადგან არასდროს არ ყოფილა შენი მიზანი –
დიდი იმდენად,
რამდენადაც
არის ამჟამად.

1967

ჲ

შუაღამეა.
სოფიაშიც ღამეა ახლა
და ციაგია იმნაირი ახლა ჰაერში, –
შინ დაბრუნებას,
უცხო ქვეყნით,
რაიცა ახლავს, –
განშორებისას, –
შენაკადი როა კაეშნის.

1967

ჲ

ღრუბლის ხარებზე ელვა წითლად მიმოისახრა.
გულის სიღრმიდან დედამიწამ აღმოთქვა სიტყვა:
– ჯერ კიდევ ერთხანს უნდა იყოს, – რაც არის ახლა! –
რაც ჯერ არ არის, – როს იქნება, – რომ იყოს დიდხანს.

1968

## ოტიავ ჩემო და ჩემო რეზოვ

კაცი რომ კაცად არ გვსურდა გვეცნო,
რომ გავურბოდით ქვეყნის შენებას,
რომ გვაბრმავებდა მიზნები კერძო,
თავი რომ ყველას მეფედ გვენება, –
ოტიავ ჩემო და ჩემო რეზოვ, –
ამან რაც გვიყო, –
მოგეხსენებათ.

ღირსებას სხვისას კვლავაც რომ ვერ ვგრძნობთ,
ძმას ცოცხალს საფლავს რომ ვუთხრით ახლაც,
სამშობლოს ჩვენი რომ გვიჯობს ეზო,
რეგვენი თუა, – ის რომ გვსურს მაღლა, –
ოტიავ ჩემო და ჩემო რეზოვ, –
ეს გზა რას გვიზამს, –
იმასაც ნახავთ.

1968

## ჵ

მიიზლაზნება ხოდაბუნში შავად გუთანი.
ევიწროვება კალაპოტი წყალს საკუთარი.
ჯაგნარებიდან ხათქახუთქი ისმის კუთანი.
ღელემ ნისქვილი მოიკუტალა.

1968

ჲ

მე ვხადი სმენად, – უახლესი რაც კია წიგნი.
მე ვეკითხები ძველთა ჩვენთა მზიანთა შაირთ:
საიდან სიტყვა? საიდან ხმა? საიდან ფიქრი?
საიდან თვით მე? ჯერ საიდან და მერე საით?

1969

## ქალს, რომლის არც სახელი ვიცი, არც გვარი; არც ის ვიცი: გათხოვილია, გასათხოვარი, განათხოვარი თუ გაუთხოვარი

ბარდნიდა. ფანტელთ ჯგლეთა იყო მოსკოვის ცაში...
იმღამინდელი დღესაც მახსოვს ჰაერში გემო
და მწყდება გული, მწყდება რადგან ვერ მივხვდი მაშინ:
რატომ ისურვე, ჩემთან ერთად, თოვაში გევლო.

შენ მერე, გავლით, მახსოვს ერთხელ თბილისშიც შემხვდი
და მე არც მაშინ აღმომაჩნდა საჭირო ალღო...
და ვფიქრობ ახლა: გეტყვი რამეს?! – ნეტა, თუ გეტყვი?! –
ისევ მოსკოვში, ან თბილისში, სადმე რომ გნახო?!

1970

## ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲝᲠᲗᲐᲭᲐᲚᲐᲨᲘ, – ᲢᲘᲕᲖᲔ

საქართველოში მრავალჯერ თუმცა
სიკვდილის მოდგა ელჩი:
გუგულის კვერცხი
ესოდენ უხვად
ჯერ არ ყოფილა ჩვენში!

დოლაბი ბევრი ბრუნავდა თუმცა
ქართველი ხალხის თხემზე:
გუგულის ბარტყი
ესოდენ ურცხვად
არ მოქცეულა დღემდე!

მრავალჯერ თუმცა ვაჟკაცთა საფლავს
დედის ათოვდა თმანი:
სიტყვა ქართული
ესოდენ მძაფრად
არ სწყურებია დმანისს!

საცაა, გუგულს, ვიცი და ვიცი, –
ბუდე დარჩება მერცხლის...
სირცხვილით ინვის,
სირცხვილით ინვის
კრწანისის ველზე ცეცხლი!

1970

## სიტყვა თქმული ფილადელფოს კიკნაძის მიერ, ძმათა თვისთა თანა, შუამთაში

ამას! –
იმას რომ:
თვალი მტერზე უნდა გვეჭიროს,
ჩვენ კი,
მტრისა წილ,
ღრეობაზე გვიჭირავს თვალი;
ვინ,
ვინ შეგვინდობს,
ანდა რატომ უნდა შეგვინდოს, –
ერთი მითხარი!

ამას! –
იმას რომ:
ხელში ხმალი უნდა გვეჭიროს,
ჩვენ კი,
ხმლისა წილ,
ჯიხვისანი გვიჭირავს რქანი;
ვინ,
ვინ შეგვინდობს,
ანდა რატომ უნდა შეგვინდოს, –
ერთი მითხარი!

იბასიანოს! –
დროა! –
დროა! –
ქართულმა სუფრამ! –
მოდის მერმისი, –
ცოცხით ხელში, –
მკაცრი და სუფთა!

1970

## სიტყვა თქმული ბიძინა ამილახორის მიერ მაშავრის პირას – ჟერმიჟალაში

ახალი მთვარე –
მოხუცის წარბი,
ერთი შეხედვით:
ღიმილი ყალბი;
წარბი საბასი
თუ ფარნავაზის,
დაღონებული
ზის გალავანზე:

ვახტანგის ადგილს
იჭერს ხეჩუა! –
გვეცლება ქართლი
თვალდახელშუა!

1970

## სიტყვა წარმოთქმული ჩაიზე, მამუკა ჯამბაკურ-ორბელიანის ოჯახში, სოლომონ რაზმაძის მიერ

როდემდე უნდა გვეძინოს ყურზე?!
(ქვეყანას ღვიძავს! –
დღეს სძინავს ვისლა)?!..
ჩვენი მზის სხივს და
ჩვენი ზვრის ყურძენს
როდემდე უნდა ვილებდეთ სხვისგან?!

როდემდე უნდა გვეძინოს ყურზე?!
(ნეტავი, ჩვენში ყოველგვარი
რამ ჩაჰკლა რისკი)?!
და დუმილისკენ,
ღრმა დუმილისკენ
გვეჭიროს უნდა როდემდე კურსი?!

1970

## ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲐ ᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲓᲝᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲘᲝᲜᲨᲘ, ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲓᲦᲔᲡ

ვარ დამნაშავე, –
რამეთუ ვცხოვრობ.
ვხედავ:
სულს ვლაფავ თევზივით უხმოდ.
თუ ვქმნი რაიმეს, –
იმიტომ მხოლოდ, –
სასჯელი მინდა შევიმსუბუქო.

ვარ დამნაშავე, –
რამეთუ ვითმენ, –
რაც მესმის იმას
და რასაც ვხედავ.
დამნაშავეა სხვაც ბევრი, – ვით მე, –
თვითონ არ იცის, თუმცაღა, ბევრმა.

ვარ დამნაშავე, –
რამეთუ მიჭირს,
ძალიან მიჭირს დათმობა სოფლის!
არადა მიწას, –
მამულის მიწას
სწყურია სისხლი!
არ ჰყოფნის ოფლი!

1970

## ფიქრნი იასესი, – ამილახვრიანთ აივანზე, ბადრი მთვარის ჭვრეტის ჟამს

ყოველთვის, როცა მოვახტი მერანს,
ოდეს ღიმილი მომძაგდა ზეპირ;
შემომანათა სიკვდილის ცელმა,
სიმხდალემ ჩემმა მომიჭრა გზები.

აშკარად ვხედავ:
უძველეს კერას
აკლია შეშა, –
შრეტს ლაჩრის ცრემლი;
და მტანჯავს მზერა, –
გამქოლი მზერა –
წინაპრის ჩემის
და შვილის ჩემის.

1970

## ფიქრნი ელიზბარ ერისთავისა, – გზად, – შინდისიდან შინ რომ ბრუნდებოდა ეტლით

ალარც საბაა!
ალარც, – ბესიკი!
ალარც, – ვახტანგი!
ალარც, – არჩილი! –
არადა
ისევ დგას დღის წესრიგში
ბედი ქართლისა
და ქართლის ჭირი!

1970

## ყაყაჩოსავით მზეა წითელი

საცეცხლე როცა დათქვეს წერტები
და განიმზადეს ნუზლი:
საქართველოდან, ერთი შეტევით,
რომ გაერეკათ რუსნი.

იდედაკაცა ერთმა თურმე და
გასცა შეთქმულთა დასი
და 1832
მიმზერს
დასმული
მშრალზე.

დუმან ველები.
დუმან ციხენი.
დუმს სვეტიცხოვლის ზარი.
ყაყაჩოსავით
მზეა წითელი
და მეცინება მწარედ.

1970

## გასნი!

გამახსენდება როცა იასე
(ვინც არაერთხელ შემომელანძღა);
გულგატეხილი ადამიანზე, –
ვებლაუჭები ტატოს მერანსლა!

მამულის მიწას, – ყველაფრის მომთმენს, –
ამაოდ უჭირს შელევა ჩემი...
გასნი, გაკურცხლე და შემიმოკლე
მოუთმენელსა სავალნი დღენი!

1970

ა

ვაი, რა უქმად იბობოქრა თურმე შაშხანამ!
ვაი, იმ ბედკრულს, –
სინათლისთვის ვინც ბნელს ეომა!
როგორც არასდროს,
უმთავრესი,
ვატყობ,
ამჟამად, –
გამძლეობაა,
გამძლეობა
და გამძლეობა!

ღამე გამუქდა, –
უზნეობამ ფრთები გაშალა, –
ვით ქედანს ძერა, –
უზნეობა ძიძგნის ზნეობას!
როგორც არასდროს,
უმთავრესი,
ვატყობ,
ამჟამად, –
გამძლეობაა
გამძლეობა და გამძლეობა!

1970

ჲ

შენში უთუოდ სცემს ბოლთას სისხლი, –
შოთა რომ იყო,
რუსთველი,
მისი.

შენში უთუოდ სცემს ბოლთას სისხლი, –
საბა რომ იყო,
სულხანი,
მისი.

სხვათანი შენში სისხლი ჩქეფს ვისი, –
არცა მსურს ცოდნა
და არცა ვიცი.

1970

## კახთ-მაჭავარი

„...სამღვდელო მსახურებითაც გვმსახურებდი და იარაღის მოხმარებითაც...
ფრიადისა ერთგულებისა შენისათვის, სანატრელი პატრონი მამა ჩვენი და ჩვენ, გარეთ მყოფობაში, ქალაქს გარეთ აღსარებას შენთან ვიტყოდით..."

**სიგელი ერეკლე II-ისა,**
**ბოძებული მღვდლის**
**იასე მაჭავარიანისადმი**

საყდრით გამოდის პატარა კახის
კარის მოძღვარი კახთ-მაჭავარი,
რომელიც თურმე ყოფილა ნაღდი
კაცი და, მერე, კაცი რავარი! –
ჩემი არ იყოს, ქართველი ხალხი
ყოფილა თურმე მისთვის მთავარი.

1970

## МОЛОДЕЦ!

ცხოვრება იწყება ჭკუაში ჩავარდნით!
ცხოვრების მსგავსია, რაცაა მანამდეც;
ნაწილი კაცთანი
გამოდის ჯალათი!
ნაწილი ჯალათზე
იძახის: — Молодец!

1970

## სისხლი და ოფლი

თოვლს გვახარბებენ აღწეული ცამდე ქედები.
ვერ იქათქათებ, – თუ არა ხარ თურმე მაღალი.
გასაკეთებლად წინა წლებში გაუკეთებლის! –
ვით არაერთხელ, –
წელი დადგა წელსაც ახალი.

წრიალებს რწმენა, – მარადმწვანე, როგორც კედარი.
მიზნის ფეხებთან წინაპართა ყრია ფარ-ხმალი.
შესამოწმებლად წინა წლებში განაკეთარის! –
ვით არაერთხელ, –
წელი დადგა წელსაც ახალი.

აღმოფხვრილიყოს
ბევრი რამე, – ჯერ კიდევ მყოფი.
რაც ჯერ არ არის, –
ბევრი რამე გვეხილოს მათგან.
არ დაგვეზოგოს იმისათვის სისხლი და ოფლი! –
წელი ახალი, ერთი სიტყვით, რისთვისაც დადგა.

1971

ხევსურ ჩამოდის ლიქოკით:
მოყმენი ფრანგულს უქებენ...
რამდენი რამე იყო ყე
კარგი და ჩემი ურგები!

შემოდგომაა გარშემო:
ქალიშვილს უჩანს მუხლები...
რამდენი რამე არსებობს
კარგი და ჩემი ურგები!

მერცხლები ძალას იკრებენ:
გაფრინდებიან უკლებლივ...
რამდენი რამე იქნება
კარგი და ჩემი ურგები!

1971

არა იმიტომ, რომ სიტყვა „ქურდმა“
უარყოფითი დაჰკარგა ჟღერა!
არა იმიტომ, რომ თუ ხარ სუფთა, –
შენსავით მტერმა იცხოვრა შენმა! –
საქმე იმიტომ უფროა ცუდად,
რომ ცუდად როა, არ იცის ბევრმა!

ცდება, ვინც ვინმეს სიფიცხეს უქებს!
ვინც ითმენს, ისიც არაა ბრძენი!
საქმე მაშინღა იქნება უკეთ,
ვითაა, როცა შეიგნებს ბევრი!

1971

ჲ

თავგანწირვისას არ იძლევა არავინ იმედს;
ირგვლივ ვინც არი, –
ფიქრთა შავთა არის ამწეწი:
ტვინი ყველასი
აგავს ცოცხლად გაპუტულ ფრინველს, –
სადაც ფრენაზე აღარ სუფევს ფიქრის ნამცეცი.

1971

## შუღლი

ქედზე ჩვენსაზე დადგმული უღლის,
გულში ჩვენსაში ჩამდგარი მწუხრის
დვრიტაა, გვინდა მართალი თუკი,
არა ლეკი და სპარსი და თურქი,
არამედ ჩვენივ ბუნება წუწკი
და ძველთა ჩვენთა ურთიერთშუღლი.

1971

## პესიმისტის რეპლიკა

(ჩაწერილი სუფრაზე, ექიმის ოჯახში)

ეს ჩემგან კია მეტისმეტი თუმცა სიმკაცრე,
მაგრამ
ყოველთვის,
ცნობილია,
არ ხამს ალერსი:
დაღონებული როა კაცი, –
მესმის იმ კაცის!
გახარებული კაცის, –
არ მესმის!

ვინც გინდა იყავ, –
გინდ არქიფო,
თუ გინდა ზაქრო, –
რა გიხარია, შე შობელძაღლო!

1971

## ყური. თვალი. ცხვირი.

ვინც კაცია, –
ორი ყური
აქვს იმიტომ ბოძებული:
ცოტა კარგი,
ბევრი ცუდი, –
უდღეური ხალხის თქმული, –
მეორიდან გააბრძანოს, –
შეღწეული ერთი ყურით.

თუ ხარ კაცი, –
გმართებს ცოდნა, –
თვალის ხუჭვა იცი მიტომ, –
თვალი შენი
ყველაფერზე, –
ყველაფერზე, –
რომ არ ჭყიტო.

გაქვს ეგ ცხვირიც, –
არა მიტომ, –
რათა ზოგჯერ გჭირდეს სურდო! –
გაქვს იმიტომ, –
გაქვს იმიტომ, –
ყველაფერში რომ არ დურთო.

1971

# თანამეინახე დიაცისადმი გაგზავნილი ბარათი

ქალი, –
შენსავით აღმძვრელი მადის, –
არ შემხვედრია დღემდე...
შუახნის კაცის მოისხი მადლი! –
მენდე!

1971

## ჲ

ერთისთვის ერთი არსებობს მხოლოდ! –
იმ ერთის პოვნის
თუ გახდი ღირსი!
არაერთს ისე მოეღო ბოლო, –
თვალიც ვერ მოჰკრა
გაჩენილს მისთვის.

ერთისთვის ერთი არსებობს მხოლოდ! –
სად არის იგი! –
ეს ღმერთმა იცის! –
იმ ერთის ხილვის, –
იმ ერთის პოვნის, –
ათასში ერთი გამხდარა ღირსი.

1972

კაცმა არ იცის, იცის ჭადარმა,
ხემ და პოეტმა იციან მარტო:
ქალი ქუჩაზე როცა გადარბის, –
რატომ იცინის უმისამართოდ.

კაცმა არ იცის, იცის ღრუბელმა,
ცამ და პოეტმა იციან მარტო:
ქალი წვიმაში რომ ილუმპება, –
რატომ იცინის უმისამართოდ.

1972

## ძახილ-ნუხილი

– აქ დაამთავრო ჯობდეს ეგება! –
სიკეთე მინდა მე მხოლოდ შენთვის!..
ის კვლავ თავისას მიერეკება, –
ზედ არ უყურებს
პოეტი წერტილს.

– მაგ ყანწს ეს ჭიქა ჯობდეს ეგება! –
სიკეთე მინდა მე მხოლოდ შენთვის!..
ის კვლავ თავისას მიერეკება, –
ზედ არ უყურებს
თამადა წერტილს.
. . .

იძახის ლექსიც, ყანწიც:
– არ დაგვეკარგა, ჯობდა! –
უძვირფასესი განძი, –
ზომიერების გრძნობა!

ძახილს, ამ ორთა ძახილს, –
რატომ არ იღებს ყურად
ის უდღეური ხალხი, –
ვისაც ესმოდეს უნდა?!

1972

## საქართველო და უსვეტიცხოვლო?!

სვეტიცხოველი
ნუთუ მართლა არ იყო ერთდროს?!
„– ჰე, ღმერთო, – ერთო!“ –
ნუთუ მართლა არ ჟღერდა ერთდროს?!
მემატიანეს ვენდოთ?!

საქართველო და, –
უსვეტიცხოვლო?!
საქართველო და, –
უალავერდო?!

საქართველოა,
რა საქართველო?! –
უსვეტიცხოვლო,
უგელათო,
უალავერდო?!

არყოფილს ერთდროს
არ აცდება არყოფნა თუკი! –
ვით ბრძანებს ანი,
ლაპარაკობს როგორც მარდუკი.
ერთხელ რომ იდგა, –
იხელახლებს იმგვარი დრო და...
სადღაა შენი
ალავერდი,
გელათი,
შოთა!..

სვეტიცხოველი
ნუთუ აღარ იქნება როსმე?!
„–ჰე, ღმერთო, – ერთო!" –
ნუთუ აღარ იჟღერებს როსმე?!
არყოფნის ნუთუ
არყოფილი მართლაა მოძმე?!
ეს რომ ასეა,
მზეა ნუთუ ამისი მოწმე?!

საქართველო და, –
უსვეტიცხოვლო?!
საქართველო და, –
უალავერდო?!

საქართველოა,
რა საქართველო?! –
უსვეტიცხოვლო,
უგელათო,
უალავერდო?!

1972

## ძელი ულპოლველი

„...და თქუა უფალმან ღმერთმან ნოეს მიმართ: ქმენ კიდობანი ძელთაგან ულპოლველთასა... და ყოველისგან ხორციელისა ორ-ორი შეიყვანე კიდობნად... და ქმნა ნოე ყოველნი რაოდენნი ამცნო მას უფალმან ღმერთმან... და იქმნა რღუნა. და მოკუდა ყოველი ხორცი მოძრავი ქვეყანასა ზედა... და დაშთა მხოლოდ ნოე და მისთანანი კიდობანსა შინა“...

შესაქმე

რუსთველს ბადალი ვერსად ვუპოვე:
პოემა მისი ძელს ჰგავს ულპოლველს!

კიდობანი რომ იყო ნოესი, –
ამ ხისა იყო, უსათნოესი!

იმ კიდობანმა, ვით იხსნა ყველა, –
ვინც კი და რაც კი მკვიდრია მიწის;
პოემა ესე, – სამშობლოს ჩემსას,
თუ წარღვანა იქნა, – ისევე იხსნის!

1972

ჲ

ქუხდენ მუხები,
ქუხდენ ჭადრები: –
ნუ გათათრდები!
ნუ გათათრდები!

ქუხან მუხები,
ქუხან ჭადრები: –
ნუ გათათრდები!
ნუ გათათრდები!

ქუხილი მათი,
ძახილი მათი:
ქუხილი მუხის,
ქუხილი ჭადრის, –
ვაითუ, მარტო შენ გესმის, მუხრან?!
ეგ ღმერთმა ნუ ქნას!
ეგ ღმერთმა ნუ ქნას!

1972

## ᲕᲘᲫᲐᲮᲘ ᲓᲐ ᲕᲘᲫᲐᲮᲘ ᲓᲐ ᲕᲘᲫᲐᲮᲘ

მწუხრია თუ ღამეა თუ რიჟრაჟი, –
ვიძახი და ვიძახი და ვიძახი: –
ვის ხელშია ბედი ვისი, –
ვისაში?!
ვის ხელშია ბედი ვისი, –
ვისაში?!

1972

## პასუხი

სველია თუმცა ქვრივთა ცრემლით ქართლის მინდვრები, –
დედა ქართველისა უფრო ხშირად ვიდოდა ძაძით;
მაგრამ ხალხს, მჯერა, კიდევ შერჩა ცრემლი იმდენი, –
კვლავ რომ დაღვაროს, –
თუ კაცური მოუკვდა კაცი!

დღემდეა თუმცა წყალწითელა სისხლით წითელი, –
მომხდურს ქართველის არ უნახავს რადგანაც ზურგი;
მაგრამ, ჯერ კიდევ, ღვთით, შემოგვრჩა სისხლი იმდენი, –
კვლავ რომ დავღვაროთ, –
დასჭირდება სამშობლოს თუკი!

და, თუა ვინმე, – ეს ამბავი არ სჯერა ვისაც;
ურწმუნო იგი, – მით უმეტეს თუა ქართველი! –
არც მკვდარს,
არც ცოცხალს –
არ ეკუთვნის მას ქართლის მიწა!
კაცი ასეთი
ცხენის ძუით არის სათრევი!

1972

## ჲ

ხავილად მიჩანს ენგურის ზათქი,
იერიქონის ღიმილს მგვრის ბუკი...
ტყუილა ვაცდენ მიწაზე ადგილს, –
ველარ ვიტყუებ თავს რადგან უკვე.

როსმე ფრიადი ქვეყანა ქართლი, –
დღეს ერცახეა, ვით ყურძნის კურკა...
ტყუილა ვაცდენ მიწაზე ადგილს, –
ველარ ვიტყუებ თავს რადგან უკვე.

ყველაფრის კარგად შევიტყვე ყადრი,
გადავეჩვიე დახევას უკან...
ტყუილა ვაცდენ მიწაზე ადგილს, –
ველარ ვიტყუებ თავს რადგან უკვე.

1972

## სისხლად მიმოდის დღეს ჩემში იგი

ყველაზე უწინ ვინც გასხლა ვაზი,
ქვა სხვაზე უწინ ვინც დასვა ქვაზე,
ვინც სხვაზე უწინ გასჭედა რკინა,
ვინც სხვაზე უწინ იხმარა ინა,
ქრისტეს შობამდე ვინც შექმნა წიგნი, –
სისხლად მიმოდის
დღეს
ჩემში
იგი.

მოიპოვება რა! – ქვეყანაზე!
მოიპოვება რა! – თუგინდ ცაში!
რომ ჩემთან იგი არ იყოს ბავშვი
და სისხლის ჩემის რომ იყოს ფასი?!

1972

## ღმერთკაცი

ხელში გელათი უჭირავს ერთში.
წიგნი უჭირავს მეორე ხელში.
მეფეა
        კახთა,
                სომეხთა,
                            რანთა,
აფხაზთა,
            სვანთა
                    და ოდიშართა.

ტანზე ქრისტესი აცვია კვართი.
გადაჰყავს თევზნი რიონში მტკვართით.
მზეია
        კახთა,
                მთიები, –
                            რანთა,
ლიფლიფი, –
                სვანთა
                        და ოდიშართა.

მხარზე ვეება გაუდევს ლოდი
და მოდის, –
                თითქოს უტვირთოდ მოდის! –
მეფენი შვიდნი
                ვინც პურად დასხნა,
საზღვართა გარე
                    ვინც მტერნი გასხნა,
იმერთა წყალთა
                    ვინც თევზნი შთასხნა,
ვინც ვერ ისვენებს საფლავში ახლა!

1972

ჲ

ხარ საესავი ჩემთვის ტაძარი.
ხარ გარჭობილი გულში ისარი...
სიტყვა სიტყვაში თუ ვერ ჩავწანი,
ვით ჩუქურთმანი მცხეთის ჯვრისანი,
სამაგიეროდ, – ჩემში რაც არი, –
სხვისი არაა ერთი მისხალი.

მორჩა.
გათავდა.
მე განზე ვრჩები.
ვინიცობაა, მწედ მექმნა ღმერთი,
და თუ ოდესმე ქონება ჩემი, –
მნიშვნელოვანი რამ გახდა შენთვის! –
ხომ კარგი!
და თუ არ მოხდა ასე
და მოხდა ისე, –
ვით ბევრის თავზე:

წუთისოფელი როცა მიყელებს, –
თიხად ქე მაინც გამომიყენე!

1972

## ლხინი ალაზნის ჭალაში

დღეს საქართველო ილტვის ზეცისკენ,
მცირედა შეგვრჩა რადგანაც მიწა...
შეხედე ჭადარს, –
არის ეს ის ხე,
რომლის ჩეროში ერეკლე იჯდა.

შუაზე აპობს მდინარე სიცხეს.
თავგანწირული ირგვლივ არი სმა.
მოწყენილია თელავის ციხე, –
ვერ იასპინძა რადგან კრწანისმა.

გახურდა ლხინი:
შეეწნა ხმა ხმას,
ხმა გაიმეტა ცის ლურჯმა თაღმაც –
და როცა ეშხში შევიდნენ უკვე,
მამაპაპურმა სიმღერამ მსუყემ –
იალაზანა,
იალაზანა, –
ორმაგი მისცა ალაზანს ძალა
და გადმოლახა ნაპირნი წყალმა.

ქვითინებს მუხა, – ალაზანგაღმა,
ილიას თვალწინ რომელიც გახმა...
კახურით გულის ხშირდება ძგერა,
პირზე ღიმილი ახმება გელათს,
თვალები ცრემლით ევსება ხახმატს:
ვერ იდავითა პატარა კახმა!
ვერ იდავითა პატარა კახმა!

1972

## ვაი, ჩვენს პატრონს

დავდივარ,
როგორც დადიოდა ჩემამდე ბევრი,
ჩემს თავზეც ბრუნავს
ხან დოლაბი,
ხან კიდევ კევრი.

ვხედავ:
რეგვენი ლაპარაკობს
ამაყად, მძიმედ,
და, მე შენ გეტყვი,
უბატონოდ ხმას გასცემს ვინმე.

ქალი თუ კაცი
ეჯიბრება იმაში ურთერთს:
ფიქრის და სიტყვის დაშორებას
ვინ შეძლებს უკეთ.

გზადაგზა მხვდება
კმაყოფილი სიფათი რეგვნის;
ფოთლებს უწვდიან ლამაზმანებს
ამაოდ ლელვნი.

დროდადრო მესმის
უხერხული ხალხური ლექსი: –
ვჭამოთო კარგად, –
არაფერი შეგვრჩება მეტი.

ვაი, ჩვენს პატრონს,
ჩვენი ყოფის თავი და ბოლო, –
ჭამა და საჭმლის მონელება
თუ არის მხოლოდ.

დავდივარ,
როგორც დადიოდა ჩემამდე ბევრი,
ჩემს თავზეც ბრუნავს
ხან დოლაბი,
ხან კიდევ კევრი.

1972

## თქვა ოპიზარმა

ტანახოვანმა, – დღეს მიწაში მწოლმა გულაღმა, –
თქვა ოპიზარმა, ხოტივარმა თუ ხახულარმა:

დაჯდები ქოხში, სასახლეში თუ ხის გრილოში:
ღვინო შენ უნდა დალიო და არა ღვინომ, – შენ!

. . . .
ძენი, ძისძენი მეფე გუბაზის, –
მერე რამდენი! მერე რამდენი! –
დახოცილები ქართულ სუფრაზე, –
დილომში წვანან
სამარაბდენი.

შნიშნი, ბადიშნი ლაზი ფარტაზის, –
გალეშილები, – არაფხიზელნი! –
ხშირ შემთხვევაში მსხდარნი პანტაზე! –
ვაკეში წვანან
საასპინძენი.

კმარა.
გვიანღა იქნება მერე! –
გვიახლოვდება, ვხედავ, წერტილი...
და საქართველოს უკვდავი მტერი, –
სიცილით კვდება
ჯალალედინი.

1972

ჲ

არ შემხვედრია ცხოვრებაში არც ერთი კაცი,
სხვა ნაკლთან ერთად, რომ ეს ერთიც არ ჰქონდეს ნაკლი:
შესაძლებლობას თვალშისაცემს შეგამჩნევს რაკი, –
სურს: იყო კარგი, ოღონდ არა თვით მასზე კარგი!

ჯერ კაცსა ამას, შურიანი არ ეთქმის კაცი! –
რას ერჩი! – ქებულს, – შენც ქებული, – რომ იყო უნდა!
მაგრამ თუ ერთხელ შენ ამ კაცის შეგაქეს თვალწინ, –
მისი ეს ნაკლი მყის შენდამი იქცევა შურად!

მერე კი, – მორჩა!
იგი უკვე მტერია შენი!
ნურა სიკეთეს უკვე ნუღარ მოელი მისგან!
მტრად რომ გიქციოს მეგობარი
(თან – ასე ხელად), –
ამისთვის ზოგჯერ ეს პაწიაც კი კმარა ბიძგი!

1972

ჲ

ცხელი ღამე.
სძინავს თბილისს.
ეზოშია
შუქიც, – ბინდიც.
შავი კატა, –
შავი ჩრდილით, –
ფეხაღრიცხვით
სადღაც მიდის.

1972

## ამერ-იმერი

ამერ-იმერი –
სიმხდალეში უსაზღვროდ ძუნწი.
ამერ-იმერი –
ზღვიდან ზღვამდე გაშლილი უწინ.
ამერ-იმერი –
არასოდეს მორჩილი ბედის.
ამერ-იმერი –
სიცოცხლეზე სიცოცხლით მეტი.

ამერ-იმერი –
უძველესი ქვეყანა ღვინის.
ამერ-იმერი –
დედამიწის ლამაზი შვილი.
ნყალნითელათი,
ყვირილათი,
ჭოროხით,
ივრით: –
ნუ გათათრდები! –
თავისობას ქუხდა და ყვირის.

ამერ-იმერი –
სიმხდალეში უსაზღვროდ ძუნწი.
ამერ-იმერი –
ზღვიდან ზღვამდე გაშლილი უწინ.

1972

ბედი ქართლისა, – ორწყალშუა გადაწყვეტილი, –
დროგამოშვებით ყურმილივით მიწვდის ბრაუნინგს...
მრავლისმეტყველი გაიელვებს მრავალწერილი...
ბაგემდუმრიად მიყურებენ სასაფლაონი.

მამავ და ძევ და სულიწმინდავ, –
ერთად სამივევ! –
ყავ სიყვარული! –
მარქვი:
საქმე
როგორ
წამივა.

1972

# ძველთა ჩვენთა წესი

უჩრდილებდათ მუხა,
ვერხვი, ბზა თუ ძეწნა,
ჩასცქეროდნენ მიწას
თუ უმზერდნენ ზეცას;
თავგანწირვა ჰქონდათ
ძველებს ჩვენსას წესად!
ჩვეულებას თვლიდნენ
რჯულზე უმტკიცესად!

ვცვლით როდესაც მიწას, –
ვიპყრობთ როცა ზეცას, –
ძველთა ჩვენთა წესი
არ გვაწყენდა დღესაც!

1972

## ქვეყნად პრემია შეედრება
## ამას რომელი?!

წევს ახლა სადღაც ვაკეში თუ დიღომში იგი,
შენი ინატრა სიკვდილის წინ რომელმაც წიგნი.

ქვეყნად პრემია შეედრება ამას რომელი?! –
რაა, ამასთან რომ არაა საბასრობელი?!

1972

## ამას არ უნდა დასტური სხვისი

ამას არ უნდა დასტური სხვისი! –
კარგა ხანია ვიცი:
მიწყივ მცირენი ვიყავით რიცხვით,
მტერი გვჭარბობდა მიწყივ.

ყველგან: ყანაში, ზვარში, წისქვილში, –
ხელი გვეკიდა თოფზე...
იესო ქრისტეც, გარდა რისხვისა,
გვწყალობდა კიდეც ზოგჯერ.

სხვენზე აგდია, – ჟანგის ულუფა, –
პაპის ნაქონი თოფი...
გულზე მასივებს დაკარგულობა
ორთა ურთიერთნდობის.

1972

## შურისძიება

შურისძიების სიხარული
უფროა მეტი, –
ვიდრე,
დავუშვათ, –
დახვრეტილის
აღდგომა მკვდრეთით!

შურისძიების სიხარულის
ამქვეყნად ფარდი
არაფერია, –
კაცის მკვდრეთით
აღდგომის გარდა!

რაღა გმირული შურისგება, –
ვეფხის ნახტომით, –
და რაღა კაცის,
მკვდარი კაცის,
მკვდრეთით აღდგომა!

რაც უნდა ბრძანონ
ლმობიერმა ბრძენმა ძიებმა, –
ყოველ გრძნობაზე ძლიერია
შურისძიება!

1972

## ქვეყნად ყველაფრის დავარგებას სჭირდება ხანი

მხოლოდ ფორჯალით,
მხოლოდ გარჯით,
მხოლოდ შაშხანით
ვერ ელირსები, –
გსურს იხელთო უკეთუ ხვითო!..
ქვეყნად
ყველაფრის დავარგებას
სჭირდება ხანი! –
გინდ იყოს ხილი,
გინდ, – აზრი და
გინდ, – ხანი თვითონ!

1972

თავისი ვისაც ცოტათი სწამდა:
ვინ წლობით დუმდა,
ვინ ბალახს ძოვდა;
დროს ამა ქვეყნად
ჰყავს, როგორც ჰყავდა, –
ამყოლი ბევრი,
მეტოქე ცოტა.

პოეტი დროის ამყოლი თუა! –
იმ უდღეურმა იცოდეს, დროა:

იმ დროს გაჰყვება იმისი წიგნი, –
არის ამყოლი რომლისაც იგი!

1972

# რტო – საკუთარი ნაყოფის წერა

უკანასკნელად გაიჭრიალა
და სამუდამოდ გაკმინდა ენა
და გაჭკნა ფოთოლ-ნაყოფიანა
რტო – საკუთარი ნაყოფის წერა.

რტოს ერთი წამით დახედა ჩიტმა
და სევდიანი მოსწყვიტა მზერა, –
მერე ბუხარში გათავდა წითლად
რტო – საკუთარი ნაყოფის წერა.

1972

## ᲘᲢᲧᲕᲘᲡ?!

დიდსა თუ მცირეს,
თავს როცა ვადრი, –
ვარ სამშობლოში
თუ ცხრა მთას იქით:
ვარამად ჩემდა
ვრწმუნდები რაშიც, –
თქმას ჩემგან მისას,
სჯობს სხვამ თქვას
იგი!

იტყვის?! –
კი! –
როსმე
უთუოდ
იტყვის!

1972

**ჲ**

კაცი მიდის ბილიკ-ბილიკ, –
კაცს უჭირავს სული კბილით.

რაც არ უნდა იყო გმირი, –
სული მაინც არის ტკბილი!

1972

## ქართლის გზაზე

გაზაფხულია საქართველოში;
მზე დახტნობია ყველაფერს ირგვლივ...
მოდიდებული მოღელავს მტკვარი.
მაღლოის ტალღა თითოეული.
ყოველ სოფელთან სასაფლაოა
ჩასაფრებული დიდოელივით
და
მოიტაცებს წუთისოფლიდან,
კაცმა არ იცის,
ვის
როდის
იგი.

1972

## თბილისი – ფასანაური

შენ არც კი იცი, ვარ შენდამი რა გრძნობით სავსე:
გამოიხატვის ორი სიტყვით ეს გრძნობა ასე:

მხოლოდ იმიტომ გამოგყევი ამხელა გზაზე,
რომ შენთვის ხელი გადამესვა გაყრისას თავზე.

1972

## დილმის წვიმა

... განვიდა ფარნავაზ და ნადირობდა მარტო, და დევნა უყო ირემთა ველსა დილომისასა. მაშინ დაასხა წვიმა მძაფრი. ხოლო ფარნავაზ შევიდა ქუაბსა, რათამ-ცა მუნ შიგა დაიმშრალა წვიმისა მისგან. და იხილა მუნ შინა განძი მიუწდომელი..

ლეონტი მროველი

ფარნავაზ ოდეს პატრუცაგს წერდა, –
ვარსკვლავთა კრეფდა როდესაც ციდან, –
სად იყო მაშინ ჯერ ამა ქვეყნად
მამაჲ, ძეჲ და სულიწმინდა!

ირემს გამოუდგა ფარნავაზ, –
ჯაგები აფხრეწენ ტალავარს.

იელვა, მეორედ იელვა, –
ლეშტერმა დაუშვა ძლიერმა.

დილომში, – გოდლედის უბანთან, –
ღვართქაფმა უფრორე უმატა.

ალარ გადილო რაკილა წვიმამ, –
მეფემ სასწრაფოდ მიმართა მღვიმეს.

შევიდა შიგ და –
მყის დარჩა სახტად, –
მუნ უთვალავი საუნჯე დახვდა.

ოქროს,
საფირონს,
ზურმუხტს,
მარგალიტს –
ილებს,
დებს,
ილებს
ხელის კანკალით...

წვიმა რომ არა დილმისა, –
განძს ვერ ნახავდა იგი და

განძი რომ არა დილმისა
ვერაფრით ქართლს ვერ იხსნიდა.

ანი და ბანი, განი და ცანი,
ონი, უნი და ძილი, –
აღორძინება ქართლისა-მძლავრი
იწყება
დილმის წვიმით.

ოცდასამი საუკუნის წვიმა
ვერ დაწონის
ვერც ცხადში,
ვერც ძილად, –
ოცდასამი საუკუნის წინათ
მოსულ დილმის წვიმას.

1972

## მიზეზი ყოვლის

სიგლახეს ჩვენსას დავაბრალებთ უცხოს ნურავის! –
თვითდაკვირვების მოვიმარჯვოთ, დროა, უნარი!
მიზეზი ყოვლის, –
რა სიგლახეც ჩვენში მძვინვარებს! –
თქვენ როგორ ფიქრობთ?! –
რაა?! –
ვინ არი?!

ისევ ჩვენს შორის, რომ იყო და რომაა ბევრი, –
თავისი ვისაც ურჩევნია ყველაფერს თავი,
ვინც სამშობლოთი, სამწუხაროდ, არაა ავად, –
ჰკიდია ვისაც საქართველო ფეხებზე შენი!

1973

**ჲ**

დროს ვინც ემდური,
ვინც ბუზღუნებ:
– ეს რა დრო დადგა!
გამოყოლილზე
ვინც ქაფქაფას იყუდებ კათხას:
ვინც გინდა იყავ,
დამნაშავე თვით შენც ხარ სადღაც! –
ქვეყნად
თავისით
არაფერი
არ ხდება
რადგან!

1973

ჲ

დღეს იადონი, –
ხვალ თუ გინდა ჩამთვალონ ყორნად.
ხვალე თუ გინდა გავჭინჭრაქდე, –
ამჟამად შურთხი:
სახელი ჩემი
არ გახდება არასდროს უტყვი, –
მეც ვაჩნევ ჩემსას
დედაენას რამეთუ ორნატს, –
ჩემი
ჩემამდე
ქართველთათვის უცნობი სუნთქვით.

1973

ყველა, –
უკლებლივ ყველა დაცხრება, –
დღეს ვინც ფაფხურობს!
ორგულნო ჩემნო! –
ახლა მხნენო! –
მაშინ სანწყლებო! –
რა ხანმოკლეა
თქვენი ზაფხული!

1973

ჲ

თევზივით უხმოდ ამომდის სული.
ამხობს ცრუთანი ქვეყანას ფიცი.
შური მშურს, –
შური!
შური მშურს, –
შური!
შური მშურს, –
ვისაც ჩემი შურს, –
მისი!

1973

## ***

წელან ცა ქუხდა, –
ცახცახებდნენ ხენი შიშითა...
მინაზე
ბარტყებს ანარცხებდა ბუდიდან დელგმა...
სუფევს გარშემო იმნაირი ახლა სიმშვიდე, –
თითქოს, რაც მოხდა,
მოხდა როსმე და არა წელან.

1973

## ჲ

გაოცება ენასართმევს კრწანისს.
ნარიყალა ილიმება ძალით.
ბასიანიც, ვატყობ, ცერად გვიმზერს, –
როგორც პეტრე ილიასი, –
ისე.

1973

## ისევ საბა

მოიპარიზა,
მოირომა,
მოისტამბოლა, –
მობრუნდა შინ და
იუდასი ეძლვნა ამბორი.

მომოსკოვება არ ადროვა ყინვამ ძლიერმა, –
მოსკოვმა შთანთქა ძვალნი მისნი, –
სატანძიენი.

მკერდზე გეფინა ჩანჩქერივით ქათქათა წვერი,
გადმოალაჯე საკუთარ საფლავს...
კურთხეულ იყოს სახელი შენი, –
ს ა ბ ა !

1973

## დუმილი რეკავს

დუმილი რეკავს,
დუმილი რეკავს
ჯვრით,
            ალავერდით,
გელათით,
                ტბეთით...
ხმა თუა ნეტავ,
ხმა თუა ნეტავ, –
ამ უხმო ხმაზე
რომაა მეტი!

დუმილი რეკავს,
დუმილი რეკავს,
დუმილი რეკავს
თვით პეტრიწონით...
მკვდარიც კი თუა
ქართველი ნეტავ, –
ეს რეკვა მისთვის
როა ლიტონი!

დუმილი რეკავს,
დუმილი რეკავს
ზარზმით,
            ოპიზით,
ოშკით,
          ხახულით...
ხან ფერად შვინდი,
ხან ფერად ლეგა, –
რეკავს სამრეკლო
ხმადაკარგული.

დუმილი რეკავს...

1973

## მე ისევ მოვალ

სულ რამდენიმე, –
ორი თუ სამი, –
იმედად ჩემდა არსებობს სახლი, –
სადაც მე ძალმიძს, –
ყოველ დროს ძალმიძს, –
მოულოდნელად დავრეკო ზარი.

ერთ-ერთი მათგან
სახლია შენი, –
რომელიც მელის, –
ყოველ დროს მელის...

და, ერთხელ, როცა,
და, ერთხელ, როცა, –
ეგ სახლი შენყვეტს ჩემდამი ლოდინს, –
მე ისევ მოვალ, –
კვლავ შენთან მოვალ, –
მხარზე ჩემივე საფლავის ლოდით.

1973

## ფიქრნი ქოსა მუსტაფასი იბრეიმ ყარა მაჰმად-ოღლის ძმის ქორწილში

წუთისოფელი ამნაირად იმიტომ მიდის, –
კაი ხანია, კაცი არ ჩანს ნამდვილად დიდი!

წესი და რიგი, –
დღეს როა ირგვლივ, –
მყის დაიმსხვრევა, –
გამოჩნდება როგორც კი იგი!

1973

## Ω

უნდა გაცვითო რამდენი ბონდი.
უნდა იტვირთო რამდენი ლოდი.
უნდა იგუო რამდენი ჭოტი.
უნდა ინვნიო რამდენი შოლტი.
უნდა გაწყვიტო რამდენი ბარდი.
უნდა ახადო რამდენი ფარდა.
უნდა დაღვარო რამდენი სისხლი.
უნდა ჩაყლაპო რამდენი ზიზლი, –
კაცი რომ გახდე
კუთვნილის ღირსი.

1973

## Ձ

„... და იუდა ისკარიოტელი, ერთი ათორმეტთაგანი, წარვიდა მღვდელმთავართა მათ მიმართ, რათა მიჰსცეს იგი მათ... და ჰსცემდეს მას თავსა ლელწმითა, და ჰნერწყვიდეს მას...

(მარკ. 14-19. 15-19).

კაცი, –
ცათამდე მართალი თუნდა, –
ყველამ რომ ფურთხის ჩათვალოს ღირსად,
ამას, –
მისივე მეგობრის მხრიდან,
სხვა არაფერი,
კადრება უნდა!

იყო ეს ასე, ასეა ახლაც
(ნურვინ იტოშებს, – ამას რომ ვბედავ!),
ასეა, რადგან სიმართლეს ქვეყნად
პატრონი არ ჰყავს, –
ნამუსის გარდა!

1973

**ღ**

დაეშვა მწუხრი.
დასავლეთი ანთია წითლად.
მინაზე
რტო-რტო
ჩამოცოცდა
დუმილი
ციდან.

ცაა კრიალა.
ისე ჩანან ქედნი მუქლურჯნი, –
პოსეიდონმა
თითქოს
ზვირთნი
დაამუხრუჭა.

1974

## ფამილარული კომპლიმენტი

ყურს ათხოვებ მუხრანს თუკი!
უნდა გითხრა, უილიამ!
შენისთანა დრამატურგი! –
ტყუილია!

1974

## ვინც იყო, იგი რომ არა

პატარა ვანოს

დრო არი, ჩემო პატარავ,
იცოდე ერთი ამბავი:
ედემის როა ბადალი —
დღეს საქართველოს მთა-ბარი.

ბეღელში როა ხორბალი,
ღელეზე როა წანწალა,
ბრუნვით წისქვილის ბორბალი,
რომ იხვითქება საწყალი.

მზე რომ ამოდის წითელი,
ტყიდან რომ გვიხმობს ძახველი,
რომ ჟღურტულებენ ჩიტები, —
ზამთრობით მოცახცახენი.

და, წყალია თუ დანდური,
და ხიდია თუ ძახველი,
რაც მთავარია, ქართული
დღესაც რომ ჰქვია სახელი.

კვლავაც რომ იკვრის ფანდური,
კვლავაც რომ ილხენს ქალ-რძალი,
რომ ლაპარაკობ ქართულად, —
ქართულ სკოლაში ნასწავლი.

კარგს რომ გვიქადის მომავალს, –
შენი ბეჯითი გარჯანი! –
ვინც იყო! –
იგი რომ არა! –
არ იქნებოდა, –
რაც არი!

ფარნავაზ მეფე რომ არა, –
ვინც ჩვენი სრულყო ანბანი.

შოთა რუსთველი რომ არა, –
ვინც არი ჩვენი ლამპარი.

მოციქულთ სწორი რომ არა, –
ოთხგან ალმართა მან ჯვარი.

მღვდელი თევდორე რომ არა, –
(მტერმა აკუნა საწყალი).

ორბელიანი რომ არა, –
საქართველოსთვის დამწვარი.

პატარა კახი რომ არა, –
ყველა მომხდურის თავზარი.

მეფე დიმიტრი რომ არა!
ძმანი რომ არა! –
ცხრა ძმანი!..

მოკლედ: –
სისხლის ღვრა რომ არა! –
არ იქნებოდა, –
რაც არი!

კვლავაც თუ გვინდა, ქართველი
ლაპარაკობდეს ქართულად,
თუ გვინდა, იყოს კვლავ ჩვენი
ეს არემარე ხატულა.

თუ გვინდა, მხარეს მშვენიერს
კვლავ ჩვენი ერქვას სახელი,
თუ არ გვსურს, ძენი ჩვენივე
ჩვენივ რომ გახდნენ მძრახველნი.

უნდა უკვირდეს მტერს ჩვენიც,
ვით პაპის სიმხნე უკვირდა! –
თუ გვინდა, –
გვერქვას ქართველი! –
რაც უნდა გვსურდეს! –
თუ გვინდა!

1974

**ჲ**

იცის რა ცოტამ
და
რაოდენ მისაბაძია:
სევდას ვეებას, –
იმედი რომ ებრძვის პაწია, –
ილიასია!
ვაჟასია!
თუ
საბასია!

1974

ჲ

რომ არ გეგონო, – გამნარების გამო, – საწყალი, –
მიზეზი ჩემი გამწარების, –
გეტყვი: – რაც არი: –
მე ჩემზე შენი ცუდი აზრი კი არ მამწარებს,
მამწარებს ის რომ, –
შენ გგონია, –
ის მე მამწარებს.

1974

## ქართველი ამას იკადრებს?! – არა!

„1887 წელს მეორედ ვიმოგზაურე ათონის მთაზედ... მივედი ივერიის მონასტერშიაც.... წინანდელის წარწერის – „საქართველოს მეფენი, – აღმაშენ-ებელნი და განმაახლებელნი ივერიის მონასტრისა“ – მაგიერ ეწერა: „ბიზანტიელნი მეფენი, – აღ-მაშენებელნი ივერიის მონასტრისანი“; დედოფალის „ნესტან დარეჯნის“ მაგიერ: „ირინა დედოფალი“; „თორნიკე ერისთავის“ მაგიერ: „ნიკიფორე, – ბერ-ძენთა კეისარი“.

პეტრე კონჭოშვილი, „მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ“ – ტფილ-ისი – 1901

გამოუყვანეს ქართულ ტაძრებს უტიფრად წირვა,
განზრახ დაფხრიწეს არაერთი ხანმეტი ნუსხა...
სადაც: „თორნიკე ერისთავი“ – ეწერა წინათ, –
მუნ: „ნიკიფორე კეისარი“ – დაწერეს ურცხვად.

ქართველი ამას იკადრებს?! –
არა!

ათონის ლავრა ნაპარევი დიდებით ბრწყინავს, –
მკრეხელთა გლისპი საქციელით ქრისტეა სახტად...
სადაც: „დარეჯან დედოფალი“ – ეწერა წინათ, –
„ირინა-ბერძენთ დედოფალი“ – წერია ახლა.

ქართველი ამას არ იკადრებს?! –
არა!

გვინგრევენ წარსულს,
გვაოხრებენ, –
ჩვენ ყურზე გვძინავს.

იგივე ხდება,
უცხოეთში კი არა, –
აქაც:
აგერ,
ჩვენს თვალწინ, –
ძველი ძეგლი, –
ზედ ხრამის პირას,
კაცმა არ იცის, –
სად,
როგორ გაქრა.

ქართველი ამას იკადრებს?! –
არა!

რაც შეუძლიათ მუშაობენ
წერაქვით,
ნალმით:
სადაც ქართული წარწერაა, –
თავისას წერენ...
ისაკუთრებენ, –
ერთდროს ჩვენმა რაც შექმნა ხალხმა, –
და...
„ჩვენიაო!" –
გაყვრიან საქვეყნოდ მერე.

ქართველი ამას არ იკადრებს?! –
არა!
. . . . .
ქართველი კაცი ბუნებით არაა პლაგიატორი:
ყვავი ვარ?! –
ყვავად მოვკვდები!
იადონს, –
ხმა იადონის!

1974

## ყოველი ტოტი და ტოტისტოტი

ყოველი ტოტი და ტოტისტოტი
და ტოტისტოტისტოტი ყოველი
საქართველოთი თუა სოველი, –
ვინ ეშმაკია თვით სამოელი!

1975

ბედი ტრიალებს.
მინა ტრიალებს.
შლის წარამარა დუმილი შრიალს;
ხან უფოთლოებს,
ხან ფოთლიანებს, –
ხეები ტოტებს თვალებში მჩრიან.

მოემართება ფანჯრისკენ ტოტი...
ცოტაც და...
ფოთოლს მინას შეახებს...
რამხელა გახდა მეზობლის გოგო!
როგორ დაბერდა ჩვენი მებაღე!

1976

## სიკვდილი პიროვნების კულტის პერიოდში

დამუწა პირი, –
გადაღლილი ვაშას ძახილით.
გულზე ხელები დაუკრიფეს, –
ტაშით დაღლილი.
„დარჩება მარად
ჩვენს გულებში
მისი სახელი".

1976

ჲ

არავინ იცის: – კარგი რაა! – ვითარცა შურმა.
შური: ხან ცოფებს ყრის პირიდან,
ხან არის ჩუმად.
შურს იმსახურებს არა მარტო დროული რისკი,
გმირული თუა! –
თვით სიკვდილიც კი!

1977

## Ω

ჩემს გაჩენაში ურევია თუკი გამჩენი!
ჩამციებია, დალოცვილი, რასღა დაისი?!
სიცოცხლე კია უმაღლესი, ვიცი, სასჯელი,
მაგრამ გავექცე?! –
არ გავექცე?! –
რა სჯობს, –
არ ვიცი!

1977

## ჲ

რომაა ცოტა, და, არაა რომელიც ბევრი, –
მკვიდრია ხვალ-ზეგ, უეჭველად, ვინც სასუფევლის! –
ვინ არის იგი, –
არ ტრიალებს ვის თავზეც კევრი?! –
დღეს გაჩენისას,
რომელია, რომ არ იწყევლის?!

1977

## ᲓᲚᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, – ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲕᲘᲜᲪ ᲘᲪᲘᲡ ᲒᲔᲛᲝ!

კარგა ხანია, კარგად ვიცი, სამშობლოვ ჩემო:
ოსტატობისა ფრიად ბევრმა არ იცის გემო.

თვით რუსთველიც კი,
ვით ოსტატი,
ვინც ყველას სჭარბობს,
პირველ ყოვლისა, –
ხოტბაშია სიბრძნისა გამო.

მიუხედავად ამისა, მაინც –
ოსტატი ჩვენში
იყო და არის.

ვინც ყრუ ადგილას გამოძერწა კანკელი სვეთის,
ვინ იქნებოდა
ჭეშმარიტი ოსტატის მეტი?!

ვინც ნიკორწმინდით არაერთი დატოვა სახტად,
ვინ არის იგი?! –
დიდოსტატი თუ არა ნალდი?!

ოსტატთან ერთად,
ამიტომაც, სამშობლოვ ჩემო,
დღე დიდი ყველას,
ოსტატობის ვინც იცის გემო;
ვინც, სამწუხაროდ
(ჩემზე უკეთ შენ უწყი ღმერთო!),
დღესაც, ვიც უწინ,
ცოტაა ერთობ.

1978

## ᲘᲐᲠᲡ ᲣᲡᲐᲡᲠᲣᲚᲝᲓ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛᲘᲔᲠ

სომხურად როს ერქვა ფაიტაკარანი;
ტფილისზე გადიოდა გზები საქარავნე;
ისმოდა ფალაური,
სოღდური, ასურული,
ისმოდა ატენური, –
მიროტას დანურული...

კრთის ენა ქართული, –
მოსული აქანამდე!

ვაჭრობდნენ თათარნი,
ვაჭრობდნენ ასურნი,
ისმოდა ხმა თარის,
ისმოდა ხმა ზურნის...
მტკვრის დუდუნს
კისკისი ერთვოდა მეძავთა...
ვინ ქრისტეს ესავდა,
ვინ მაჰმადს ესავდა...

კრთის ენა ქართული, –
მოსული აქანამდე!

გაბზინდა ყაწიმნი
რუსთ ღენერლისანი,
გაისმა საარი, –
რიყრაყის ნიშანი...
ღვინო ლაპლაპებდა
ვერცხლის ფიალაში,

თვლემდა ღენერალი, –
ძმა ლოპიანასი...

კრთის ენა ქართული, –
მოსული აქანამდე!

სომხურად როს ერქვა ფაჲტაკარანი;
ტფილისზე გადიოდა გზები საქარავნე;
ჯაბნიდა შიქასტა
მნათობსა ღამიერს,
არავის უთმობდა
აშული სარბიელს...

კრთის ენა ქართული,
მოსული აქანამდე! –
იარს
უსასრულოდ
რომელიც
ამიერ!

1978

## ᲓᲘᲓᲘ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ლამის გამგუდოს, როგორც ნამქერმა,
უხმო ბღავილმა გარეთ და შიგნით:
ბედნიერება არის რამხელა!
ბედნიერება არის რამხელა! –
თავისუფლება
რომაა ფიქრის!

ეს სინამდვილე ვის არ აღელვებს
(საღად აზროვნებს უკეთუ იგი):
ბედნიერება არის რამხელა!
ბედნიერება არის რამხელა! –
თავისუფლება
რომაა ფიქრის!

1978

ჲ

ახლობელია როცა მკვნესარი, –
ზილფვთ ახლორეა ოდეს წეწვანი;
– მოხდეს! – ვიძახით, –
ოღონდ, დღეს არა!
ოღონდ, დღეს არა!
ოღონდ, დღეს არა!

ნუთისოფელიც სწორედ ეს არი!

1978

## ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲗᲥᲛᲣᲚᲘ, ᲘᲡᲔᲕ ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲝᲡ ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ, ᲘᲡᲔᲕ ᲫᲛᲐᲗᲐ ᲗᲕᲘᲡᲗᲐ ᲗᲐᲜᲐ, ᲘᲡᲔᲕ ᲨᲣᲐᲛᲗᲐᲨᲘ

როგორც ახალი ნაჭინჭრაქალი, –
ტოკავს ასკილი,
ანდა გრაკალი;
ზუსტად იმგვარი,
ზუსტად ისეთი
(ყველა სიგლახის როა მიზეზი), –
სულყველაფერზე თავის კანტური, –
საქციელია არაქართული!

უცხოს როდესაც კოცნი იაზონს
და ზურგზე ისვამ,
როგორც იაბო;
თავმა თუ არა,
ტვინუსუარო, –
ტანმა ქე მაინც უნდა გიაზროს, –
რა შეიძლება მოჰყვეს იმ ამბორს.

მე ამას მხოლოდ იმიტომ ვამბობ, –
ვიცი: ხამს ხოლმე რა დროს ძმა ძმისთვის,
ვიცი: რა მოჰყვა მედეას ამბორს,
როგორ დავკარგეთ, მახსოვს, საწმისი.

როგორც ახალი ნაჭინჭრაქალი, –
ტოკავს ასკილი,
ანდა გრაკალი;
ზუსტად იმგვარით,
ზუსტად ისეთით
(ყველა სიგლახის როა მიზეზი), –
სულყველაფერზე თავის კანტურით, –
ენაც დავკარგეთ კნინღა ქართული!

1978

# ენა ქართული

ქართული მარტო ენაა?!
ქართული ქართველთ რწმენაა!
ღმერთია!
ბედისწერაა!
ზღვა როა! –
იმოდენაა!

1978

## გატეხილი ხიდის ახლოს

გატეხილი ხიდის ახლოს
(ვით ვახუშტიმ განაცხადა):
ვახტანგ მეფე ხოცდა ხან გნოლს,
ხან შხეროს და ხან ასკატას.

გატეხილი ხიდის ახლოს
(რომ მოვეშვათ თვითონ ვახტანგს):
ვინღა ნახავს, ახლა, ან გნოლს,
ან შხეროს და ან ასკატას.

გატეხილი ხიდის ახლოს
დღეს ღაჟოღა, ვინძლო ნახო.

1978

## და ძაღლი ყმუის

სარკმელს ურიცხვი ენარცხვის მუმლი.
ბებერი კომში ნაქცევაზეა.
სიკვდილი სახლებს გარშემო უვლის, –
ვინ წაიყვანოს:
არჩევანშია!..
და ძაღლი ყმუის... ყმუის და ყმუის...

1978

## იყვნენ...

იყო ნისქვილი,
იყო ლაშურა,
ჩეროიანი იყო ჩინარი...
დრომ ქნა თავისი, –
დღეს იმ ლაშურას
აღარ აჩნია ნაწისქვილარიც.

შენი ნისქვილი,
შენი ჩინარი,
შენი ირემი, –
მთასა მყვირალი, –
ყველა წასულა
ჩემო ლაშურა...
მიკნავებულა შენი ჩხრიალიც.

იყო ნისქვილი,
იყო ლაშურა,
ჩეროიანი იყო ჩინარი.

1978

## მადლი იმ ზართა

რაც კი ზარია შემოკრული დღემდე ალავერდს, –
მადლი იმ ზართა შესწეოდეს მეზვრე მანაველთ,
მეზვრე ჩუმლაყელთ,
მეზვრე შილდელთ,
მეზვრე ახმეტელთ! –
მე ვინაიდან ღვინოებში კახურს ვაღმერთებ.

რაც კი ზარია შემოკრული აქამდე ყინწვისს, –
მადლი იმ ზართა შესწეოდეს ტურფაა ვინც კი:
მროელთ, არბოელთ,
მცხეთელთ, კასპელთ,
გორელთ აგრეთვე! –
მე ვინაიდან ქალთა შორის ქართლელს ვაღმერთებ.

რაც კი ზარია შემოკრული საერთოდ სადმე, –
მადლი იმ ზართა შესწეოდეს ყველა ნაღდ ქართველს:
ჰყვაოდეს ქართლი,
იმერეთი, ფშავი, კახეთი! –
მე ვინაიდან დუნიაზე მამულს ვაღმერთებ.

1978

## ქართველთ ზნეობანი

სტუმრადმყოფი ვათალიერებ
საოჯახო ალბომს

დამიწდა ვინ იცის რამდენი, –
თავის თავს ვინცავინ ეომა, –
მოყმე და ასული ქართველი, –
ნატანჯი ზნეობის ტყვეობით.

ქვეყანა დარჩება ღამურას, –
და მერე მიდი და ეომე...
წახდება, წახდება მამული, –
ტყვეობა რომ არა ზნეობის.

1979

## კვლავაც ნატვრაში გავა საწუთრო?!

ყველა, ვინც კაცი იყო კაცური, –
ნატვრითურთაა საფლავს ჩასული.

დღესაც ვინც ნაღდი ძეა ადამის, –
გაუმხელელი ტანჯავს ნატვრავე.

კვლავაც ნატვრაში გავა საწუთრო?! –
ვაი, რომ გადის, კაცნო კაცურნო!

1979

## ვაჟას

ეგება გულის ვარამი
ჩავკლა მა ჯიხვის რქაშია...
ვაჟა

დღეს ჯიხვის რქაში მე ვტენი ვარამს,
ამაოდ ვტენი, როგორც შენ გუშინ...
მე, მე ვიკითხო, მე რა ვქნა, თვარა
შენ რა ხანია გაქვს თავი ქუდში.

1979

## ვარდისუბნის დილა

(ციკლიდან „თბილისური სურათები“)

გაიღვიძა ხალხმა.
შეეზილა ხმა ხმას.
გაიღვიძა კოლხმა.
გაიღვიძა კახმა.
ვერარეჩკის გაღმა
იზმორება კახპა.

ქუჩაში ოსი ამყარებს წესრიგს.
ეზოდან სომხის რუსული მესმის.

და ვკვდები, –
ვკვდები მეც ჩუმის ნატვრით, –
ვით არაერთი მოკვდა სულმნათი.

1979

## Ω

ვერ გაგიწირავს საკუთარი უკეთუ თავი, –
ეპოტინები, თუ გიყვარდე, რაღა დიდ მიზანს?!
ხე ინევს ცისკენ:
ხის
წილ,
ცაში
ხის
ადის
კვამლი! –
ცოცხალი თავით
თვით ქრისტემ ვერ მოდრიკა მიწა.

1979

## ჵ

ის რა კაცია,
გეტყვის ახლა ვინც:
– სახელს გერჩიოს, გირჩევ, სახრავი!

კაცი ის არი,
ვინც გეტყვის ახლა:
– გირჩევ, სახელი გერჩიოს სახრავს!

1979

## სწორედ ამიტომ

შენ რომ, ვთქვათ, ფრანგი ყოფილიყავ,
თუ გინდა შვედი,
გინდ ინგლისელი,
გინდ... ვინც გინდა,
გარდა ქართველის, –
და დაგეწერა, –
ხარ ქართულად რისი დამწერიც! –
დანტე ვინ არი! –
ჰომეროსზე იქნები მეტი!

შენ რომ, ვთქვათ, ფრანგი ყოფილიყავ,
თუ გინდა შვედი...
სწორედ ამიტომ
ხარ ნიმუში შენ ქართველთ ბედის!

1980

## დედაკაცი

– სამოთხე იყო...
დედაკაცმა დაგვაკარგვინა.
საწმისი იყო...
დედაკაცმა დაგვაკარგვინა:
დანაშაული,
თუ გიყვარდე,
მეტი რა გინდა?!

– სამაგიეროდ
დიაცმავე იესო გვიშვა.
სამაგიეროდ
დიაცმავე რუსთველი გვიშვა:
ეს კი, მე მგონი,
თუ შენც იტყვი,
ცოტას არ ნიშნავს!

1980

## შეხვედრა გურიაში

ვიყავი მოწმე, – გურიაში ვნახე პირადად
(ჩემს ტარიელთან,
ჩემს გივისთან,
ჩემს ამირანთან):
ვეებერთელა
ჟღალი ყანწი,
რომ დაყირავდა, –
ფეხზე წამოხტა რანაირად სისხლი ფირალთა.

ვიყავი მოწმე, – გურიაში ვნახე პირადად
(ანასეულში,
ცხავათაზე,
ნასაკირალთან):
თავშეკავებას,
ღამის წყვდიადს,
როგორც სინათლე, –
ენარცხებოდა გააფთრებით სისხლი ფირალთა.

ვიყავი მოწმე, – გურიაში ვნახე პირადად:
ის ქალიშვილი (ვენაცვალე!) როგორ ბრწყინავდა,
ჩემი რომელმაც მთელი წიგნი თქვა ზეპირადა.

1980

ჲ

ესმის განაღა იდუმალი ყველას ძახილი?!
ხურმა განაღა იცის ყველამ არის რა ხილი?!
თუნდ ერთი მათგან, –
ასე ყინჩად, ვინც გიდგას გვერდით,
რო რამე იყოს, –
წვეთს სისხლისას გაიღებს შენთვის?! –
ეჰ... შენი მტერი არაა მეტი!

1980

## არ მომხდარა! – არც მოხდება!

ალაზანო! –
შენი წყალი
ყველა ქართველს გადასხმოდეს!
ცხენისწყალო! –
შენი წყალი
ყველა ქართველს გადასხმოდეს!
უცხო წყალი
ცხენისწყლობდეს?!
უცხო წყალი
ალაზნობდეს?! –
არ მომხდარა არასოდეს?! –
არც მოხდება არასოდეს!

1981

**Ω**

ბედნიერება მიმდგარი კარზე, –
ეჰეი, რამდენს დაურჩა ოხრად...
ქვეყანა ესე
ყოფილა ასე...
რა გინდა რო ქნა!

1981

ჲ

მე რო პატარა ვიყავ, ჩემს უბანში (ვერაზე) სუფთა ქართულით ლაპარაკობდა რუსიც, ქურთიც, სომეხიც...

უწინ ქართული იცოდა რუსმაც,
ქართულს დღეს ქურთმაც უკლო ლაპარაკს...
ქართლი, ნეტა თუ იყოა როსმე, –
დღეს როა, – ასე ღვთის ანაბარა?!

1983

## ცხება მირონთა

თხოთით მოიქცა მეფე მიროტა;
მცხეთას გაჩაღდა ცხება მირონთა.
ნაყოფთ უწვდიდნენ მეფეს-პილოტანს
რტონი მაყვალთა და ბაბილოთა...

თვალნათქორალი იდგა ნინო და
ჟღერდა გალობა მუნ ალილოთა.

1985

## შესაქცევარი

ვინც ღელავს და ვინც არ ღელავს, –
მოეღება ბოლო ყველას!

ვინც მიმოდის ახლა ირგვლივ,
ვინც არ უნდა იყოს იგი, –
აქვს თვალები მას ცისფერი
თუ შავ თვალებს აბრიალებს, –
დღესაც ისე, როგორც ძველად,
ყველამ იცის აპრიორი,
რომ ეწევა უეჭველად,
უეჭველად რომ ეწევა
მიქელი და გაბრიელი.

ამიტომაც, გწამდეს ღმერთი! –
შეისმინე, რასაც გეტყვი:
ხარ ვაჟკაცი ქვა და კირი,
თუ გოგო ხარ მათრახივით;
მოილხინე, შაექეცი,
დროთი დატკბი შენი კერძით,
როგორც გრიშა[1] ურჩევს ანტონს[2]
(კაცი ამ მხრივ ერთობ სანდო):
თუ გინდა რომ იმ შენს მიხოს,
თუ გინდა რომ იმ შენს გაზროს
(მათი ღმერთიც აღარ იყოს!)
პირში ბალი გამოავლო.

1986

---

[1] პოეტი გრიგოლ ორბელიანი.

[2] ანტონ ორბელიანი, – ადრესატი გრ. ორბელიანის ლექსისა „ანტონს".

## გვალვა იყო უცხელესი

წყლისა ოქროდ ღირდა წვეთი, –
გვალვა იყო უცხელესი.
ასკდებოდა ძუძუ-მკერდი,
ძროხას ყიდდა საჩხერეში
ორლუკელი ქალაუში, –
გათხოვილი შალაურში.

გვალვა იყო უცხელესი
გზად შევჩერდი საჩხერეში.

1986

## მწვანეყვავილა

მომესმა ხმა იმნაირი, –
შოთასი როა შაირი, –
ზღაპრულიც როა, ნამდვილიც,
ვითარცა მწვანეყვავილა.

აკაკი ცით ჩამოვიდა,
ვაჟა მოვიდა ფშავიდან,
გალაკტიონიც მოვიდა,
ვითარცა მწვანეყვავილა.

ფერმა იმძლავრა ყვიჟილმა,
ფერი გახუნდა კაპრაში,
ერთხმად ატეხა ყიჟინა
ყველამ, ვინც კია საფლავში.

წითლად გაწვიმდა ანაზდად,
ბალახი ცაში ავიდა;
მწვანე მზესავით განათდა
ძილ-ცხადი მწვანეყვავილა.

1986

## მინავ ჩემო

შენი, – მინავ ჩემო,
ვინც კი იცის გემო;
როგორ დავიჯერო, –
თავს არ შემოგევლოს!

იმერეთო ქვემო,
იმერეთო ზემო, –
სიყვარულო ჩემო,
სიხარულო ჩემო...
ძამა გურულებო,
ჯიმა სამეგრელო,
ძმაო ქართლ-კახეთო,
მესხეთ-ჯავახეთო;
მარნის ჩვენის ეშხი
მტერსაც ჩავახეთქოთ,
ოღონდ ჩვენს საქმეში
ნაკლებ ჩავახედოთ.

დიდგორისა ველო, –
ახლა ცრემლისმგვრელო, –
კრწანისისა ველო, –
დღესაც გულისმკვლელო...
რაღა გავაგრძელო,
მთელო საქართველო,
სასოებავ ჩვენო, –
რა ვქნა, – რა გიშველო!

შენი – მინავ ჩემო,
ვინც კი იცის გემო;
როგორ დავიჯერო, –
თავს არ შემოგევლოს!

1986

## სუფრული

არგვეთი მოსპო მურვან ყრუმ
(დედა ვატირე მე მისი!):
გულს შავი მიკლავს მე ნამყო
და არანაკლებ მერმისი.

კახეთი მოსრა აბასმა
(დედა ვატირე მე მისიც!);
ტკბილი ჩაგვშხამდა ჭამა-სმა,
ძილი წაგვერთვა ნებისი.

ქართლი გათქერა თემურმა
(დედა ვთქვა?! – რა ვთქვა მე მისი?!);
ვინ მოთვლის თავდადებული
რამდენი მოკვდა ერისთვის.

მაგრამ ვერც ერთმა მტარვალმა
ხოში ვერ ჩაკლა ქეიფის;
კვლავაც ფეხზეა თამადა, –
რაც, – რასაც ნიშნავს, – ქე იცი!

1986

## ფასკუნჯი

მზისკენ მიმაფრენს ფასკუნჯი, –
ფასკუნჯს უფსკრულის აქვს კუჭი;
მე კი საგზალი ვარ მისი,
მაგრამ ვეყოფი?! –
არ ვიცი!

მიფრინავს ლურჯი ფასკუნჯი, –
ისიც ლურჯია, ცაც ლურჯი;
ეჭვისა მახრჩობს მარყუჟი, –
ვერ ჩავხვდი, – უდევს რა გულში, –
ძუნწია სიტყვა – პასუხში.

გავიარენით ჭირანო
(ხორცსა ვეპყრობი მომჭირნედ),
მინდარის ვიამირანო, –
შორიდან შევტრფი კოჭიმელს.

გაჭიანურდა ცორანო
(ფასკუნჯს, ეტყობა, მოშივდა)...
ნეტა, ეს შავი ყორანი
ტატოსია თუ პოსია?!

მიფრინავს ლურჯი ფასკუნჯი, –
მკერდით გამპობი ცეცხლეთის;
მზემდე ჯერ კიდევ ბევრია,
როგორც ეტყობა, მანძილი;
არადა, ახლა მე ჩემი
ჰა და ჰა ვიყო მეცხრედი, –

მოზრდილი უკვე ჩახეთქა
ჩემი ფასკუნჯმა ნაწილი.

მივეახლები კოჭიმელს?! –
თავი მეყოფა მე ჩემი?!
უფრორე სწორად: ამ ოხერს
ვეყოფი თუ არ ვეყოფი?!
თვალებს მიჭრელებს ფასკუნჯის
მთაგრეხილივით ბეჭები...
– ხომ კარგად?! – მკითხა უეცრად! –
ხმა მეცნაურა მეგობრის.

მიფრინავს ლურჯი ფასკუნჯი, –
მიქშუის, როგორც ქიბორჯი...
დარდიმანდები ხაშურში
შეექცევიან ციმორსა...
მექაჩებიან მინისკენ
ძმაბიჭები და სუფრანი;
ხრეითით მესმის მე კრინი,
პატარძეულთით, – სოპრანო...

ვხედავ საკუთარ წინაპრებს:
დღედაღამ ფხიზლობს ბერბიჭა, –
კაცმა ვინც იტყვის სიმართლეს,
რომ არ გაქუსლოს მერნითა.

ძეხორციელის აქ ყოფნა
არ გახლავთ მთლად უხიფათო;
კაცსა, ვინც იჩენს კაცობას, –
ფიქრობენ: რა უხიმანონ!

მიფრინავს ლურჯი ფასკუნჯი, –
ისიც ლურჯია, ცაც ლურჯი;
ეჭვისა მახრჩობს მარყუჟი, –

ვერ ჩავხვდი, – უდევს რა გულში, –
ძუნწია სიტყვა-პასუხში.

ამხედრებული ფასკუნჯზე,
მზისაკენ ქარებრ ვისწრაფვი;
ქართველი რათა გაშუქდეს, –
მყოფი მიწაზეც, მიწაშიც.

თვალებს ვაცეცებ გარშემო...
– რაღა ვქნა! – ვფიქრობ მე ჩემთვის, –
უეცრად ამ უგამჩენომ,
რომ მოიწებოს დესერტი?!

ძირს სამშობლოა გაშლილი, –
ორი ვეშაპის შუაში;
ქსელია პირწავარდნილი
რომელიც ბაბაჭუასი, –
გულდასმით ნაგვირისტევი
მტკვრით, ქსნით, ალაზნით, არაგვით...
მე თავი გამოვგლიჯევი
რომელსაც დავიდარაბით.

გაფრენილს, – მზისკენ გაფრენილს, –
შემომცქერიან დაბლიდან:
ხცისი, ბედლევი, ავლევი,
თილვა, იკორთა, მთაწმინდა...
ლხენანი ამ ქვეყნისანი,
თავისუფლების სიტკბონი, –
რაც ვერ დაიცვა კრწანისმა,
რასაც იცავდა დიდგორი.

ლხენანი, – ხმევას რისასაც, –
ფასკუნჯს ვეხმიე, – ვარჩიე;

მე სულის დასანაყრებლად,
სხეული ვინც მოვამშიე.

ერთხელაც როცა იქნება! –
იქნება კია ეს წუთი?!
(გულს ეჭვი მიღრღნის იმდენი,
უყვარს რამდენსაც ფეხბურთი), –
მზის წინ როდესაც წავდგები
ნატამალიღა მე ჩემი,
ცათა საცერში გაცრილი, –
მე, – ჩემი მცირე ნაწილი
(ფასკუნჯი როცა შემომღლეტს,
ჩემში რაცაა ზედმეტი), –
მე (ჩემთვის უკვე უჩინარს)
მზე მეტყვის, ვიცი, მზე მეტყვის:
– კაცო, ვინა ხარ?! – აღარ ხარ! –
ხარ კაცის მეათასედი! –
რა გზები გამოიარე
შე, უბედურო, ასეთი?!

მზისკენ მიმაფრენს ფასკუნჯი, –
ფასკუნჯს უფსკრულის აქვს კუჭი;
მე კი საგზალი ვარ მისი,
მაგრამ ვეყოფი?! –
არ ვიცი!

1986

## წყალს სხვანი ვინმე სმენ

დღეს თავს ვინც გმირად ასაღებს
და ეტმასნება ერს...
ვინც ღრმად დუმს იმის შესახებ, –
ჯვარს როგორ მაცვეს მე...
ნამუსი თუ აქვს ერცახე, –
რა პასუხს აძლევს ღმერთს?!

რუ ვთხარე, – ჭირი მე ვნახე, –
წყალს სხვანი ვინმე სმენ.

1986

## თბილისური

დღეს, რანაირი, მეგობარო, დროა, ხო იცი?! –
დრო არ გეგონოს პანკასი და ვახტანგ ჭყოიძის!..

მოკვდა ვერაზე შავგულიძის დგომა დოინჯით,
გავლა-გამოვლა ვალიკოსი მოკვდა დოლიძის
და ჯოხით ხელში სიარული მელიტონიჩის.

დღეს, რანაირი, მეგობარო, დროა, ხო იცი?! –

1986

## ჲ

შემოდგომაა შესანიშნავი.
მზეზე,
წისქვილთან,
წევს ძაღლი შავი.
სხედან წისქვილში მუქთახორები:
მუსაიფობენ, –
გულს აყოლებენ.

მათთვის უცხოა დაფნის გვირგვინი,
ეძალებიან ღვინოს შაქრიანს...
ერთი პირხმელი ამბობს ქირქილით:
– შენი შოთიაც გაუძაგრიათ!

შემოდგომაა შესანიშნავი.
მზეზე,
წისქვილთან,
წევს ძაღლი შავი.

1986

## წერილი საკუთარი ძისადმი, – არგვეთიდან იენაში მინაწერი

მოვრჩით პაწია რთველს.
სუფრა გავშალეთ. ვზით...
ქარი ბიჭივით სტვენს, –
შენს თავს მაგონებს ის.

ახლა, ნეტავი, შენ! –
რას შვრები, რასა იქ?! –
იქნებ, სიგარეტს სწევ?!
იქნებ, კითხულობ წიგნს?!

ალბათ, გვიგონებ ჩვენ
(მანდ შეიძლება წვიმს)...
ქარი ბიჭივით სტვენს. –
შენს თავს მაგონებს ის.

1986

## ორი რამე

ეს ჭინჭილაა, –
მამაჩემმა რაც დამიტოვა;
ძილარხეინი,
ღვთის წინაშე,
ვარ ამიტომაც.

ეს ქვეყანაა, –
მამაჩემმა რაც დამიტოვა;
ძილგატეხილი,
ღვთის წინაშე,
ვარ ამიტომაც.

ეს ორი რამე, –
მამაჩემმა რაც დამიტოვა;
თუ გავიმეტო,
არ დამინდოს
ადამის ტომმა.

1986

## ყველას თავისი აქვს მუღამი
## სახელის შოვნის

მე არ მეგონა თუ ოდესმე, როგორც პოეტი,
ხალხის სიყვარულს ამოდენას მოვიპოვებდი.

საქართველოში მე იმდენად გავხდი საქები,
სახელს იხვეჭენ ჩემი ლანძღვით ავაზაკები.

P. S.
სულაც არ მიკვირს ეს ამბავი მე, სხვათა შორის, –
ყველას თავისი აქვს მუღამი სახელის შოვნის.

1986

## სვეტიცხოველში

უმზერს ტურისტი (პირში იყრის ვინც მუჭით ხენდროს)
სვეტიცხოველის შეთეთრებულ, დაღუპულ კედლებს.

სანთლად სამასად ილვენთება გმირი სამასი, –
ველს კრწანისისას ზნე შესძინა ვინც კანოპუსის...
გრანიტისაში ნირწამხდარი წევს აკლდამაში, –
თავისუფლება ერს საკუთარს ვინც განუზოძა.

1986

## ორნი

მოდიან, როცა ღამეა
ჩემთან კახი და ფშაველი;
კახია ზაქიჭამია,
ფშაველი, – გველისმჭამელი.

გათენებამდე რჩებიან
ჩემთან კახი და ფშაველი;
ხითხითებს ზაქიჭამია,
ქვითინებს გველისმჭამელი.

გათენებისას მიდიან
ჩემგან კახი და ფშაველი;
თეთრონით, – ზაქიჭამია,
წითლონით, – გველისმჭამელი.

1986

## ♎

აქ იყო კალო,
აქ იყო კევრი;
დღეს კომბაინი სწვევია დაბას
და ასევადებს მსუბუქი სევდით,
რაც იყო, – იგი! –
რაც არის, – ამას!

1986

## სევარა

კრიალა ზეცას მთოვარე ამკობს.
გზაზე ლასლასით მიდის სევარა...
და ერთი წამით სოფელი ნამყომ
მსუბუქი სევდით მოასევადა.

1986

## რა გითხრა, ძმაო, ამაზე მეტი

რა გითხრა, ძმაო, ამაზე მეტი?!
(როსმე შენც ამას მეტყოდე, ნეტა!):
შენ მოგცეს ღმერთმა, –
რაც გინდა ჩემთვის! –
რაც მინდა შენთვის, –
მე მომცეს ღმერთმა!

და ერთადერთი მე ახლა მინდა!
და არაფერი არ მინდა მეტი:
ეს გულის გლეჯით ნათქვამი სიტყვა
შენდამი წყევლა არ იყოს შენგნით!

1086

## მართლა სამოცმა?!

თბილისთან სევდით განშორებანი;
ნიფის გვირაბი, –
　　　　　　　　　　მყის შორაპანი!

არგვეთით ჩემი გახარებანი;
ბალატყემალი, –
　　　　　　　　　　მნიფს მწარე ბალიც!

და გაირბინა წელმა სამოცმა...
მართლა სამოცმა?! –
　　　　　　　　　　　　ხომ არ წამომცდა?!

1986

## ♎

სტუმარ-მასპინძელს
შესციცინებს
ქვევრი თავლია;
ქვევრში ღვინოა
და ღვინოში
მთვარე აგდია.

თეთრად ანათებს
შეგდებული
ცაში ბადიმი.
დგანან ტირიფნი
ფეხზე ცალზე,
როგორც ბატები.

1986

## ეს მიწა

აქ, ამ მიწაში მარხიან
მომხელთებელნი ხვითოსი:
აქ, ამ მიწაში მარხია
დაბადებული სხვიტორში.
აქ, ამ მიწაში მარხია
დაბადებული ყვარელში:
აქ, ამ მიწაში ხალხია
ნამდვილად უსაყვარლესი.

ეს მიწაა აკვანი
მზეკაბანა ლექსისა.
საფლავიცა საყვარლის
ეს მიწაა.
ეს მიწა.

1986

## ჲ

ის ძველი ქოხი (აქ რომ იდგა კარგა ხნის წინათ),
ქოხი ლატაკი, კედელ-ყურე მისი უხეში,
სასახლეს ამას (მის ადგილას, ახლა რომ ბრწყინავს),
ამ ძვირფას ოდას, სევდით მოსავს უმსუბუქესით.

ის ბიჭუკელა, ამ ეზოში ბიას რომ კბეჩდა
(ულამაზოა ეს სასახლე იმის გარეშე),
ის ბერიკაცი, იმ ძველ ქოხში რომ იჯდა ფეჩთან,
ზეიმს აწინდელს სევდით მოსავს უანკარესით.

ამაოდ ებრძვის თვალი ჩემი სევდის საბურველს,
წრიალებს აწმყო, როგორც მწერი ობობას ქსელში;
რაც იყო უწინ, კიდეც მსურს და არც მსურს დაბრუნდეს...
ნისლივით აწევს სოფელს სევდა უმსუბუქესი.

1986

## პაოლო

ზოგს რაც პოემით ვერ უთქვამს მგოსანს, –
ძალუძდა მისას კალმის ერთ მოსმას...
დრო დიდი მან არ აღირსა ჭოჭმანს, –
სანუთრო დათმო ჩემზე უმცროსმა.

მე ყურს არ ვუგდებ, დღეს ვინ რას როშავს,
სულსა ვერ სძლია, ეს ვიცი, ხორცმა...
პაოლომ ტყვია იგლიჯა როცა:
დროს ჰგლიჯა ტყვია,
დროს ჰგლიჯა,
დროსა!

რაც მთავარია, მას ნიჭის გარდა
(რასაც ვერარა ვერ მალავს ხალთა);
სინდისიც ჰქონდა,
სინდისიც ჰქონდა, –
რაც, როგორც ვიცით,
აქვს ერთობ ცოტას!

1986

ჲ

– ელოი! ლამა საბაქთანი? –
განაღა, თუნდ მაშინ, ისმინა ცამ?!
დედამიწაზე სამართალი?! –
გაჩერდი ერთი, თუ ღმერთი გწამს!

1986

## გზისპირ ბოლთას სცემდა ყვავი

მივქშუოდით, როგორც ქარი;
მოვიტოვეთ უკან ჯვარი!..
ნორჩი ნუში, –
                კლდეზე მდგარი,
ჩანდა როგორც იალქანი.

ლეშის დიდი ჭაშნაგირი, –
გზისპირ
         ბოლთას სცემდა ყვავი...
ნატახტართან
                ყაჩაღივით
გამოგვიხტა
                ნარეკვავი.

1987

## მარტო იმიტომ

სიტყვებს, –
                    წინაპართ მიერ გახედნილთ, –
დიდი რუსთველის უღელში ნაბამთ
(შობილთ
            კლარჯეთით,
                        ქართლით,
                                    კახეთით, –
ერთად შეკრიბნა რომელნიც საბამ), –
ვეალერსები, ვითარცა ყვავილთ...
სიცოცხლეც მარტო იმიტომ მინდა,
რომ ჩემს საფლავზე
                        ყაყაჩოსავით
ყვაოდეს სიტყვა, ქართული სიტყვა.

1987

## გუშინ ნაცნობი მოვიდა თოვლი

შეთხელდა სოფლად ნაცნობი ხენი,
ხალხი ხო კიდე უფრორე მეტად:
კაცს აღარ ახსოვს ბავშვობა შენი,
თვითონაც აღარ გახსოვდეს, ნეტა!

ხანდახან მოდის ნაცნობი წვიმა,
გუშინ ნაცნობი მოვიდა თოვლი
და სახე ერთი უბოძა იმან
საფლავთ მოუვლელთ
და
საფლავთ მოვლილთ.

1987

თუ ხელთ ვიგდე მე ხელადა,
თუ სავსეა კუპრიელი, –
ვინ მიგდია მიქელა და
რა მცოდნია გაბრიელის!

1988

ჲ

კრეფად მსურს ვარდის კონები
(ვითარცა ბრძანა ბესიკმა);
დუდუკი მტაცებს გონებას;
სად, – ლხინი! –
სკუპ და –
მეც იქ ვარ!

1988

## ©

მესამოცე ზამთარია უკვე, –
გული აწმყოს ნაგაზივით უღრენს...
მესამოცე ზამთარია უკვე! –
მესამოცე! –
უკვე მესამოცე!

მესამოცე ზამთარია უკვე, –
ნატვრას უთქმელს
რაც რომ გუნდრუკს ვუკმევ...
მესამოცე ზამთარია უკვე, –
მესამოცე! –
უკვე მესამოცე! –

ისევ ჯვარცმად,
ისევ ტანჯვად მელის
წინ რამდენი,
ნეტავ, კიდევ წელი?!

1988

## ხმა ფიქრისა

უფრორე ღამით,
ხანდახან დღისით,
არც ისე შორით,
ხმა მესმის ფიქრის:
– უჩუმრად ყოფნას სინდისი მიშლის! –
ხმის ამოღებას, – სიკვდილის შიში!

1988

ჲ

ყველას, ვინც ახლა დაფნის გვირგვინს ეპოტინება;
თუ შველის რამე, – ჩემიც შველის მას მოთმინება.

ბევრი ბოროტად მოთმინებას იყენებს ჩემსას;
ღიღინით იმკის, – სისხლის ნთხევით, მე რასაც ვთესავ.

წუთისოფელი, თქვენ რომ ფიქრობთ, არც ისე მიყვარს;
მოთმინებიდან, თუ გიყვართ, ნუ გამომიყვანთ.

1988

## ჩვენც ეს დღე გველის!

საცინლად იგდებს მოხუცებულს, ვხედავ, რეგვენი;
ჯერ კიდევ ჯეელთ (თუ დაგვცალდა!), – ჩვენც ეს დღე გველის!

ამ ქვეყანაზე ჩვენც ზედმეტნი გავხდებით მალე, –
ჩვენსასაც შამბი შეესევა მალე სამარეს!

არა მგონია (შესაძლოა, – ჰგონია ვინმეს!);
ქვა სამარისა სიბერეზე რომ იყოს მძიმე!

1988

ჲ

არა ნაცნობთა,
მე უცნობთა ვცოცხლობ იმედით;
ვისაც არ ვიცნობ,
კაცი, იქნებ, არის ის მაინც?!
ნაცნობთა ჩემთა
უკეთუა ის კაციც მსგავსი, –
საქმე ქართლისა
მთლად წასული ყოფილა მაშინ!

1988

## ახლა ისეთი დროა

ჩემგნით ვლენილი ჭკუა, –
პოხილი როა სისხლით, –
მეათასედი თუა, –
რაც შემიძლია, – მისი.

და ესე ასე როა, –
რაის გამოა იცი?! –
ახლა ისეთი დროა, –
მეტის არაა ღირსი!

1988

## გუშინდელს ჰქონდა უდიდესი შექახილს ფასი

გუშინდელს ჰქონდა უდიდესი
შეძახილს ფასი! –
ამაზრზენია
დღევანდელი ყეფა და რიხი! –
ხმის ამოღება
ვინაიდან ღირს მხოლოდ მაშინ,
აკრძალულია
როდესაც
იგი!

1988

## ჲ

სიგრძე იყო იგი როცა თითის,
ვოცნებობდი:
გამხდარიყო დიდი!

ახლა მივხვდი, –
გახდა როცა დიდი,
შვილს რომ ვზრდიდი, –
თურმე სევდას ვზრდიდი.

1988

## ჲ

როცა მოვკვდები, –
ვიტყვი კუბოშიც: –
საქართველოში, ღმერთო, ნუ მოშლი
ძესა – საკუთარ სვესთან მეომარს!
ზნესა ქართულსა! –
თვით უზნეობას!

1988

## ლაზათი საწუთროსი

გადი-გამოდის ხოდაბუნში ექვსუღელა გუთანი;
ხარები:
ღვინია და ქორენა,
ყვავილა და წიქარა,
ლაბა და ნისლა,
ეჟვანა და შვინდა.
კამეჩნი:
ლომა და გიშერა,
ლეგა და მერცხალა.
მეხრენი:
ქიტესა, თანდილა, ბეჟიტა.
გუთნისდედა:
ხვთისო.
იხვნება:
ნარბილი, ყამირი, კურცხალი...
ითესება:
ზანდური, დიკა, ხულუნგო...

გადი-გამოდიან საწნახელში ულვაშა ბიჭები:
თოთიბა, უფლისა, მამრიკი, ბადრი, –
ხელიხელგადახვეულნი, –
როგორც ხორუმის როკვის დროს;
წვივებდაკაპიწებულნი, –
როგორც ფონში გასვლის დროს;
იწნეხება:
ძელშავი, დონდღლაბი, ბუდეშური...

და მადლი პურისა ქართულისა
და ეშხი ღვინისა ქართულისა
ტრიალებს ენაში ქართულში!

მანიერი, ვითარცა პური,
ღონიერი, ვითარცა ღვინო, –
ამიტომაა სიტყვა ქართული!

ღვინო უსიტყვოდ,
სიტყვა უღვინოდ, –
უჩვეულოა ქართველთათვის!

სულით მხნელია და
სულით მეზვრეა და
სულით მესიტყვეა
ყოველი ჭეშმარიტი ქართველი!

სწორედ ამითაა გაპირობებული
ხასიათი ქართული, –
ლაზათი საწუთროსი.

1988

ჲ

ილრუბლება საშიშად,
ქვეყანა აირია...
დღე, რომელიც გზაშია,
ნეტა, რანაირია?!

1988

## სადღეისო

ხანდაზმულთ შორის არის „არიქა!“
და არის ბრიყვი, და არის ბრძენი,
ფერდაკარგული ჭკუას არიგებს
ახალგაზრდობას თაობა ძველი.

და რომ იძლევა რჩევას მედუქნე,
და ბანს რომ აძლევს მას პროფესორი...
რა ოხრად უნდა ჭაბუკს ქედუხრელს
გამოცდილება ხნიერი მონის?!

1989

ჲ

ერი გაერდა!
ხალხი გახალხდა!
ვაი, დედასა! –
რა დროს აღარ ხარ!

1989

## გულისწყრომა გამოთქმული თ. ლორთქიფანიძის მიერ, ი. ბაგრატიონის წინაშე, – ახალციხეში, – არზრუმს გაქცევის წინ

რომელი თურქი! რომელი სპარსი!
თვით შაჰ-აბასსაც თურმე რას ერჩი! –
ქრისტემ იმ დღეში ჩააგდო ქართლი,
ჯვარცმისას იყო თვითონ რა დღეშიც!

ეს ვინ ყოფილა, ბატონო, რუსი!
ეს რა ყოფილა, ბატონო, რუსი! –
არ მოგვანატრა ლახტი და გურზი
თემურ ლენგისა და მურვან ყრუსი?!

1989

## ეს უკვე მეორედ

სამშობლო
ეს უკვე
მეორედ დაემხო.
სატანამ
ეს უკვე
მეორედ იმძლავრა.
ვიჯავრო რომელი?
მითხარი:
რაჲ ვყო? –
მერმისი ვიჯავრო
თუ აწმყო ვიჯავრო?

ვილაც იგინება.
ვილაც იწყევლება.
და მე კი,
რაც მოხდა,
ამას რომ ვუცქერი:
ვტირი და არ ვიცი:
ეს ჩემი ცრემლები
საქართველოსია
თუ ჩემი?

1992

# ვაჰმე

ზოგმა დამკარგა!
ზოგი მომიკვდა! –
მეგობართაგან
შემრჩა ორილა!

– სად ხარ?! – არ ჩანხარ! –
სხვა, – როგორა ხარ?! –
მესმის ხანდახან –
ცალყბად – შორიდან!...

ვაჰმე! – რა ხალხმა!
(ყველამ ჰა და ჰა!) –
ვაჰმე! – რა ხალხმა
იჩონჩორიკა!

1992

## ჩვენშიც, ვით სხვაგან

ჩვენშიც, ვით სხვაგან
(ვით უწინ, ახლაც)! –
აზროვნებს ვინც კი
(თუნდ, ოდნავ საღად)! –
არავის არვინ არ აგდებს ძაღლად! –
ყველაყას ვაი სჭირს ჭკუისაგან!

ჩვენშიც, ვით სხვაგან!

1992

Ω

ვერ დამწამებს ზეცა,
როსმე ლექსად მეთქვას, –
ზეცით რაც არ მეთხრა!

დამიფაროს ღმერთმა! –
როსმე ლექსად მეთქვას,
ზეცით რაც არ მეთხრას!

1992

## შეხვედრა-დახვედრა
## თბილისის აეროპორტში

საქართველოში ულმერთობის ცეცხლი რომ ენთო, –
სისხლი რომ წვიმდა, –
სამეგრელო რომ ზლუქუნებდა:
ხალხს
        მიარღვევდა
                ზოგიერთი
                        მაშინ
                                ცოლითურთ

ერთი კაცისკენ
                (საკოცნელად)
მუჯლუგუნებით!

არა „ამხანაგ", –
                უკვე „ბატონ" ერთი კაცისკენ! –
შეხვდა
        დამპლეთი
                რომელსაც
                        ისე, –
ბალღნი
        ხვდებიან
                საახალწლოს
                        როგორც
                                ნაძვის ხეს!

1992

## პანაშვიდი

მდუმარებაა.
ეშხსა ჰმატებს პირქუშ პანაშვიდს
ქვრივი კაბაში, –
შავში, –
გარნა...
სიფრიფანაში.

1992

## ხმა ხმებში

ყეფენ რადიოთი არარაობანი!
ყეფენ გაზეთიდან არარაობანი!
ყეფენ ეკრანიდან არარაობანი!
ლანძღავს ტელეფონით წმინდანს ნარკომანი!...
მესმის ხმა ნამყოთი!
მესმის ხმა მყობადით:
– სჯობსო ყოფნას შენსას
ჩვენი არყოფნაი!
– სჯობსო ყოფნას შენსას
ჩვენი არყოფნაი!

1992

## არა კაც კლა

კაცის კვლისკენ! –
თავზე ხელის აღებისკენ! –
რა ვაგლახით, –
ამჟამინდელს, –
ვისხლეტ
ბიძგებს, –
ღმერთი მიმზერს!

არის ძნელი, –
ანინდელმა, –
რომ არ მკვლელყოს
კაცი ჟამმა! –
შურისგების, –
გაჭირდება, –
რომ არ იძროს
კაცმა ყამა!

კაცის კვლისკენ! –
თავზე ხელის აღებისკენ! –
ვით
ზღვას
კბოდე, –
ვისხლეტ
ბიძგებს!

1992

## ერთხელ კიდევ

გუშინ, – დარმა წალკოტისამ, –
ახლა, – ნალდმა საგოდისმა, –
ერთხელ კიდევ თქვა ოდიშმა:
ძეა ლვიძლი ცოტნე მისი!

1992

# ბიჭვინთა

წითლად განიხვნა ზეცის კარიბჭე:
ხმელთით
ავარდა
ცად
ევკალიპტი...
ერთი
კარგი
დღე
(ვით არაერთხელ),
დღეს,
ერთხელ კიდევ
ჩა –
მო –
ყა –
ლიბ –
და!

1992

## საქმე არაა განა საზღაპრო?!

ყოფილ ძმაკაცს

ჩემთვის ძვირფასი შენ აქამომდე, –
შენც თითლიბაზი უცებ გამოდექ!

საქმე არაა განა საზღაპრო?! –
რას ვამბობდი და ახლა რას ვამბობ! –

შენზე მე ამას უნდა ვაბობდე?!

ჩემთვის ძვირფასი შენ აქამომდე, –
შენც თითლიბაზი რაკი გამოდექ! –

შენზე აქამდე რასაც ვამბობდი, –
ჩემთვის ისაა დღეს ეშაფოტი!

1992

## არამც და არამც

კუზოს კარს მიღმაც!
კუზოს კარს მიღმაც! –
(იქაც კი, ვით აქ, – კუზოს კარამდე)
არამც და არამც! –
არ გავკმენდ მე ხმას! –
ვერ დამადუმებს მე მოძალადე! –

კუზოს კარს მიღმაც! –
(იქაც კი, – ვით აქ)! –
ჩემი ძილს წაგვრის ხმა მოძალადეს!

1992

## არა და არა

არა და არა! –
არ უნდა შედრკე! –
ეხეტე ხევ-ხევ! –
იხოხე ტყე-ტყე!
იხოხე ტყე-ტყე! –
ეხეტე ხევ-ხევ!

დაგცეს?! –
ხელახლა წამოხტი ფეხზე! –
კვლავ დაგცეს?! –
ისევ წამოხტი ფეხზე!

და კიდევ ერთხელ! –
და არაერთხელ! –
და არაერთხელ! –
და კიდევ ერთხელ! –
და კიდევ ერთხელ! –
და კიდევ ერთხელ! –
სატანას
კვერთხი
სახეში
ხეთქე!

არა და არა!
არ უნდა შედრკე!

1992

## კბილი კბილისა წილ

ვინც ანადგურებს ახლა ჭყონდიდს, ზუგდიდს, ჭალადიდს! –
ვინც სისასტიკით მურვანს ედრება! –
დაბოლოს ისიც, –
არაერთი, ვით სხვა ჯალათი, –
თუ სული შერჩა, –
ალბათ, ქრისტეს მიეკედლება!

მაგრამ უფალი აპატიებს ცოდვას მას ამდენს?! –
არა მგონია! –
ვერ დავიჯერებ!...
ხამს დედამისიც (ყავს კი?! – თუ ყავს!) ისე გაშავდეს, –
ვითა დედები, –
დახოცილის მისგან ბიჭების!

1992

## ღმერთმა მოგვიწყო გამოცდა

ღმერთმა მოგვიწყო გამოცდა! –
მრავალს უნია ცოდვამ:
ვინ რა ყოფილა – გამოჩნდა! –
კაცი აღმოჩნდა ცოტა!

ღმერთმა მოგვიწყო გამოცდა! –
ცოდვის კითხვაა... ჰოდა! –
ყველა ისეთი აღმოჩნდა, –
რა წარმოდგენაც მქონდა!

ღმერთმა მოგვიწყო გამოცდა! –
მივხვდით, – ბრძანდება ვინ ვინ!...
ღმერთი! – თვით ღმერთი გაოცდა! –
ამდენი დამპლის ხილვით!

1992

## ქაქუც! – ავაჰმე!

„– უნდა დატოვოს ყველამ ქალაქი, –
მომხრე ბრძანდება ვინც იმ ჯალათის!"...
ახლა, ამ ვირთან
ღირს ლაპარაკი?! –
ბიჭის არ იყოს ონიკაანთის?!

ნალდი ფეხზეა ყველა ჩათლახი!...
გიჟის ხამს ეცვას ვისაც ხალათი!...
ქაქუც! – ავაჰმე! –
აფსუს! – სადა ხარ!...
ფხაა საჭირო ჩოლოყაანთი!

1992

## გუშინ რომ ხალხი იყო მამაცი

შენი რუსთველი,
შენი აკაკი,
შენი ფშაველა,
შენი ილია, –
დღეს რომ ხალხია, –
არა ამ ხალხის
(თავისი ჩრდილის რომ ეშინია!), –
გუშინ რომ ხალხი იყო მამაცი, –
იმ დალოცვილი ხალხის შვილია!

1992

## ᲐᲬᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

აწინდელი საქართველო
(უწინდლისა, არ ვიცი)! –
იყოს ღირსი,
არა მგონი,
გელათისი!
ბაგრატისი!
ჯვარისი!

აწინდელი საქართველო
(უწინდლისა, არ ვიცი)!
იყოს ღირსი,
არა მგონი,
შოთაისი!
საბაისი!
და სხვისი!

აწინდელი საქართველო
(უწინდლისა, არ ვიცი)! –
არის ღირსი
(შეძახილით აკაკისით)
ფურ –
თხი –
სი!

1992

## უკეთუ

თვალზე ხელს იფარებს ზეცა!
ღმერთი წასულია სადღაც!
მტერსაც არ ვუსურვებ ჩემსას, –
რა დღეც მე ამჟამად მადგას!

უკეთუ ველირსე იმ დღეს, –
სატანას ეცხუნა სახრე!
– ვით ხარ-თქო! –
                    შენ მაშინ მკითხე!
– ვით ვიყო! –
                    შენ მაშინ მნახე!

1992

## წინ გზაა გრძელი

– მწუხარებაა სიკეთეზე სხვისაზე შური! –
კესარიელი ბრძანებს ბასილი
(და არა საბა,
როგორც ამას ჰგონებენ ზოგნი)! –

ნიაღვარია გარშემო შურის
და ნიაღვარში შურისაში პოეტი მიდის...

წინ გზაა გრძელი! –
გზა-ღვლარჭნილი, –
როგორც ასპიტი!

1992

სიტყვა კლდოვანი გამოვკვეთე, როგორც ვარძია! –
მტერს დღე ვაყარე, –
გნოლს აყაროს რა დღეც არწივმა!...
ნეტა, ის ბრიყვი, –
ვინც მაღვრიდა სიტყვას ღვარძლიანს, –
სად სიკვდილშია?! –
ხასიათზე ან რავარზეა?!

1992

Ω

წინ გავიხედე.
უკუვიხედე.
მიმოვიხედე
აქეთ და იქით:
(თუნდ ერთი ფინჩხა!) –
არსით სიკეთე! –
კაცისნაირი, –
არავინ
ირგვლივ!

უხმოდ დასცქერის ულრუბლო ზეცა
საფლავთა ლოდებს, –
ენაგაკმენდილთ...
არადა! –
კაცი სჭირდება ერსა! –
კაცითა
საქმობს
რამეთუ
ღმერთი!

1992

## მკათათვის შუადღე არგვეთში

საცაა მიწას აუვა ბოლი:
ზეცაა ლურჯი.
მზეა კაპრაში.
შავად ლაპლაპებს,
ვენახის ბოლოს,
ნაშთი ყორისა, –
ხვლიკების პლაჟი.

1992

## ფიქრი, – ღამეული წვიმის თქარუნში, – სოფლად, – აივანზე

აქ თქარათქური გაუდის წვიმას...
იქ,
სადღაც,
ახლა,
სხლეტს
ვიღაც
ჩახმახს...
მშობელი შავად შეღება შვილმა, –
თვით შეღებილმა
ტყვიისგან
წითლად...

მერედა, –
რისად ამდენი სისხლი?! –
რა სცოდა ხალხმა?! –
ღირს კია რამე?! –
რაიმე ღირს კი, –
თუნდ
წვიმის
ამ
ხმად?!...

თქარუნებს წვიმა...

1992

# მიმწუხრი

ერწყმის მდუმარებას ბინდი ზებუნებრივს.
და დუმს ბროწეული.
                                        და დუმს ალუბალი.
სხედან აივანზე მოხუცებულები, –
სინანულისანი
                    მესმის
                            გალობანი.

1992

## ტბასთან

ვით მწყერმარხილი მწყრის მარაქაში, –
გარეულია ლელში ლაქაში.

ცით იმზირება მთვარე სადაფის.
ტბისას
          ზეფირი
                    რანდავს
                              ზედაპირს.

1992

## ვით, – ერთხელ, – წინათ

საქართველოსი ზეცაშია ბედი სრულქმნილი! –
არ სუფევს ძალა, –
ქართველს გული რომ განუგმიროს!

ვხედავთ როგორსაც, –
დღე ამგვარი გვხვდა რაკი წილად
(სისხლისას გააქვს თქარათქური ფოთლებზე წვიმას)! –
ისევ და ისევ დადიანმა, –
ისევ ცოტნემა
(ვით, – ერთხელ, – წინათ!)
ხამს იხსნას მიწა, –
საქართველო რომ ენოდება!

1992

## გავარდებაა ხმა მეხისებრი?!

მოყვარეს მტრისგან ვანსხვავებთ ვერლა! –
ჩვენი სიბრმავე მტერს გულს ულაღებს! –
საქართველოში, –
ახლა რომ ბნელა! –
ასე
ოდესმე
ბნელებულა-ყე?!

ქვეყანა ჩვენი, – სიმხდალემ ჩვენმა, –
ხელთ უგდო ქურდებს, – როგორც გულაგი! –
საქართველოში, –
ახლა რომ ბნელა! –
ასე
ოდესმე
ბნელებულა-ყე?!

გავარდებაა ხმა მეხისებრი?! –
დასრულდებაა ძარცვა და ჟლეტა?! –
ნეტა,
სიმართლე
თუ გველირსება?! –
თუ გველირსება
სინათლე,
ნეტა?!

1992

## ახლა, – თუ გინდა მართალი

რანაირადღა იბიჭებ?! –
ჯერ იყო –
ყურზე გვეძინა!
ის იყო, –
გამოვიღვიძეთ! –
აღმართში
ქვა დაგვენია! –

ახლა, –
თუ გინდა მართალი! –
იმისთანაში დღეში ვართ, –
გამოღვიძებას ამნაირს, –
რო გვძინებოდა, –
გვერჩია!

1992

## Დ

ვიხილე რახან მცირე ხნით, –
რასაც ვნატრობდი დიდხანს;
ამად მცირე ხანს ხილულის
ხილვა ხელახლა მინდა!

მე მოვკვდე, ქვეყნად რაიმე
თულა ვინატრო მეტი! –
მისი მეორედ ხილვისა
ღირსად თუ ჩამთვლის ღმერთი!

1992

## უბნობა ნაევროპალი საბასი

„... მოვედით მონაკო ქალაქსა. ... ზღვაში ერთი მაღალი კლდე შესულიყო თბილისის მეტეხსავითა...

... ჯენევიას თემში შემოვედით... გეგუთის მსგავსი ალაგები იყო...

... რა ალიკორნას საზღვარში შევედით, დავაკება შეიქმნა, ოდიშის მსგავსი ადგილი."

**სულხან-საბა**

– მონაკოსთან რა ჩავუშვით ღუზა
(უბნობს საბა
და მე საბას ვუსმენ);
გავიხედე! –
რას შევხედე! –
უცებ! –
მეტეხი არ შემომახტა გულზე!

– ჯერ არ გვქონდა ჩაშვებული ღუზა
(უბნობს საბა
და მე საბას ვუსმენ);
გავიხედე! –
რას შევხედე! –
უცებ! –
გეგუთი არ შემომახტა გულზე!

– ის-ის იყო ამოვზიდეთ ღუზა
(უბნობს საბა
და მე საბას ვუსმენ);
გავიხედე! –
რას შევხედე! –

უცებ! –
ოდიში არ შემომახტა გულზე!

უებრო სამშობლოსთან შეყრა
(დასძენს საბა! –
ვეთანხმები მე მას);
საქართველო
                ქართველს
                        ამა ქვეყნად, –
სადაც მიდის, –
                თან მიჰყვება
                        ყველგან.

1992

ჲ

ჭასთან, – თავისით ამოსული, – კოხტაობს იფნი.
იქვე მოხუცნი რაღაცაზე ბჭობენ ტირიფნი.
გალობს ბულბული
(კაკალზეა, მე მგონი, იგი)!
კაკალქვეშ სამნი
პატარათი ვჭუკჭუკებთ ჭიქით...
გალობს ბულბული...
– აი, მესმის! –
რას გალობს!...
იფ! – იფ!

„და საიდღამაც (ილიასი) ნაზი ბულბული
სტვენდა სიყვარულს (მაგონდება) გაგიჟებული".

1992

## ჲ

დღეის დღე ულიმღამოა!
გზაშია დღე უარესი! –
ნაღველი ამის გამოა, –
ჩემსაში როა თვალებში.

1992

## ახლა იხტუნე რამდენიც გინდა

> გეორგიევსკის ტრაქტარზე (1783) არის ერეკლე მეფის ხელრთვა („ერეკლე“), – რომელშიც სამივე ენი ყანწის მოყვანილობისაა.

ქართველი თუა, საბრალოა, ვინც ვერა ხედავს, –
რაოდენ ძვირად საქართველოს დაუსვა ღმერთმა
სამყანწიანი იმ დასანვავ ტრაქტატზე ხელრთვა!

ღირდა?! –
არ ღირდა?! –
არ ღირდა?! –
ღირდა!...
ახლა იხტუნე
რამდენიც გინდა!
. . .
რაღა დროსია! –
ვის რას არგებს,
დღეს, კაცმა რომ თქვას,
თათართ ვინც რუსნი ამჯობინა,
იმ კაცის მოთქმა?! –
თავისი უკვე
დამართა-ყე
როს ქართველთ მოდგმას,
ქრისტეს ხელ-ფეხში გარჭობილმა,
ლურსმანმა
ოთხმა!*

1992

---

* ქართული ტრადიციით ქრისტე ჯვარზე გაკრულია ოთხი ლურსმნით (იხ. ჯრუჭის, ბერთის და წყაროსთავის ოთხთავენი).

## 1991

ელირსებაო ლუხუმსა
ლაშარის გორზე შადგომა!

**ვაჟა**

თვალი მცირე ხნით ვკიდე ლუხუმსა, –
ლაშარის გორზე იდგა ყინჩადრე;
დაფეთებულნი ბარტყნი გუგულთა
(ადრე უკადრნი!), –
ახლა, – გიყვარდეს! –
უხათქუნებდნენ
თავებს
მიწაზე.

1992

ჲ

ჩემი სამშობლო მაღალია! –
სხვისია ვრცელი!...
უფალთან ახლოს, –
ამიტომაც, – უფრო ჩემი!

1992

## ბარემლა

ყველაფერია იმნაირად ახლა ყირაზე
(როგორც ხშირადრე გვინატრია დღემდე წინადღე)! –
კაცმა
 დრო კრული
 (ძლივს ძლეული!)
ლამის ინატრო!

ჭამს ცოცხლად ძმა ძმას
(ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა)! –
აბელს აქამდე
 აწ კაენი
 ქართველს დაერქვა!...
რაღას გვიზოგავ?! –
ღმერთო! –
თუ გვსჯობ?! –
მოგვსპე
ბარემლა!

1992

ჲ

ვინც ილხენს ახლა, –
უფრო ცოდოა, –
ვიდრე ის ბევრი, –
ახლა ვინც ტირის....
ამგვარში, –
დღეს რომ საქართველოა, –
არც სიცოცხლე ღირს
და არც სიკვდილი!

1993

ჲ

ზოგი თვალს ხუჭავს, –
ზოგს უნარი არ შესწევს ხილვის, –
დღემდეა
          ჩემი
უხილავი
          ამიტომ
სხივი...
ისხლეტს მამლისას, –
ვით ზღვას კბოდე, –
ბნელეთი
          ყივილს!

1993

## ვინც პარტიაში, უყოყმანოდ, ახალში შეშპა

ახლა, რომელიც, ლამის, ცოცხლად მიპირებს შეჭმას;
ვინც პარტიაში, უყოყმანოდ, ახალში შეშპა, –
იგი
ყოველთვის, –
მორცხვად, –
განზე
დგებოდა
ჩემგან, –

ვითარცა, –
სახლის მოშორებით, –
დგას, –
სოფლად, –
ჩეჩმა.

1993

## ამჟამად

კრეტინთ ერთი პლეადა
დაეტაკა მეორეს:
გარნა ჩემი წაქცევა
არ გამოდგა იოლი.

პიროვნებას, ამჟამად,
წარმოვადგენ მე საშიშს
თვალში
ორივესაში.

1993

## სისხლი ყველასი

ყველა ვაჟკაცი! –
ვინც დაცხრილეს! –
დღეს ვინც ფერფლია! –
კერძოდ! –
საკუთრივ! –
ერთი
        კაცის
                სკამის
                        მსხვერპლია!

ამას არ უნდა ლაპარაკი! –
საბჭო! –
სესია! –
სისხლი ყველასი
ერთი
        კაცის
                დღეს
                        კისერზეა!

1993

## ნეტა, – იმ დღესა!

ნეტა, – იმ დღესა! –
ნეტა, – იმ დროსა! –
კაცი მეგონა მე იგი როცა, –
დღეს,
მხოლოდ თვითონ
თვლის
თავს
ვინც
ცოცხლად!

1993

## მახსოვს

მე გურიაში
როცა ჩავედი, –
შემომაგებეს
მყის ალავერდი.

რა დამავიწყებს:
გივი ძნელაძემ
როგორ
გაშალა
სუფრა
ელანძე.

მახსოვს პროკოფი.
მახსოვს ეშანე
(ვიღაცა იყო
კიდევ მესამე)...
და
სულში
მცირე
მწვეთს
კაეშანი.

1993

## კვლავ და კვლავ

იდგეს და იდგეს, –
კვლავ და კვლავ, –
ჯვარი.

დინდეს და დინდეს, –
კვლავ და კვლავ, –
მტკვარი.

იყვეს და იყვეს, –
კვლავ და კვლავ, –
მცხეთა.

და...
ღმერთმა ნუ ქნას, –
ეს არ ქნას
ღმერთმა!

1993

## დახასიათება დასკვნითურთ

ეს ის კაცია, –
ცილზე ენას რომ არ უგვალავს, –
ნირვა
რომელმაც
საქართველოს
გამოუყვანა.

ეს ის კაცია, –
წესიერი ქართველი ხვალ-ზეგ, –
პირს გაიბრუნებს, –
გააპურჭყებს
ვის დანახვაზეც.

1993

## რუსობანა

ის იყო, –
სახეს უპრიანს იძენდა უკვე პარნასი!
ის იყო, –
იძირკვებოდა თამაში რუსობანასი!
ის იყო, –
გმირი ხევსური
მკვდრეთით დგებოდა სამასი!...
გამოგვეცხადა
(კრულ იყოს!), –
სისხლი რომ სცხია ძამასი, –
და...
ისევ
რუსობანასი
დაგვაწყებინა თამაში!

1993

## ჩვეულებრივი ამბავი

ნაპირს საცაა მოადგება საჩემო ნავი, –
და მე ამ ქვეყნით,
                    სამუდამოდ,
იმ ქვეყნად წავალ
(სხვა, – ბარეორი წავიდა რავარც)!

იქ როცა მივალ, –
                    ხელებგაშლით, –
მეტყვიან, ალბათ:
                    – მუხრანს ვახლავართ!

აქ ზოგი იტყვის:
                    – ხო, – ჩაძაღლდა, –
ეტირა ყოფა!...
ზოგი მათგანი:
                    – ჩვენც მოვკვდებით! –
რა გაეწყობა!

ნაპირს საცაა მოადგება საჩემო ნავი, –
და მე ამ ქვეყნით,
                    სამუდამოდ,
იმ ქვეყნად წავალ.

1993

## პოეტი მიაბოტებს ქუჩაში

ნაფოტისნაფოტი იაფეტის, –
ყოველთვის, –
ყოველმხრივ
მეამბოხე, –
ქუჩაში პოეტი მიაბოტებს.

არაა ზოგთათვის ვინც ნაფოტიც, –
იუდებრ
რომელსაც
ეამბორნენ, –
ქუჩაში პოეტი მიაბოტებს.

გმირქმნილი წინაპრის სიალფითა, –
სიდამპლეს
რომელმაც
მიაფეთა, –
ქუჩაში პოეტი მიაბოტებს.

1993

## დაისი ფანჯრიდან

სულს უდრტვინველად ლაფავს სინათლე, –
კვლავ ბნელი იპყრობს სივრცეს, – ბნელყოფილს;
აფსუსი კია (თუნდაც დილამდე), –
რომ ეს ლამაზი ქრება ფერდობი.

1993

ამ სანუთროში (ერთი არც კი როა ნაფაზი!)
პატიოსნებას (ძვირფასს უწინ!) აქვს აწ რა ფასი?! –
ამდენი როა თითლიბაზი და მატრაბაზი?!

1993

ჲ

მოყვასის სისხლში აქვს მოთხვრილი ვისაც თითები!
ქვე-ქვე რომელსაც კვლავაც გული უძგერს წითელი!
სარწმუნოების ვისაც სწადდა ამოწვა შანთით! –
ახლა,
ხატის წინ,
მშვიდი სახით,
ის
ანთებს სანთელს!

ვერ წარმოვიდგენ, –
შეიტანოს,
ან,
ეჭვი
კიდევ
მოთმინებაში
ძემ კაცისამ
შენსაში,
ქრისტევ!

1993

## ძელზე გაისვა მრავალი თუმცა

გაიშინკაცა სიკვდილი ხალხმა;
ქართველი უკვე სულ სხვაა ახლა! –
არ იუფროსებს ის ქურდს და კახპას! –
ცოცხალი თავით არ დაყრის ფარ-ხმალს! –
არ შეუდრკება დევსაც კი ბაყბაყს! –
ან გაიმარჯვებს! –
                    ან გავა გაღმა!

. . .
ძელზე გაისვა მრავალი თუმცა, –
ვინც უზნეობას არ გაუდუმდა!

1993

## გული ნაძოძდება „უიმეთი"

დაიზნიქებიან დღეებდათვლილები, –
ჟლეტა მოძმეთანი
რომ ეადვილებათ.

სიზმრად არ ხილულა დღემდე დღე ამგვარი, –
შთანთქა
საქართველო
სისხლის
ნიალვარმა.

არის ვითარება უიმედო;
გული ნაძოძდება „უიმეთი".

თავს ურცხვად გენიად გვატენის გოიმი, –
ერისა, – ფეხთ ვისაც ჰკიდია „ვაიმე".

1993

## ᲮᲐᲜ ᲚᲣᲠᲯᲐᲗᲘ! – ᲮᲐᲜ ᲛᲔᲠᲜᲘᲗᲐ!

რუსეთიც და ამერიკაც
დროა, –
ჩახვდეს რამერიგად:
საქართველო
კუნძულიკა
კი არაა რომელიღაც!
საქართველო
ქვეყანაა, –
იმერითა, – ამერითა! –
მზისკენ
ისრებრ
მიწყივ
მფრენი, –
ხან ლურჯათი! –
ხან მერნითა!

1994

## ვენდო?! – ვით ვენდო?!

რამ დამიამოს იარა?! –
ვენდო?! –
ვით ვენდო მომავალს?! –
როდესაც ადამიანი, –
ვითომ ქართველი რომაა, –
არის ქართველი კი არა, –
თამაშობს
ქართველობანას!

1994

## საქართველოს რესპუბლიკის ე. წ. პარლამენტი

მაღლით კაენი დახარის
უწესრიგობის ლიბოსა;
უკლებლივ ყველა აქ არის, –
ვინც კაც კლა! –
ვინცა იბოზა!

ღიმილს ჰგვრის მათ კავკასია, –
ქართვლის დედა და კიაზო! –
მალე დროშასაც გაშლიან, –
წითელსა, –
კვერნამგლიანსო.

1994

## ჲ

ნაკითხულს განზე (სათვალითურთ) გადადებს გაზეთს
და ბერიკაცი (წესიერი) სვამს კითხვას ასეთს: –

დღეს, რა ნამუსით, ახლებურად, ნეტა, კუნტრუშობს! –
უკმევდა გუშინ კომპარტიას ვინცა გუნდრუკსო?!

1994

## ღმერთო მოჰკითხე

როდესაც ვხედავ, –
დამხობილს პირქვე, –
სამშობლოს ჩემსას, –
ღვთისმშობლის წილხვედრს, –
ვით არ ავტირდე?! –
რომ არ ავტირდე?! –
რომ არ ავტირდე?! –
ვით არ ავტირდე?! –

როდესაც ვხედავ, –
დამხობილს პირქვე, –
სამშობლოს ჩემსას, –
ღვთისმშობლის წილხვედრს, –
ხე უნდა ვიყვე, –
რომ არ ავტირდე?! –
რომ არ ავტირდე?! –
ქვა უნდა ვიყვე!

გამასავათა მამულზე ფიქრმა!...
კაცმა არ იცის, – რა გველის კიდევ!...
ამ ჯოჯოხეთში ვინც თავი გვიკრა, –
ღმერთო მოჰკითხე!
ღმერთო მოჰკითხე!

1994

## ნახვალ, – მაგრამ...

ნახვალ, – მაგრამ, – ვეჟო! –
(თავს ხომ შენსას იცნობ)! –
გაძლებ უთბილისოდ?! –
ვეჭვობ!

ნახვალ, – მაგრამ, – კაცო! –
(არაფერი სხვაც რომ)! –
როგორ უნდა გაძლო, –
თუნდაც ულაზნოდ?!

გაძლებ?!
ვერა! –
ვერა! –
ზღვას რამეთუ ყველას, –
შენი გიჟობს შენა
ღელე
მაცინცველა!

1994

## ეზოში

მიასკდა ჭიშკარს (უცხო ხმაზე) ძაღლი ზვირთივით.
სასაფლაოდან ნიავს ქალის მოაქვს ქვითინი.
ძაღლი დატუქსა ბერიკაცმა თმაქათქათამა.
თავს
        ჩაქუჩივით
                        უჩაჩქუნებს
                                        მიწას
                                                ქათამი.

1994

## ჲ

ძალა რო მომცა
შენი, – სამსონო! –
სიბრძნე
შენი რო
მომცა, – სოლომონ! –
წაშავდებოდა, –
ჩემო სამშობლოვ, –
შვებასთან
შენი
შორიშორობა!

1994

## ცაცხვი თაფლოსი

ეპოტინება ტანიერი ალვის რტო ტატნობს.
რძეში ბანაობს მთოვარეთი ქვიტკირის სახლი.
და, –
ნიავ-ნიავ, –
სურნელებას
აკმევს
დროდადრო
ცაცხვი თაფლოსი,
ტარასისი
რო ქვია ახლა.

1994

## აფსუსი კია, – მე და მზემ ჩემმა

აფსუსი კია, – ჩემო ჯოკია! –
გადამთიელის ხელფეხლოკიას, –
კაცი რო ქვია, –
ქართველს
ზოგიერთს!

აფსუსი კია, –
მე და მზემ ჩემმა! –
აფსუსი კია!
. . .
ამ აზრის ვიყო,
ნუ ჰგონებ, მარტო! –
ჩემსავით ფიქრობს,
სხვაც ბევრი, –
ვატყობ!

1994

## ᲐᲡᲘ ᲫᲚᲘᲕᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲙᲐᲪᲘ

რომ ჰყავს შეძლებული მამა! –
თვითონ კაი როა ბიჭი:
განა
(როგორ ფიქრობ?!)
ამან, –
რაა საქართველო! –
იცის?!

თუმცა, ბიჭს რას ვერჩი ამას!
(არის ეს ჯერ კიდევ კვიცი):
თუგინდ,
თვით ამ ბიჭის მამამ, –
რაა საქართველო! –
იცის?

ასი ძლივს იქნება კაცი!
(ალბათ, არც იქნება ასი), –
ვინცა, –
ისეა თუ ასე, –
იცის საქართველოს ფასი!

1994

ჲ

მკორტნიან ყორნებრ.
ხელფეხგაკრულს
მნესტრავენ
ბუზებრ...

მე ჯვარცმას ჩემსას
შურისგების
სურვილით
ვუძლებ.

შორს ჩემგან შვება! –
სასოებით
რომელსაც
ველი, –
შურისგებისას
იგი
სურვილს
თუ
გამინელებს.

1994

## ყაჩაღი

მწირი სურათი ასეთია ცხოვრების მისის:
მის ხსენებაზე მაზრის უფროსს ექცევა ღრანჭი.
ჭამა ჩქარ-ჩქარი
(ირგვლივ ცქერით)
ტყეში ულრანში.
შაშხანა მისი
(დლისით, ღამით)
ფეხზეა მიწყივ.

მწირი სურათი ასეთია ცხოვრების მისის.

1995

## სულთხდომა

სინათლის არ ჩანს არსაით ხემსი.
უკუნეთია გარშემო სრული.
უბედურთ, – მე და სამშობლოს ჩემსას, –
ორთავეს ერთად ამოგვდის სული.

1996

ჲ

მე ვაკის პარკში
(დღეა ცივი თუ დღეა თბილი), –
გატანილს სტე-სტე,
ყოველდღილით,
ვადგავარ ბილიკს.

კაცი, რომელიც
ამ ბილიკზე,
მხვდებოდა შარშან, –
არ ჩანს!

1996

ჲ

ფუჭად ვინც ებრძვის ნოსტალგიას დღეს კონიაკით
(ვიცნობ! – არ ვიცნობ! – ახლოს ვიცნობ! – თუ შორიახლოს!), –
შვება უბოძოს ღმერთმა ყველა ექსორიაქმნილს! –
შინით განძებამ,
როგორც მკვდარყო
მისი გუნება! –
მალე ცოცხალყოს,
იმნაირად,
შინ დაბრუნებამ!

1996

## ♎

ჭროლა ლელვისა თრთის ფოთოლი ფაფანაკებრი.
თიმთიმებს ყანა
(ქარში როა ფაფარაყრილი).
სიოა ნელი.
გარშემოა პაპანაქება.
გაღმა, –
ფერდობზე, –
მწყემსნი
ნახირს
აბალახებენ.

1996

## ჲ

ვეებერთელა ასპარეზი ეძღვნა ნაბუშარს;
არაქართველი
ძირძველ ქართველს
იგდებს
აბუჩად.

სისხლის შეშხუის შადრევანი ზეცას მშობლიურს.
ეთვალხუჭება
ვაი-ვაგლახს
ჩვენსას
მსოფლიო.

1996

## Ω

თავისით უნდა წამოვიდეს,
რაც,
როგორც წვიმა!
თავისით უნდა დაიბადოს,
რაც,
ვით ენძელა
(თავისით –
ისე! –
ია ჩნდება
ვით ბუჩქის ძირას)! –
რაც ადამიანს,
თუ ეძლევა,
ღვთისგან ეძლევა! –
არ შეიძლება, –
რისიც შეძენა! –
მას:
შოთა ჰქვია!
ვაჟა ჰქვია!
აკაკი ჰქვია!...
ის:
ხან მტკვარია!
ხან ქსანია!
ხან არაგვია!

1996

## მტკვართან ტატო და ტარიელი სხედან ტირილად

ერი მთლიანად გააშავა ლამის მაცილმა.
მტკვართან ტატო და ტარიელი სხედან ტირილად.
არაა სხვა გზა! –
საჭიროა თავის განწირვა! –
არადა! –
რა ვქნა! –
სული ტკბილია!

ღმერთს ვეხვეწები:
მეცი-მეთქი ძალა იმდენი, –
დღე ვაწყევლინო გაჩენისა
ყველა ნაბიჭვარს! –
ჩემი ბედკრული სამშობლოსი
დღე ხვალინდელი, –
დაბოლოებას
ჰგავდეს
მინდა
რადგან
ზღაპრისას.

1996

Ω

საფლავის ტყუილა დიდგულობს ლოდი:
კუბოთი თავდება სიცოცხლე როდი!

კაცია რამდენი
(დღეს უკვე ბუძუნძლო!), –
ახლაც კი,
იქაც კი, –
არ იშლის
ბუზღუნსო!

1996

# ᲘᲡ! – ᲘᲡ! – ᲘᲡᲐᲐ!

დღეს, ჩვენში, ომის როა სიმკაცრე, –
ომს მიღმა ვხედავ კაცს ულვაშიანს...
არავინ მითხრას, – ახლა იმ კაცზე:
კაცო! –
        ის კაცი
                რა შუაშია?!

ეს ცხარე ცრემლი! –
ეს ცხელი სისხლი! –
ერთიც, – მეორეც –
ბრალია მისი! –
ის! –
      ის! –
            ისაა! –
                    სწორედ შუაში! –
ზნეფარდი როა ბაბაჭუასი! –
გრეხა
      უყვარდა
              ვისაც
                    ულვაშის!

1996

## ახლაც დაყრილი (როგორც მაშინ) არის ფარ-ხმალი

ზღვრები როდესაც მორღვეული ჰქონდა ფანატიზმს.
იკლებდა ქალაქს მეწამული როცა პარადი.
ამაზრზენს ხდიდა ქუჩას როცა რეგვენთ ქიჩმაჩი, –
ძაღლის ღიმილით,
ტრიბუნაზე,
იდგა
ის
მაშინ.

ხდება რაიმე, არ გეგონოს, ახლა ახალი! –
ახლაც დაყრილი (როგორც მაშინ) არის ფარ-ხმალი.

1996

## სიკვდილი სოფლად, –
## მოროდის ალოზე

იკლო ყანებში ბაყუნმა თოხთამ.
ხალხი მატლივით ირევა ქოხთან.
მოსალოდნელი ამბავი მოხდა:
ადამიანი მოკვდა!

1996

## ჲ

ყველამ გამწირა, –
მეგობრისა ვინც იყო მსგავსი:
მიწაზე ყოფნას
ზოგმა ყოფნა არჩია ცაში.
ზოგი მათგანი
ქვეყნის დამქცევს ჩაუჯდა ნავში:
ტყე აიჩეხა, –
ტყის ადგილას ერთი ხე დავრჩი.

1999

ჲ

როგორ არ წამსკდეს სიამის ცრემლი
(ნამუსის მსგავსი თუ რამე შემრჩა!):
ქართველი კაცი, ჩემ დაუსწრებლად,
სვამს სადღეგრძელოს როდესაც ჩემსას!

2003

## მინდა და მინდა

მინდა და მინდა! –
მინდა და მინდა! –
მინდა და მინდა! –
ვადიდო მინდა
ღმერთი, რომელმაც მე ამომზიდა
უწყლო,
უმზეო,
უძირო
ჭიდან, –
სადაც ურიცხვი ბედკრული დარჩა! –
სადაც უსაზღვროს იტანენ ტანჯვას –
ძნელია ძალზე გაძლება სადაც!

ძლიერო ყოვლად! –
უშველე მათაც!

2004

## სარჩევი

გზადაგზა......3
ჲ დილის ცვარი ქალაკოდას შერჩენია ქარვასავით......5
ჭადარს ეტყვის ჭადარი......6
სოფელი......7
პუშკინი ტფილისში......8
ჲ ცივი ქუჩები პეტერბურღის შემოიარა რა......10
ჲ ამოიქროლა მთაწმინდაზე ქარმა მსახვრალმა......11
XVIII საუკუნე......12
საბა......13
ვახტანგ მეფის ნანადირევი......15
წისქვილის ღამე......17
ჲ მზე არი თვალწინ......18
ინდი მინდი......19
ჭოლა......21
იმ დროს......24
ჲ ნაცნობ ყვავილებს დაეძებენ პეპლები მინდვრად......25
ჲ სახლიდან გარეთ გამოველ......26
ჲ შენი სიცოცხლე. შენი ნაბიჯი......27
ჲ შენ წაიკითხე მშვენიერი წიგნი......28
უნდა იცოდე......29
მინურული მეცხრამეტე საუკუნისა ანუ იმერული ქელეხი......30
ჲ ფერდობებზე ნახირი ძოვს......32
მრავალჭირვარამგადანახადი......33
ჲ გასწვრივ ზოოლოგიური პარკის ზღუდის......34

გულუბრყვილო ნატვრა, — გამხელილი, წყნეთის ქუჩაზე, ერთი ასულისადმი ........ 35
▪ როს გაგაცილე ........ 36
სადღეგრძელო მინისა და სუნთქვისა ........ 37
ის სინანულით შევიდა სახლში ........ 38
▪ ძველად – იალქნიანი ნავების ხანაში ........ 39
▪ უფრო სიხარულობს ........ 41
ტირიფები ........ 42
▪ ვარ ცხრა მთას იქით ........ 43
არგვეთის წვიმა ........ 47
ქუჩის ხეები ........ 48
ქალიშვილი, რომელსაც უყვარს ბალახი და წვიმა ........ 49
▪ მიხარია, – დატრიალდა ........ 50
▪ ქალია დილა ........ 51
რატომ?! ........ 52
გაზაფხული ........ 54
▪ მინაზე სითბო დაეშვა მაღლიდან ........ 55
გამიცინა, – ჭეშმარიტად, – გამიცინა ........ 56
გილოცავ! ........ 57
საქართველო ........ 59
▪ მეცხადებიან თაობანი გადაცელილი ........ 60
▪ დილა გათენდება, – ვინ იცის, რამდენი! ........ 61
ზღვა ........ 62
ორი ცრემლიდან ........ 63
საგაზაფხულო ........ 64
იყო და არა იყო რა ........ 65
▪ ფართო ნაბიჯით მივდივარ გზაზე ........ 67
შემოდგომა ........ 68
ნაცნობი მთვარე ........ 71
▪ ღვიძავს ლაშურას ........ 73
ლაშურა ........ 74
არა! ........ 75
აივანზეა მეუღლითურთ პანტელეიმონ ........ 76
▪ ჩემი კიდობნისა შენ ხარ არარატი ........ 77
მე მიყვარს იგი ........ 78
კარგი დღე ........ 80

ჲ განთიადია! ... 82
ჲ მე გამოვდივარ ... 83
ჲ ეს ღრმა ხეობა ... 84
ჲ ვისაც, –თუნდ ერთხელ ... 85
ლოდინი ... 86
ჲ ტყუილუბრალოდ გაზაფხული კოხტაობს ახლა ... 87
ჲ გაივლის დრო და ... 88
მდინარენი არგვეთის ახლომახლო ... 90
ღელე ჩემი და ვაშლები ჩემი ... 92
ჲ მე მიყვარს ხოლმე სიარული ქუჩაში მარტო ... 94
ჲ რომ არ ამელო ხელში წიგნი, თოხი მჭეროდა ... 95
სახლი ... 96
მამიდა ... 97
რა განაცხადა გაზაფხულმა შვიდი თვის შემდეგ ... 98
ჲ ღრუბლებმა მზე არ ამოუშვეს ამ დილით ცაზე ... 100
გოგებაშვილის ქ. № 43 ... 101
ჲ არარაობა ყველაფერი მგონია ოდეს ... 102
ჲ ქალი?! ... 103
ჲ აქ, მინის გამო, ორი კაცი როცა პაექრობს ... 104
მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა! ... 105
ვაითუ ... 107
ჲ გავიარეთ არგვეთი ... 108
ჲ სახლ-კარი აზნაურშვილის ... 109
ჲ უდღეისდღეომ და უნარსულომ ... 110
ჲ მატარებლიდან მოვკარი თვალი ... 111
ჲ არა, გეთაყვა ... 112
ჲ ვიცი, წამერთმის მზისა ჭერეტანი ... 113
ჲ შენ – სისხლო ჩემო – სად არ დაღვრილო ... 114
ჲ ანდუყაფარო, ლიპარიტო, – დარნო მთათანო ... 116
სხდომა ... 117
ჲ მინას, – ჩემსას, შენსას, მისას ... 118
ჯერ კიდევ როდის! ... 119
ჲ – გამარჯობა, როგორა ხარ? ... 120
არსენას ლექსი ... 121
ჲ ეს გზა, მეც ვიცი, საითკენ მიდის ... 122
ჲ ნადირო, ტყე-ტყე წანწალი ... 123

ჲ მე არაერთხელ გამიგონია ........ 124
დამინებული ქართველი გლეხის ნატრება მკათათვეში ........ 125
ჲ გამისკდეს მინა ........ 126
დავითი ........ 127
ჲ ისე როდია მართლა საქმენი ........ 129
ჲ იქ დაბრუნდები ციდინა ........ 130
პოეტი ........ 131
ენგური ........ 133
მინადორა ........ 134
ელიზავეტა გეორგევნა ........ 135
ვახტანგი ........ 136
ვახტანგმა წყალი ისურვა ........ 136
სპილოები ........ 140
თავმომწონე მხედარი და სხვა ........ 142
რაო, – ვახტანგმა, – ვინ არი? ........ 143
ცხენის წინა ფეხები ........ 144
ორბის ფრთა ეტყვის ცერასა ........ 145
უჯარმით კაცი აფრინეს ........ 147
ვითარცა მტკვარი ........ 148
მოხუცნი ........ 150
ღვინობისთვე ........ 151
ყრმობისჟამინდელი წუთის წუთით გაცოცხლება, – ნასაყდრის ახლოს, – ბლაღოჩინის ჭაროსთან ........ 152
წვიმს ........ 153
ეჰ, ნეტა, იმ დღეს! ........ 154
თქვი ........ 155
პანაშვიდი ........ 156
ჲ ქალები?! ........ 157
ეს ისე ........ 158
საქართველოში გაჩენის ღირსი ........ 159
ჲ მივდივარ ........ 160
ჲ გულალმა მიწევს ოთახში მამა ........ 161
ჲ სამი დღეა ........ 162
ჲ მოვარდა სეტყვა ........ 163
ჲ – არაყი? ........ 164
პარასკევი ........ 165

¤ პლეხანოვის და რუსთველის შემდეგ ............ 166
¤ ტა, ტა, ტა, ტა! ............ 167
მგზავრები ............ 169
¤ გზა თავისი, ხმა თავისი ............ 170
¤ გითხრა! ............ 171
¤ აქვს ერთი ბზარი ჩვენს მტკიცე ძმობას ............ 172
უხალხო ქუჩა ............ 173
¤ თუ გული გაქვს ............ 174
დიალოგები წვიმაში ............ 175
დერეფანში სხედან. აბოლებენ. კოკისპირულად წვიმს ............ 176
¤ კაცი ხარ მაშინ ............ 179
¤ ღვინოს მიმართეს ............ 180
¤ შილიფად ჩაცმულ ქალებს მიაქვთ პურები თორნის ............ 181
¤ ამ ქვეყნად მოსვლა ჩემი და შენი ............ 182
ჩემს პატარა ნანას ............ 183
¤ თოფით მხარზე შევუდექი აღმართს ............ 184
¤ იმდენი კარგი ვაჟკაცი მოკვდა ............ 185
¤ ვიდრე შენთვის ღმერთი სიკვდილს გაიმეტებს ............ 186
¤ მიჰყვება კუბოს მწუხარე სახით ............ 187
¤ რომელსაც შენი მონობა ჰმართებს ............ 188
¤ ვით ამოღებული მოვდივარ ხმალი ............ 189
ბიჭები ............ 190
¤ საქართველომ დღემდე ............ 191
კაცია და გუნება ............ 192
¤ ხმას ამოიღებ – ვაია! ............ 193
¤ სხვისიც ყოფილა თუ ყოფილა ჩემს თვალზე ცრემლი ............ 194
¤ ქუხდა სტრიქონი ............ 195
¤ ჯიბიდან ამოიღო ასანთი ............ 196
¤ გამოვა რამე თუ არ გამოვა?! ............ 197
¤ ფიქრი რატომღა ნეტა ამდენი?! ............ 198
¤ თენდება ნელა ............ 199
ვინ იცის! ............ 200
¤ ქვეყანა დაღუპა შურმა ............ 201
კვლავაც მრავალჯერ გეთქვას! ............ 202
¤ საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე მამულზე ფიქრი ............ 203
¤ მქონდეს თუ არა ამის იმედი ............ 204

ახლა კი დროა......205
დღე მოიწევს კრიალა......206
ღ ისევ და ისევ......207
ხმა წინაპრისა......208
ღ ვეძებ და ვეძებ......209
ღ აზროვნებს თუკი, – ვინ არის რომ, – არ არის მარტო?......210
ძაღლიანი კაცი......211
აქ......212
ღ მოხდეს რაიმე უჩვეულო......213
ღ რაც ჩემამდეა ჩადენილი უჩემოდ შენგან......214
ღ ხეები ზეცას აჩნია შავად......215
ქარი, ნაძვნი და ფოთოლი ლეღვის......216
ახალ საქართველოს......217
ღ შუაღამეა......218
ღ ღრუბლის ხარებზე ელვა წითლად მიმოისახრა......219
ოტიავ ჩემო და ჩემო რეზოვ......220
ღ მიიზლაზნება ხოდაბუნში შავად გუთანი......221
ღ მე ვხადი სმენად, – უახლესი რაც კია წიგნი......222
ქალს, რომლის არც სახელი ვიცი, არც გვარი; არც ის ვიცი: გათხოვილია, გასათხოვარი, განათხოვარი თუ გაუთხოვარი...... 223
სიტყვა თქმული ვახტანგ ორბელიანის მიერ ორთაჭალაში, – ტივზე......224
სიტყვა თქმული ფილადელფოს კიკნაძის მიერ, ძმათა თვისთა თანა, შუამთაში...... 225
სიტყვა თქმული ბიძინა ამილახორის მიერ მაშავრის პირას – ჭერმიჭალაში...... 226
სიტყვა წარმოთქმული ჩაიზე, მამუკა ჯამბაკურ-ორბელიანის ოჯახში, სოლომონ რაზმაძის მიერ......227
აღსარება თქმული სოლომონ დოდაშვილის მიერ თბილისის სიონში, აღდგომის წინა დღეს...... 228
ფიქრნი იასესი, – ამილახვრიანთ აივანზე, ბადრი მთვარის ჭვრეტის ჟამს...... 229
ფიქრნი ელიზბარ ერისთავისა, – გზად, – ......230
შინდისიდან შინ რომ ბრუნდებოდა ეტლით......230
ყაყაჩოსავით მზეა წითელი......231
გასწი!......232
ღ ვაი, რა უქმად იბობოქრა თურმე შაშხანამ!......233

ჲ შენში უთუოდ სცემს ბოლთას სისხლი ........ 234
კახთ-მაჭავარი ........ 235
სისხლი და ოფლი ........ 237
ჲ ხევსურ ჩამოდის ლიქოკით ........ 238
ჲ არა იმიტომ, რომ სიტყვა „ქურდმა“ ........ 239
ჲ თავგანწირვისას არ იძლევა არავინ იმედს ........ 240
შუღლი ........ 241
პესიმისტის რეპლიკა ........ 242
ყური. თვალი. ცხვირი. ........ 243
თანამეინახე დიაცისადმი გაგზავნილი ბარათი ........ 244
ჲ ერთისთვის ერთი არსებობს მხოლოდ! ........ 245
ჲ კაცმა არ იცის, იცის ჭადარმა ........ 246
ძახილ-ნუხილი ........ 247
საქართველო და უსვეტიცხოველო?! ........ 248
ძელი ულპოლველი ........ 250
ჲ ქუხდენ მუხები ........ 251
ვიძახი და ვიძახი და ვიძახი ........ 252
პასუხი ........ 253
ჲ ხავილად მიჩანს ენგურის ზათქი ........ 254
სისხლად მიმოდის დღეს ჩემში იგი ........ 255
ღმერთკაცი ........ 256
ჲ ხარ საესავი ჩემთვის ტაძარი ........ 257
ლხინი ალაზნის ჭალაში ........ 258
ვაი, ჩვენს პატრონს ........ 259
თქვა ოპიზარმა ........ 261
ჲ არ შემხვედრია ცხოვრებაში არც ერთი კაცი ........ 262
ჲ ცხელი ღამე ........ 263
ამერ-იმერი ........ 264
ჲ ბედი ქართლისა, – ორწყალშუა გადაწყვეტილი ........ 265
ძვალთა ჩვენთა წესი ........ 266
ქვეყნად პრემია შეედრება ამას რომელი?! ........ 267
ამას არ უნდა დასტური სხვისი ........ 268
შურისძიება ........ 269
ქვეყნად ყველაფრის დავარგებას სჭირდება ხანი ........ 270
ჲ თავისი ვისაც ცოტათი სწამდა ........ 271
რტო – საკუთარი ნაყოფის წერა ........ 272

იტყვის?!...273
ჲ კაცი მიდის ბილიკ-ბილიკ...274
ქართლის გზაზე...275
თბილისი – ფასანაური...276
დილმის წვიმა...277
მიზეზი ყოვლის...279
ჲ დროს ვინც ემდური...280
ჲ დღეს იადონი...281
ჲ ყველა, – უკლებლივ ყველა დაცხრება...282
ჲ თევზივით უხმოდ ამომდის სული...283
ჲ წელან ცა ქუხდა...284
ჲ გაოცება ენას ართმევს კრწანისს...285
ისევ საბა...286
დუმილი რეკავს...287
მე ისევ მოვალ...288
ფიქრნი ქოსა მუსტაფასი იბრეიმ ყარა მაჰმად-ოღლის ძმის ქორწილში...289
ჲ უნდა გაცვითო რამდენი ბონდი...290
ჲ კაცი, – ცათამდე მართალი თუნდა...291
ჲ დაეშვა მწუხრი...292
ფამილარული კომპლიმენტი...293
ვინც იყო, იგი რომ არა...294
ჲ იცის რა ცოტამ...297
ჲ რომ არ გეგონო, – გამწარების გამო, – საწყალი...298
ქართველი ამას იკადრებს?! – არა!...299
ყოველი ტოტი და ტოტისტოტი...301
ჲ ბედი ტრიალებს...302
სიკვდილი პიროვნების კულტის პერიოდში...303
ჲ არავინ იცის: – კარგი რაა! – ვითარცა შურმა...304
ჲ ჩემს გაჩენაში ურევია თუკი გამჩენი!...305
ჲ რომაა ცოტა, და, არაა რომელიც ბევრი...306
დღე დიდი ყველას, – ოსტატობის ვინც იცის გემო!...307
იარს უსასრულოდ რომელიც ამიერ...308
დიდი ბედნიერება...310
ჲ ახლობელია როცა მკვნესარი...311
სიტყვა თქმული, ისევ ფილადელფოს კიკნაძის მიერ, ისევ ძმათა თვისთა თანა, ისევ შუამთაში ... 312

ენა ქართული ....................................................................................313
გატეხილი ხიდის ახლოს ......................................................................314
და ძაღლი ყმუის.................................................................................315
იყვნენ...................................................................................................316
მადლი იმ ზართა ................................................................................317
ქართველთ ზნეობანი.........................................................................318
კვლავაც ნატვრაში გავა საწუთრო?!.................................................319
ვაჟას.....................................................................................................320
ვარდისუბნის დილა...........................................................................321
ჲ ვერ გაგიწირავს საკუთარი უკეთუ თავი.........................................322
ჲ ის რა კაცია ......................................................................................323
სწორედ ამიტომ ..................................................................................324
დედაკაცი..............................................................................................325
შეხვედრა გურიაში .............................................................................326
ჲ ესმის განაღა იდუმალი ყველას ძახილი?! ......................................327
არ მომხდარა! – არც მოხდება!.........................................................328
ჲ ბედნიერება მიმდგარი კარზე .........................................................329
ჲ უწინ ქართული იცოდა რუსმაც.......................................................330
ცხება მირონთა ....................................................................................331
შესაქცევარი........................................................................................332
გვალვა იყო უცხელესი ......................................................................333
მწვანეყვავილა ...................................................................................334
მინავ ჩემო ..........................................................................................335
სუფრული ...........................................................................................336
ფასკუნჯი ............................................................................................337
წყალს სხვანი ვინმე სმენ ...................................................................341
თბილისური........................................................................................342
ჲ შემოდგომაა შესანიშნავი ...............................................................343
წერილი საკუთარი ძისადმი, – არგვეთიდან იენაში მინაწერი ..........344
ორი რამე.............................................................................................345
ყველას თავისი აქვს მულამი სახელის შოვნის .................................346
სვეტიცხოველში ..................................................................................347
ორნი ....................................................................................................348
ჲ აქ იყო კალო ....................................................................................349
სევარა ..................................................................................................350
რა გითხრა, ძმაო, ამაზე მეტი.............................................................351

მართლა სამოცმა?! ........ 352
♔ სტუმარ-მასპინძელს შესცინცინებს ........ 353
ეს მიწა ........ 354
♔ ის ძველი ქოხი ........ 355
პაოლო ........ 356
♔ – ელოი! ლამა საბაქთანი? ........ 357
გზისპირ ბოლთას სცემდა ყვავი ........ 358
მარტო იმიტომ ........ 359
გუშინ ნაცნობი მოვიდა თოვლი ........ 360
♔ თუ ხელთ ვიგდე მე ხელადა ........ 361
♔ კრეფად მსურს ვარდის კონები ........ 362
♔ მესამოცე ზამთარია უკვე ........ 363
ხმა ფიქრისა ........ 364
♔ ყველას, ვინც ახლა დაფნის გვირგვინს ეპოტინება ........ 365
ჩვენც ეს დღე გველის! ........ 366
♔ არა ნაცნობთა ........ 367
ახლა ისეთი დროა ........ 368
გუშინდელს ჰქონდა უდიდესი შეძახილს ფასი ........ 369
♔ სიგრძე იყო იგი როცა თითის ........ 370
♔ როცა მოვკვდები ........ 371
ლაზათი სანუთროსი ........ 372
♔ ილრუბლება საშიშად ........ 374
სადღეისო ........ 375
♔ ერი გაერდა! ........ 376
გულისწყრომა გამოთქმული თ. ლორთქიფანიძის მიერ, ი. ბაგრატიონის წინაშე, – ახალციხეში, – არზრუმს გაქცევის წინ ........ 377
ეს უკვე მეორედ ........ 378
ვაჰმე ........ 379
ჩვენშიც, ვით სხვაგან ........ 380
♔ ვერ დამნამებს ზეცა ........ 381
შეხვედრა-დახვედრა თბილისის აეროპორტში ........ 382
პანაშვიდი ........ 383
ხმა ხმებში ........ 384
არა კაც კლა ........ 385
ერთხელ კიდევ ........ 386
ბიჭვინთა ........ 387

საქმე არაა განა საზღაპრო?! ....................................... 388
არამც და არამც ....................................... 389
არა და არა ....................................... 390
კბილი კბილისა წილ ....................................... 391
ღმერთმა მოგვიწყო გამოცდა ....................................... 392
ქაქუც! – ავაჰმე! ....................................... 393
გუშინ რომ ხალხი იყო მამაცი ....................................... 394
აწინდელი საქართველო ....................................... 395
უკეთუ ....................................... 396
წინ გზაა გრძელი ....................................... 397
ჲ სიტყვა კლდოვანი გამოვკვეთე, როგორც ვარძია! ....................................... 398
ჲ წინ გავიხედე ....................................... 399
მკათათვის შუადღე არგვეთში ....................................... 400
ფიქრი, – ღამეული წვიმის თქარუნში, – სოფლად, – აივანზე ....................................... 401
მიმწუხრი ....................................... 402
ტბასთან ....................................... 403
ვით, – ერთხელ, – წინათ ....................................... 404
გავარდებაა ხმა მეხისებრი?! ....................................... 405
ახლა, – თუ გინდა მართალი ....................................... 406
ჲ ვიხილე რახან მცირე ხნით ....................................... 407
უბნობა ნაევროპალი საბასი ....................................... 408
ჲ ჭასთან, – თავისით ამოსული, – კოხტაობს იფნი ....................................... 410
ჲ დღეის დღე უღიმღამოა! ....................................... 411
ახლა იხტუნე რამდენიც გინდა ....................................... 412
1991 ....................................... 413
ჲ ჩემი სამშობლო მაღალია! ....................................... 414
ბარემღა ....................................... 415
ჲ ვინც ილხენს ახლა ....................................... 416
ჲ ზოგი თვალს ხუჭავს ....................................... 417
ვინც პარტიაში, უყოყმანოდ, ახალში შეშპა ....................................... 418
ამჟამად ....................................... 419
სისხლი ყველასი ....................................... 420
ნეტა, – იმ დღესა! ....................................... 421
მახსოვს ....................................... 422
კვლავ და კვლავ ....................................... 423
დახასიათება დასკვნითურთ ....................................... 424

რუსობანა.....425
ჩვეულებრივი ამბავი.....426
პოეტი მიაბოტებს ქუჩაში.....427
დაისი ფანჯრიდან.....428
ჲ ამ საწუთროში.....429
ჲ მოყვასის სისხლში აქვს მოთხვრილი ვისაც თითები!.....430
ძელზე გაისვა მრავალი თუმცა.....431
გული ნაძოძდება „უიმეთი“.....432
ხან ლურჯათი! – ხან მერნითა!.....433
ვენდო?! – ვით ვენდო?!.....434
საქართველოს რესპუბლიკის ე. წ. პარლამენტი.....435
ჲ ნაკითხულს განზე (სათვალითურთ) გადადებს გაზეთს.....436
ღმერთო მოჰკითხე.....437
ნახვალ, – მაგრამ.....438
ეზოში.....439
ჲ ძალა რო მომცა შენი, – სამსონო!.....440
ცაცხვი თაფლოსი.....441
აფსუსი კია, – მე და მზემ ჩემმა.....442
ასი ძლივს იქნება კაცი.....443
ჲ მკორტნიან ყორნებრ.....444
ყაჩაღი.....445
სულთხდომა.....446
ჲ მე ვაკის პარკში.....447
ჲ ფუჭად ვინც ებრძვის ნოსტალგიას დღეს კონიაკით.....448
ჲ ქროლა ლელვისა თრთის ფოთოლი ფაფანაკებრი.....449
ჲ ვეებერთელა ასპარეზი ეძლევნა ნაბუშარს.....450
ჲ თავისით უნდა წამოვიდეს.....451
მტკვართან ტატო და ტარიელი სხედან ტირილად.....452
ჲ საფლავის ტყუილა დიდგულობს ლოდი.....453
ის! – ის! – ისაა!.....454
ახლაც დაყრილი (როგორც მაშინ) არის ფარ-ხმალი.....455
სიკვდილი სოფლად, – მოროდის ალოზე.....456
ჲ ყველამ გამწირა.....457
ჲ როგორ არ წამსკდეს სიამის ცრემლი.....458
მინდა და მინდა.....459

Mukhran Machavariani
IN TWO VOLUMES
1st volume
VERSES AND POEMS

**გამოცემის ხელმძღვანელი**
კახმეგ კუდავა

**საგამომცემლო ჯგუფი**
ლაშა გადელია
ვლადიმერ პერანიძე
ლიკა სხირტლაძე
მართა წიკლაური
ალექსანდრე ჯიქურიძე

**გარეკანის დიზაინი**
ილია ხელაიასი

გამომცემლობა
ინტელექტი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17 ბ
25-05-22, 91-22-83, 8(99) 55-66-54, Fax 91-22-83
www.intelekti.ge